

K30989  
2

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՅՏՆՈՐՈՒԹՅԱՆ

ՃԿ





دکتر محمد علی  
مؤلف و مترجم

دیا



192  
228  
1216

~~9475~~

821.9621-2  
821.353.1-2  
3981  
ქვე

ფუხსკოთაჲ

# ასული ისრაელისა

## სუთ-მოქმედებანი ტრაგედია მომქმედნი პირნი:

გვ. 111  
2  
10

ივლით, (ასული ისრაელისა,) ვმაწვილი ქვაბუი.  
ოლთმდრე, პირველი მხედართ-მთავარი ნაბუქადონოსორჲ მეფისა.  
ნაბუქადონოსორ, მეფე ბაბილოვნელთა.

ელააკიმ—იგივე იოაკიმ—დიდი მღვდელი ებრაელთა,  
ოზია, პირველი მხედართმთავარი ისრაელთა.  
ხაბრი, მხედართმთავარი და ბეთილის უზუცესი.  
ხარმი, მხედართმთავარი და ბეთილის უზუცესი.  
ახიორ—იგივე ახირაც—მთავარი ამონელთა.  
ნაბოლიდ, მეცნიერი ბაბილოვნელთა.

ნაბუზარდან, მხედართმთავარი ნაბუქადონოსორისა.  
ასფანაგ, საჭურისი, დიდი პირი ნაბუქადონოსორის კარისა, შვილი  
ლეამიტთა მეფისა.


ვალარი, საჭურისი, მსღვდელი ოლთმდრეჲი, დიდებული გვარისა.

ახაია,  
ბერეზია, { ებრაელნი, ტცვენილნი ბაბილონს.  
იანარ,  
აბრი, მხევალი ივლითისა.

ქადაგი ქალდეველთა საშეფოსი.  
მეფენი, მთავარნი, ჭურუმნი, მეცნიერნი, ასურელთა და ბაბილონელთა.

წინასწარმეტყველნი, ლევიტნი, ქალწულნი სიონისანი; ქედემიშნი და ჭედემიშნი—ყრმაწვილი ქალ-ვაჟნი, მსახურნი ბაალისა და ასტარტას ტაძრისა,—მეეტლენი, \*) მეცნიერნი, მსახურენი და სხვა; მხედრობა, მესაკრავენი, მეფესულმენენი და სხვა.

\*) მეეტლენი, ებრაელელი შთახალი სიტყვა—მეეტლენისა და მდროშეს ანუ კუხერი-იმშვიკის ნიშნად რომ ხმარობენ, არ ეკუთვნის შთახალს. მეეტლენი ერთგვარად, რომელნიც მსლიდნენ სიეტლო წერილს და მსხილდნენ კაცის ბედს ვარსკვლავითა ნიშნებით, ეტლი არის პლანეტა—ПЛАНЕТА.



1957

1900

## მოკმედეზა პირველი.

(დიდი ველი დვირასი ბაბილონი<sup>ა</sup> მახლობლად. გარშემო ტყე, მშვენიერი ბაღები და ვენახები, დიდი მდინარე წყალი; მოშორებით მოსხანს დიდი ტბა. შორი-ახლო ბაბილონი დიდებული სანახაობით. შუა ველს არია აღმართული დიდი ოქროს კერპი, ნაბუქოდონოსორ მეფის სახითა. კერპის პირიდან აღმოხდება საშინელი ალი, რომელიც ჰფენს გარშემო სურნელებას. კერპის მახლობლად სდგანან ქურუმნი, მოგენი, მსახერელები, ტაძართა ქალწულნი და ყრმანი, ანუ ქედემი შნი და ქედეშომნი და სხვა მსახურნი სალოცაკეთა; ბაალის წინასწარმეტყველნი მახილებითა და ლახვრებით. ქურუმნი არიან მოსილნი გრძელი ტანის-მოსით, რომელიც წააგავს ებლანდელს ჩვენთა მღვდელთა სამოსელს, და ჰხურავთ შადალი ქედები, რომელნიც წააგვანან ებლანდელს მღვდელთა სკუფიანებს, მახლობლად კერპისა სდგას ოქროს საყდარი, რასაც ებლა ვეძახით სამეფო ჩარდახს. ამ საყდარში სდგას ტახტი (ტრონი) მეფისა ძვირფასი თვლებით მორთული. გარშემო ანთიან შარაევანდებანი ცეცხლნი, ამ ცეცხლთა არტყიან გარშემო ქურუმნი, ქედემი შნი და ქედეშომნი, მოსილნი თეთრი სამოსლითა (ტანთ-საც-მელით) და მორთულნი ყვავილებითა და ოქროს ქსოვილებით. მოშორებით სდგანან მხედრობანი და ათურებელი ერი. მხედრობანი არიან სხვა-და-სხვა ერისანი, რომელთაც უძღვიან წინ თავიანთი მეფენი და მთავარნი თავიანთი მხედართ-მთაგრებით. საყდრის მახლობლად სდგას მეფე ბაბილონისა, ნაბუქოდონოსორ, მოსილი ღვთაებრივის სხივ-მოსილი ტანისამოსით. ასხია ქლამიდა, რომელზედაც ძვირფასი თვლებით არის გამოსახული მთელი მისი საბრძანებელი. შორი-ახლო სდგანან საკურისნი სამხიურებითა და მარაველებით).

**ნაბუქოდონოსორ.** (მარტა) ვინ? მე? მაშ მე არა ვარ ღვთაება? არის უძლიერეს ჩემსა ღმერთი? შევმუსრნე ყოველნი ერნი, შევმუსრნე მეფენი და მთავარნი მათნი,



შევმუსრნე ეკვიფონისი და ზღუდენი მისნი რომელთა მსგავსნი მანამდის ქვეყნის გაჩენიდან არ აგებულა კაცის ხელით; შევმუსრე უძლეველი არფაქსად, აღმგებელი ამა ზღუდეთა და მფლობელი ნახევარ ცის ქვეშისა, შევმუსრე ევვანტე, ტირი, სილონი; შევმუსრნე სალოცაენი და ღმერთნი ყოველთა ერთა; დღეს ჩემს ხელთ არის სიკედილი და სიცოცხლე ყოველთა სულდგმულთა, — და რომელი ღმერთია, რომ ეჭიროს ძალა უძლიერეს ამისა? მინამ მე ვიცნობდი ჩემს თავში ღვთაებრივსა ძლიერებასა, სხვები უკვე მცნობდნენ მე ღმერთად და მცემდნენ ღვთაებრივსა თაყვანსა, და ბოლოს მრავლითა და ცხადითა საბუთებითა მიჩვენეს, რომ მე ვარ ღმერთი-ღვთაება. ჯერ ისევ ნორჩი ვიყავ, რომ ჩემნი აღმზრდელნი მეცნიერნი და მეეტლენი შესძახდნენ ჩემს მშობლებს, რომ მე არ ვგვეარ სხვა ძეთა კაცთასა, რომ სახე, გონი და ძალა ისახვის ჩემში ღვთიური, არა ქვეყნიური... შემდეგ პირველ ქურუმთა მიქმიეს მე საკმეველი ღვთაებრივი, და დაღადითა საღმრთოითა მიწოდებდნენ ღმერთად კაცი, რომელნი იდგნენ ჩემგან შორს, და დღეს გამხდარან ჩემნი უახლოვესნი პირნი და მთავარნი ქვეყნისანი. ყოველს ჩემს დანახვაზედ ჰღალადებდნენ ხმითა დიდითა: „შენ ხარ ღმერთი, ღმერთი უძლიერეს ყოველთა ღმერთთა“-ო, და ლოცულობდნენ ჩემზედ, როგორადაც უძლიერესს და უძლეველესს ღვთაებაზედ. არა მარტო ესენი: მრავალნი დამორჩილებულნი და ძლიერნი ჩემგან მეფენი და მთავარნი ცხადად და საქვეყნოდ მაღიარებდნენ მე ღმერთად. გადიოდა ხანი და მეც თვითონ ცხადად ვხედავდი ჩემს თავში ღვთაებრივს ძალას, ღმერთთა ძლიერებას, და დღეს ცხადად ვსცან, რომ მე ეყოფილვარ ღმერთი, ღმერთი ნამდვილი, ღმერთი უძლეველი, და





ვამის, ვინც არ აღიარებს სახელსა ჩემსა ღვთაებრივად, და აღგებულსა ხატსა ჩემსა არ მიიღებს ღმერთად, როგორადაც მე, რომლისაც სხვებს წარმოადგენს ხატი იგი.. (შემოდის ოლომფრე).

**ოლომფრე.** (დაეშობა პირქვე, უზავს მეტანიას). გახლავართ ოლომფრე, მონა და ფერხთა მტვერი ღვთისა თვისისა და მთელისა ქვეყნისა ნაბუქადონოსორისა.

**ნაბუქადონოსორ.** აღსდგე, დიდებულო მხედართმთავარო, მარჯვენათ ჩემო, ოლომფრე, და ისრე მომახსენე მოსახსენებელი შენი.

**ოლომფრე.** (აღვება). ღვთაებო და განგებო ყოვლისა სოფლისა! სულთა და ხორცთა გამგეო ბაალისა და ასტარტას ყოველთა ქმნილებათა! მოსრულან მთელი ცის ქვეშეთით შეფენი, მთავარნი, სატრაპნი, იუბატორნი, წინამძღვარნი, მოგენი, მსაჯულნი სჯულითა და ერისანი, ერნი და მხედრობანი, რათა გცენ შენ და შენგნით აღგებულსა ხატსა ღვთაებრივი თაყვანი, გალიარონ ღმერთად და გამგებლად სულისა და ხორცისა ყოველთა ქმნილებათა, ყოველივე მზად არის ენკენიანდ და ელიან ბრძანებასა შენსა ღვთაებრივსა.

**ნაბუქადონოსორ.** მთავარო უძლეველო, ოლომფრე! შემდგომ ჩემისა, შენ ხარ პირველი უფალი ყოვლისა საბრძანებლისა ჩემისა. რაკი აქაც შენა ხარ პირველი გამგე საქმისა და ჰხდავ, რომ ყოველივე მზად არის, — უბრძანე კიდევ შეუღღნენ საქმეს.

**ოლომფრე.** (წარსდგანს რამდენსამე ნაზიჯს წინა და გასძახებს ქურუმთა და მხედრობათა.) იწყეთ დიდება მტრისა ჩვენისა, იწყეთ ენკონია!

(გაჩნდება შედღუბი, სოლა წუმწუმათა და წუმწუმათა. აღიგებნიან სამართაო ცეცხლნი. მეფენი, მთავარნი, ქურუმნი, ქალღველნი, შემისნენი, მესიზმრენი, შეეტლენი, მოგენი, სპასპეტნი, ჭალაქეტნი და მხედრობანი იწყობენ დენას. გაიმართება საკრავთა ხმანი. ქედღმიზნი და ქედღმომნი, ქურუმნი და მლაღაღებელნი ჰგალობენ).

აღვედი ღმერთთა საყდრად  
ღვთაებთაო შეუდარებელი!  
აღმართეთ ღმერთი ღმერთად  
საყდარსა უფლისსა.

(მეფენი, მთავარნი, მხედართმთავარნი, ქურუმნი და წინასწარმეტყველნი ჰსმენ ნაბუქადონოსორს ოქროს ტაბტრეფანზე და აჰვავთ კიბეზე ოქროს საყდარში, სადაცა სდგას ტრონი და ასვენებენ ტრონზე, ამ აყვანის დროს თანა ჰგალობენ):

აღვედინ უფალო საყდარსა უფლისსა!  
განაგე მეუფეო ხილულნი და არა ხილულნი!  
მოჰმუნე ღვთაებთაო წყალობა მორჩილთა შენთა!

(გარეშე ნაბუქადონოსორისა სდგებიან ქურუმნი, წინასწარმეტყველნი, მოგენი, ვარსკვლავთმრიცხველნი, საქურისნი ადგებიან თავს გაწლილი სამხეურით, და მარაუბით აგრილდებენ).

**ნაბუქადანასაძ.** (ოლთმფრეს) ჩემს მაგიერ, როგორც პირველს სამეფოს გამგეს, შენ გეკუთვნის ამ ეამად ქურუმთ-მთავრობა. ამიტომ დასდევ ქურუმთა და წინასწარმეტყველთა თავსა და განუცხადე უცხო ნათესავთა, ქურუმთა და მთავართა განჩინება ჩვენი მათთა ღმერთთა და სალოცავთა ზედან.

**ოლთმფრე.** (დგება ქურუმთა წინ. ქურუმნი აღწევენ დიდს, ფიცარსავით ფილაქანს, რომელიც არის დაწვრილი ოქროს ასაგებით. ოლთმფრე კეითხულობს). «ქურუმთა ჩვენ, კვლევითა, ჩვენებითა მრავალითა და ძველად გარდმონაცემით აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი უძლიერესი მეფე, ნაბუქადონოსორ, მთელი ცის ქვეშეთისა დამპყრობი იყო სოფლის დასაწყისითვე დასახულო ღვთაებად და იმანებოდა იგი ღმერთთა არსებათა შინა, რათა, ოდეს ღმერთნი იგი მიეცემოდნენ ღმთაეითარებისაგან ცვლას მოვლენოდა ეგ უპირველეს ღვთაებად სოფელს. მიზეზითა ამით იქმნა ცნობილი ქურუმთაგან, რომ ნაბუქადონოსორს, მეფესა ჩვენსა, არა აქვს არცა



დასაბამი, არცა დისასრული და არის ღმერთი ღმერთი —  
ველთა ერთა და კაცთა ნათესავთა.

**ნაბოლად.** (აიღებს ხელთ სხვა ფილაქანს ოქროს ასოებით დაწერილს და ჰკითხულობს). ჩვენ, ყოველთა მეცნიერთა, კვლევითა ჩვენითა, ვარსკვლავთა და ეტლითა სინჯვით და გამოცნობით, აღმოვეყვითხეთ და აღმოვეცანით ვარსკვლავთა და ეტლთა წყობათაგან, ასწილ ასოთა შეწყობით და გადათვლით, რომ ნაბუქადონოსორ მეფე არის ღმერთი, ღმერთი ნამდვილი, ვინაიდან ვარსკვლავთა და ეტლთა შემწეობით მუდამ გამოდიოდა სახე ნაბუქადონოსორ მეფისა და ასწილ ასოთა გადათვლით და შეწყობით გამოდიოდა მუდამ სამი სიტყვა: „ნაბუქადონოსორ ღმერთი ყოველთა“. მის გამო ჩვენ, მეცნიერთა და ქალდეველთა\*) ვიცანით და ვაღიარეთ უძლეველი მეფე ნაბუქადონოსორ უძლეველ ღმერთად ყოველთა ერთა, და ხატი მისი აღმაერთებელი აგრეთვე ღმერთი სახედ მისად.

**წინასწარმეტყველთა უხუცესა.** (ცალს ხელში აღმართავს მანვილს და ცალს ხელში აიღებს მესამე ფილაქანს ოქროსავე ასოებით). გულისმხილავობითა ჩვენითა, შთაგონებითა სიზმრისათა, საუბრითა სულისა მამათა ჩვენთა და შთაგონებითა ღმერთთა უხილავთა და ხილულთა ჩვენ წინასწარმეტყველთა ქალდეველთა და ასურთა ვიცანით და ვაღიარეთ, რომ ღმერთი ყოველისა სოფლისა არის ნაბუქადონოსორ უძლეველი მეფე ჩვენი და ხატი მისი.

(აქ უკებ აღმოხდება ნაბუქადონოსორის თავის გარშემო ბრწყინვალე შარავანდედი, კერპის პირიდან უფრო ძლიერად აღმოხდება ალი და ჰფენს გარშემო სურნელებას. კერპი მოძრაობს, იცქირება ყოველმხრივ, ახედებს აქეთ-იქით თვალებს, გაჰყურებს მრისბანედ ერს და მხედრობას).

\*) მეცნიერთ ქალდეველთაუ ეძახდნენ მაშინ.



**სამკლეო ჭადაგა.** ისმინეთ ერნო, ტომნო, ნათესავნო, ენანო, მხედრობანო, მეუფენო, მთავარნო და ყოველნო დიდებულნო! ოდეს განისმის ხმა საყვირისა, სასტვინელისა, ჭნარისა, კიმეიკისა, საფხალმუნისა, ორღანოთა და ყოვლისა მუსიკისა, რომელნიცა შემოკრებილან აქ ყოველთა ტომთაგან, თაყვანი ეცით და აღიარეთ ღმერთად ახალი ბაალ, რომელ უხილაობისაგან მოვლენილა ხილულად ორ სახედ: თვით მეფედ და ხატად მისად, და პირველ არსებითად იმყოფება უხილაობასა შინა, და ვაი მას, რომელიც არა სცემს თაყვანს და არ აღიარებს ღმერთად მას, რომელმანცა შემუსრნა ყოველნი ღმერთნი უცხოთა ტომთა და ერთა და დიდგა უმაღლეს ყოველთა ღმერთთა ხილულთა და არა ხილულთა! მას ელის ცეცხლი აღმომდინარე პირისაგან ღმერთის ნაპუქადონოსორის ხატისა.

(ხატის პირიდან ამოჴშინავს საშინელი ცეცხლი.— განისმის ხმა საყვირთა და საკრავთა... იწყობა გალობა და დაღადისი, ყველანი დაემზობიან პირქვე. ასტარტისა და ბაალის ტაძრის ქალწულნი ანუ უფრო მხეველნი და მარჯნი, ესე იგი ქედომიშნი და ჴედეშომნი ჴგალობენ სხვა-და-სხვა სამუსიკო ხმებზე).

აქებდით და აღიდებდით ცანი და ქვეყანანი, უფალსა და მეუფესა უკუნთა და საუკუნეთა!

**ქურუმნი და წინასწარმეტყველანი.** (ლაღადებენ მუსიკისავე ხმაზე. წინასწარმეტყველნი იქნევენ ჴაერში და სცემენ მახვილთა ალაგხედ).

აქებდით და აღიდებდით, მზევ ჳ მთვარევ ცისანო, ღვთაებასა და გამგესა ცხოვრებისა ჩვენისასა!.. უხმობდით ღმერთსა ღვთაებად ჳ ჴვთათავე ხატსა მისსა!

**მხეგაღნი და ყრმანი:**

აქებდით ჳ აკურთხებდით მკააენი ცისა ჳ ჴაერისანი, ცვირნი, წვიმანი ჳ ქარნი, ღრუბელნი, ჴღვანი ჳ ხმელნი,



მეფესა ღმერთსა ზ ხატსა მისსა, ხილულად არა ხილულსა კან  
მოვლენილსა!

**ქურუმნი და წინასწარმეტყველნი.** (წინასწარმეტყველნი იქნევენ მახილთა და თანა ჰვალობენ).

აქებდით და აღიდებდით, სიცხევე, ყინევე, თოვლო, ცეცხლო,  
მეხნო და მედგარნო ცისანო ღმერთსა ნაბუქადონოსორს  
ხილულსა და არა ხილულსა!

**სამკუფო ქადაგა.** აღსდექით ყოველნი და შემართეთ თვალნი  
თქვენნი ღმერთსა ნაბუქადონოსორ ხილულსა და  
ხატსა მისსა ღმერთსა ძლიერსა. (ყველანი აღგებიან).

**ხატა.** (აღმოაქმენს საშინელსა ცეცხლსა და უცებ ჩასწყდება ცეცხლი.  
დაუშვებს ძირს თვალებს, მოჭრის თავს, გადიღებს ხალხისა-  
კენ ხელებს და აღმოაჩახებს გვრგვინვით) წყალობა ჩემი  
თქვენდა მალიარებელნო ჩემნო! (ცეცხლი ისევ ამოვარ-  
დება პირიდან)

**ქადაგა.** ხატსა (გმობა კიდევ პირველ ამ სანახევზე და ისმის) ღმერ-  
თია ნამდვილი, ღმერთი მოვლენილი. გვიხსენ, ღვთაე-  
ბაო ხატო, რისხვისა შენისაგან.

**სამკუფო ქადაგა.** ერნო, მხედარნო, მეფენო და დიდებულნო  
ცის ქვეშეთისანო! აღიარეთ ნაბუქადონოსორ და ხა-  
ტი მისი ღმერთად და დაღად ჰყავით ხმითა დიდითა  
მუსიკისა და მღალადებელთა ხმითა თანა.

(მოსაკრავენი უკრავენ მეფენი და დიდებულნი ჰვალობენ)

„გალიარებთ შენ უძლიველო, შეუდარებელო და სან-  
ცვიფრებაო სოფლისაო, მეფეო ღმერთო ნაბუქადო-  
ნოსორ და ღმერთო ხატო ნაბუქადონოსორისაო, რა-  
მეთუ ხელთა თქვენთა არს ცა და ქვეყანა, ზღვა და  
ხმელი, კაცნი და პირუტყვნნი, მეფენი და მთავარნი,  
ყოველნი ერნი და სალოცავნი მათნი! გალიარებთ  
შენ, შეგვიწყალე, გვაცხოვნე და მოგვიტყვენ უსჯუ-  
ლოებანი ჩვენნი.“





ნაბუქადონოსორს. ვინცა მიწაში მე და იწაში ხატო შემთავლებთაჲ  
ბად ცხონდეს იგი უკუნისამდე.

ქურუმნი, მოგვნი, ქალდეველნი, მსახერელნი, მესაზმრენი,  
ძვეტლენა, წინასწარმეტყველნი და მდალადებულნი ჰგალობენ.

„საუკუნო იყვეს ცხონება და მშვიდობა თქვენ ყოველ-  
თა თანა“!

ქედუმაშნი და ქედუშოშნი (ჰგალობენ)

„და იყვეს ცხონება და სასუფეველი თქვენი უკუნისამდე“

ხატო (გადიშვერს ხელს ხალხისაკენ) ცხონდით უკუნისამდე!  
შდაბია ხალხნი. (დაეშობა კიდევ პირქვე ხატისაკენ) ღმერთი ხარ,  
ნამდვილი ღმერთი, ხატო ცხოველო. გვიხსენ რის-  
ხვისი შენისაკან. (აღგებთან ისევ და შესცქერიან შიშით ხა-  
ტსა.)

სამეუფო ქადაგი. ერნო, მხედრობანო, მეფენო, მთავარნო, ყო-  
ველნო, დიდებულნო, ქურუმნო, მეცნიერნო, მოგე-  
ნო, წინასწარმეტყველნო და ყოველნო აქ დამსწრე-  
ნო და ყოველნო შესაწირავნო და შეწირულნო იმა  
ხატისანო, წარმოსთქვით ჩემთან: გვრწამს ჩვენ ყვე-  
ლას.

ვეკლანი. გვრწამს ჩვენ ყველას.

ქადაგი და ვალიარებთ.

ვეკლანი. და ვალიარებთ.

ქადაგი. მეფეს ნაბუქადონოსორს.

ვეკლანი. მეფეს ნაბუქადონოსორს.

ქადაგი. და ხატსა მისგან აღგებულს.

ვეკლანი. და ხატსა მისგან აღგებულს.

ქადაგი. უდიდეს ღმერთად — ღვთაებად.

ვეკლანი. (იმეორებენ).

ქადაგი. ვფიცავთ წინაპართა ძვალთა.

ვეკლანი. (იმეორებენ).



**ქადაგა.** მათი სულისა ძალაა.

**ეკელანა.** (იმეორებენ).

**ქადაგა.** შევსწიროთ მათ თავი ჩვენი.

**ეკელანა.** (იმეორებენ).

**ქადაგა.** ჩვენი ცოლი, ჩვენი შვილი, და ჩვენი საცხოვრებელი.

**ეკელანა.** (იმეორებენ).

**აღლამფრე.** მე ამ ემად, როგორც ქურუმთა უბუცესი, გიბრ-  
 ძანებთ მთავარნო, დიდებულნო, სამღვდელონო უც-  
 ხო ტომთა და თესლისანო, რომელთაც დღევანდლამ-  
 დის არ გიწამებიათ ბაალ, ასტარა და სხვა ცამეტნი  
 ღმერთნი ბაბილონისა და მათთან უძლიერესი ყო-  
 ველთა ღმერთთა ნაბუქადონოსორ და ხატო მისი, მოი-  
 ტანეთ აქ თქვენისავე ხელით ღმერთნი და სალო-  
 ცავნი თქვენნი და მიეცით იგინი ცეცხლსა, აღმოგ-  
 ზნებარესა პირისაგან ამა დიდებულის ხატისა.

(შემოაქვთ მეფეთა და სხვა დიდებულთა და სამღვდელთა სხვა-  
 დასხვა თავიანთი ღმერთები: ზოგი მზისა და მთვარის სახითა, ზო-  
 გი სპილო-კაცის სახითა, ზოგი მეფეთა სახითა; ზოგი ნიშა ხარის  
 სახითა, ზოგი ხბოს თავისა, ზოგი ღვინო-კაცისა, ზოგი ნიანგისა, ზო-  
 გი ტიტ ფლა ჭალისა და კაცისა, ზოგი კატისა და სხვა. ყველა აქან  
 ჰყრიან ნაბუქადონოსორ მეფის ფერხთა ქვეშე.

**ეკელანა.** ამა ღმერთნი და სალოცავნი ჩვენნი ფერხთა ქვეშე  
 შენთა, ღმერთო, მძლიველო ყოველთა ღმერთთა და  
 სალოცავთა.

**ქურუმნი.** (ანტერვეენ ამ კერპებს, ჰყრიან ცეცხლში და ჰგალობენ): შე-  
 იწირე ესე შესაწირავი, მეფეო ღმერთო ნაბუქადონო-  
 სორ და ხატო მისო ძლიერო.

**ქადაგა.** (ყველას). წარმოსთქვიო: გაჰქერით პირისაგან ქვეყნისა,  
 ცრუ ღმერთნო, კაცთა ხელითა შექნნილნო, გვიგ-  
 მიხართ უკუნისამდე.

**ეკელანა.** (იმეორებენ).

**ნაბუქადონოსორ.** სცხონდით უკუნისამდე და აღგერიდოთ მახ-  
 ვილი ჩემი მრისხანებისა.



**ქედუბაშნი და ქედუშომნი.** (ჰვალობენ) და იყვეს ცხოვნება და სასუფეველი თქვენი უკუნისამდე.

**ალამფრე.** ყოველნო დიდებულნო და მდაბიონო, სამღვდელონო და მეცნიერნო უყავით მეტანია უძლიერეს ღმერთსა ნაბუქადონოსორს და ხატსა მისსა ღვთაებისა და შეუღვევით ენკენისა.

**ვეკლანი** (უყრიან მუზლს ნაბუქადონოსორს და ხატსა მისსა და შეჰვედრიან). იყავ მეოხ და შემწყალე სულისა და ცხოვრებისა ჩვენისა.

**ალამფრე.** აღსდევით, შეჰმართეთ თვალნი თქვენი სახეთა დიდებულთა ღმერთთა და მიჰყვევით ენკენის წესსა, ვითარ განგვიგია ჩვენ წინადვე.

(ვეკლანი აღგებიან. მეუფენი აღიან, იღებენ მხრებზე ოქროს საყდას, რომელშიაც ჰხის ნაბუქადონოსორ, ჩამოაქვთ ჩარდანიდან ძირს, მიუძღვიან წინ ხალხსა და მხედრობასა, მათ წყობისათ მისდევენ სხვა მთავარნი და მოგვნი, სამღვდელონი და სხვა დიდებულნი, ხალხი, მხედრობა და სხვანი. იწყობა საერთო საქრავთა ხმა, ცემა ტაბლაკთა, ხმა საყვირთა, შედღუჭი, ცეცხლების აწვევა ჰაერში; ესა მოიფინება ცეცხლებით და განათდება ათასფერად).

**ქედუბაშნი, ქედუშომნი, ქურუმნი და მდაბადებულნი** ჰგაღებენ. აგალიარებთ შენ, მეუფეო სულისა და ხორცისა ჩვენისაო, ნაბუქადონოსორ და ხატო მისო, ღმერთად—ღვთაებად და სალოცავად ცის ქვეშეთისა\*. (ენკენია მიდის ხატის მეორე მხრისაკენ).

**ერთი მდაბათაჯანი.** ხატია ნამდვილი ღმერთი, ღმერთი უძლიველი. როდესაც ამ სამოც-ოთხმოცი წლის წინად ჩვენს ღმერთს ბელლა-მაროდოხეს\*) დაეცა თუბალ მოშობთა ღმერთი და მოსცა წასარღენელად ზღვაზე უძლიერესი ღვარი და ის იყო უნდა შთანთქმულიყო ამ მრისხანე ტალღათაგან, ამ დროს, როგორც გვიამობდნენ ჩვენი სახლის უბუცესნი, მოჰშველებია მას ღმერთი

\*) საღმრთო წერილით: ბაალ—მოლონი.



სწორედ ამ სახისა, როგორც ეს მკვლევარმა მაგისტრმა მრისხანე, შვეურისხავს თუბალბოშოხთა ღმერთი, განუდევნია, აუშვრია ღვარნი და გადურჩენია ჩვენი უძლეველი ღმერთი დანთქმას. რაც ეს ამბავი გავიგონე, ეგ ხატი ხშირად მევლინებოდა სიზმრად, და, როდესაც ამ ათი წლის წინად მოხდა საშინელი მიწის ძვრა, დანავრია და შთანთქა უფსკრულში მრავალი დაბა და ქალაქი, მეცა და მრავალნი სხვანიც ჰხედავდნენ, რომ ეგ ღმერთი დადიოდა, არყევდა მიწას, მრისხანებდა და იძახოდა: მუსრი ბაბილონს, მუსრი ქალდეუთ, მუსრი ასურს, რადგან მრავალთა ამათავან უარპყვეს ბელლა—მარადოხე და შეუდგნენ ისრაელთა ღმერთის მსახურებას და უსმენენ წინასწარმეტყველთა მათთაო.

**წამდენიმე ხმა მღაბია ხალხიდან.** ეგ ხატი არის ნამდვილი ღმერთი. მრავალჯერ ჩვენც გვსიზმრებია სახე მისი. არა ხალხს არა პყავს აგრე დიდებულად შემკული ღმერთი. მხოლოდ უძლიერესს და უძლეველს მეფეს ნაბუქადონოსორს შეეძლო აგრეთი დიდებული ღმერთის გაკეთება. (გადიან).

**ერთი დადებულიაგანა.** მეფე იგი, დიდებული ნაბუქადონოსორ, სწორედ ნამდვილი ღმერთია. როდესაც მესმოდა ჩვენს შორს ქვეყნებში დიდება და ძლიერება მაგისი, როდესაც ხარდაცემული ქვეყანა ელოდა მისგან ცეცხლსა და სასხლში სიკაცხლის ბოლოს მოღებას; როდესაც შემუსრნა მაგან ღმერთანი და სალოცავნი ყოველთა ერთა და ნათესავთა და ვერც ერთმან ღმერთმან ვერ შეუძლო მაგის რისხვისა, ცეცხლსა და მახვილს,—მე რამდენჯერმე მევლინა სიზმრად ღვთაებრივის სახით სწორედ ეგრე, როგორც ესლა ვნახე და ბრძანებდა: ემოწეთ მახვილსა ჩემსა, მაღიარეთ ღმერთად და ცხონდეთ უკუნისამდე...



შეარე დადებულა. მრავალნი ამბობენ, რომ ეგ ცხადლავა თუ სიზმრიც, როცა ჯერ არც კი მოვლენოდა ქვეყანას და არ დაბადებულყო, ევლინებოდა მათ ღეთაებრის სახით. სწორედ მეფე ეგე არის ღმერთი ნამდვილი, ულდიერესი ყოველთა ღმერთთა... (გადიან). (შემოდინ ნაბუზანდან, ნებოდიდ და ასოფანაგ).

ნაბუზანდან. ნებოლდინ! ასფანაგ! არ მოსდევს არავითარი კეთილი ამგვარსა აზვებდასა. არც მამა-პაპათა ღმერთნი შეუნდობენ მაგას მათსა ასეთსა შეურაცხებასა. მრავალნი წინასწარმეტყველნი ებრაელთა ჰქადაგებენ ბაბილონისა დამხობას და საუკუნოთ ბოლოს მოღებას, და სიტყვანი მათნი არიან სიტყვანი არა მარტო ღეთისა ისრაილისა, არამედ უფრო სიტყვანი ღმერთთა ჩვენთა, რომელნიც ათქმევენ ამას ებრაელთა ენას, რადგან წინასწარმეტყველებისა და შესიზმრობის ნიჭი აქვთ მიცემული სუყველა ერთა უმეტეს ებრაელთა... ვის არ ახსოვს ნაბუქადონოსორ სიყმაწვილევში. რა ჰქონდა მაგას ღეთაებრისვი? მაგის ძალას შეადგენდა მხოლოდ ღრძო გული, დაფარული ხასიათი, მრისხანე სახე, და კილო მბრძანებლობისა, გონიერულნი და გმირულნი საქმენი მაგისი არავის უნახავს. ვის არ ახსოვს ეგ უბრალო სიზმრისაგან გონ-დაკარგული და მხსნიერება გაბნეული, როდესაც იგი ელოდა სხვებისაგან მხსნიერების აღდგენას და სიზმრების აღსნას? ეგეც ხომ გუშინ იყო, რომ მაგან წარმოიდგინა თავი პირუტყვად, დაიწყო პირუტყვებრ ღმუილი, გავარდა მათსა და ტყეებში და ჰსადგურობდა მხეცთა თანა. და დღეს შინაური და გარეული შტრისა ძლევაჲ, რომელნიც უფრო ეკუთვნიან ზეციერთა ეტლთა წინადვე განგებულებას, ამასთან სხვათა ძალას და ცოდენა დაწყებულებას, ვიდრემ მაგის ნიჭსა და ძლიერებას, ააზვავა და დაარწმუნა, რომ ეგ არის

ბიბლია



დმერთი, ღვთაება ნამდვილი. ოო, ძლიერო ბებ-  
ლონო! ო, ერო ქალდეველო, ო ასურ! მოსულან  
დღენი აღსრულებისა თქვენისა!

ასფანჯ. დმერთობს ეგ ებრაელთა წინასწარმეტყველობის ძა-  
ლით, მეეტლეთა, მოკვთა და ქალდეველთა მეცნი-  
ერების შემწეობით. ისინი უჩვენებენ ეტლს, უხსნი-  
ან საეტლოს, უჩვენებენ მომავალს. და მათ, რომე-  
ლნიც უნდა ჰმსახურებდნენ ნამდვილთა დმერთთა  
განგებულებას, უქცევიათ ნიჭნი და მეცნიერებანი  
თვისნი მაგისი მტარვალობისა და მესისხარობის მსა-  
ხურად. ნაბუზარდანი! ნებოლდინ! სად მიდის საქმე,  
სად?!.. რად? რად უნდა ვიყვე მე საქურისი, მასხა-  
რა ქვეყნისა, — თუმცა მრავალს დიდებას მინიჭებუ-  
ლი და ეარ ერთი უბირველესი პირი ამ უსაზღვრო  
მის საბრძანებელში, — რად უნდა ვიყვე უძლური მსა-  
ხური მისთა ხორჭათა და ქალწულთა სახის ყრმათა,  
მე, მთავარი ქვეყნისა, რომელიც ერთთა თვისითა არ  
ჩამოუფარდებოდა მამსა მისსა ნაბაბალსარს?!.. რად  
მყო სახიჩარ და საზიზღარ თვით თავისა ჩემისათვის?!.  
უძლური ლალა მაგისი სახარჭოსი, და არა მოცილე  
მაგისი ცოცხალთა კაცთა დანიშნულებებში?!.. ან შენ  
ნებოლდინ, ან შენ ნაბუზარდანი, რით იყავით ნაკლები  
მაგაზე? მკლავითა, მახვლითა, ცოდნითა და მეც-  
ნიერებითა თქვენითა გაძლიერდა, გახდა ბატონი ცის  
ქვეშეთისა, და დღეს ოლომფრე აღუმაღლებია თა-  
ნასწორ თვისსა და ბრძანებს: შემდგომ ჩემსა შენა ხარ  
პირველი ჩემს საბრძანებელშიო, ოლომფრე, რომლი-  
საც ნიჭსა და ძალას შეადგენს მხოლოდ მისი მშვენი-  
ება და დიდებული სინახავობა, რომელიც არის ამაღ-  
ლებული უფრო ქალთა ქებით, ვიდრემ თვისის ნი-  
ჭით, თვისის რინით, ვიდრე ძლიერებით და რომე-  
ლიც არის შთანთქმული მაგისი შურით, და თავს  
კი უჩვენებს უსაზღვრო ერთგულად... ნუთუ ჩვენ



უნდა სიკვდილიამდის ვზიდოთ სირცხვილი და დამ-  
ცირება თავისა ჩვენისა და არ მიუჯოთ ღირს მისა-  
გებელი უსამართლოსა მტარვალსა ჩვენსა?!

**ნაბუზარდან.** ჰზარდეთ მრისხანება თქვენი გულის სიღრმესა  
თქვენსა და იყავით იქამდის ფრთხილ, რომ ზრახვანი  
გულისა თქვენისა არ იცოდეს თვით ენამან თქვენ-  
მან, ვიდრემ არ მოვა ეამი, რადგან თვით ხეთაცა  
და ბალახთაც ასხიან ყურნი ნაბუქადონოსორისა... და  
შენ, მეცნიერო ნებოლდან, შენ, რომელაცა მეცნიე-  
რებითა და გონითა შენითა შთასწდომიხარ ცათა  
სიღრმესა, ჰკითხულობ კაცის გულში ყოველთა მისთა  
განზრახვათა, ჰხედავ ღმერთთა ყოველთა განგებუ-  
ლებათა, შენ, რომელიც ყველაზედ უფრო ნათლად  
ჰხედავ, რომ ძალა ნაბუქადონოსორისა არის მესისხა-  
რობა და არა სხვა რაიმე, — შენ პირველი უკმეგ მას  
საკმეველს, ახმარებ შენთა სამეცნიერო ძალათა კაც-  
სა მავნეს, კაცს, გონებიდან გადაშდგარს, გამხეცებულს,  
ბუნების გარდაწავალს, და იმავე ღროს ცდილობ  
ქვეყნის ბატონობას, გტკივა ქვეყნისთვის გული...  
შენ ხარ ბურჯი, რომელზედაც არის დამყარებული  
ზორცივი, ჰაერში გადმოკიდული.

**ნებალად.** მხეცობასა და მესისხარობას, რომელნიც დამკვიდრე-  
ბულან კაცთა ბუნებაში, მოუყრია თავი ნაბუქადონ-  
ოსორის გულსა და გონებაში: ამით ჰპოვებს ის  
კაცთა გულში თვისებას და ნათესაობას თავის სულ-  
თან და მით არის იგი ძლიერი. ღმერთნი ჩვენნი მე-  
სისხარობენ, ხალხნი არიან აღზრდილნი და შთავო-  
ნებულნი მესისხარობით. ქურუმნი ჰქადაგობენ მესის-  
ხარობას და ბრმა რწმუნებას: ამაშია მათი ძალა, სიბ-  
ნელე იარალი მათი. მეცნიერება არის სინათლე, და  
სინათლე არის მხილავი და მაჩვენებელი ცოდვათა  
და სიკრუეთა მათთა. მეცნიერება და ბრმა რწმუნე-  
ბა არიან მოსისხლე მტერნი, და ეამ მეცნიერებას,



თუ უდროვოდ აღმართა დრო შინა მთის რა თა და  
 ცვას მეცნიერება, იძულებულ ვართ ჩვენ, მეცნიერ-  
 ნი გვეჭიროს მაგვარი მტარვალნი ხელთა, უჩვენებ-  
 დეთ მეცნიერებას მსახურად მათდა; მხოლოდ ამითი  
 შეგვიძლიან გადავარჩინოთ მეცნიერება დევნისაგან ქუ-  
 რუცთა, უშეგრებნისაგან მტარვალთა, რომელთა გონება  
 უფრო ეწონვის უცნაურებას, ვიდრემ რასმე საცნაურს.  
 და რომ არ ჰხარდოს მტარვალმა მეფუფემ მტარვალნი  
 ერთა, უნდა კაცნი, რომელთაც აქვთ შესმენა და  
 უჭირავთ ძალა ხელთა, სკდილობდნენ გადიტანონ  
 ეს ძალა მათ ხელთა, ვისაც შეუძლიან კაცთა შორის  
 ნათელის მოფენა, კაცთა გულში მხეცური ბუნების  
 აღმოთხვრა, უცნაურების შებრძოლვა და საცნაურ  
 ყოფა. მიჰყევით მეცნიერებას და კაცთა, რომელთა  
 უპყრობათ მეცნიერება, და აღსასრული ნაბუქადონო-  
 სორისა მოსულა... ნაბუზარდენ! ასფანაგ! იყავით მზად  
 და უფრთხილდით ოლომფრეს. იგი ჰლომის მეფობას  
 და ნაბუქადონოსორცა უმზადებს თავისი უმეცრო-  
 ბით თავის ალაგს არა ნაკლებ მისსა აზვიავებულს  
 ოლომფრეს. (გადიან სამივენი).

(სცენაზე შემოდინან სამი ებრაელი: ასაბა, ბუტუხა და ასარ.  
 სამნივენი არიან ძადა მოსილნი, აღტაცებულის სახით).

ასაბა. ოჰ, ეგოვავ! ეგოვავ! საბაოთ ღმერთო! ღმერთო ძალ-  
 თაო! ღმერთო ისრაელისაგ! ოჰ, იერუსალიმ! იე-  
 რუსალიმ! ზღუდენო სიონისანო! დამმგრევი, შემ-  
 პუსვრელი და შემგინებელი თქვენი, კაცი ხორცთ  
 მოსილი, კაცი, რომელსაც არც კი შეუძლიან გო-  
 ნებით შემართვა ძლიერის და უხილავის ღმერთისა,  
 ეგოვავ! უარს გყოფს შენ და ნაცვლად შენისა აღია-  
 რებს თავსა თვისსა ღვთაებად!... ოჰ, ღმერთო, საყ-  
 დართა ზედან ცათა მჯდომელო! ნუ თუ ცოდვითა  
 ჩვენთათვის არ გვაკმარე დამცრობა და დანხოზა ჩვენი,



ქ

შემუსრვა ერისა და სახლისა შენისა და უნდა დაე  
 ცეს წინაშენ ბოელთა ნათესავთა, ენათა, ერთა და  
 ყოველთა ტომთა უხილავი და უძლიერესი ძალა შე-  
 ნი?! ბერებიავე! იახარ! არ იღსნა ერი ჩვენი ცოდუ-  
 თა ჩვენთა სასჯელისაგან არც ელიამ, არცა დავი-  
 თისა ფსალმუნთა, არცა სიბრძნემაჲმან სირაქის ძისა-  
 გან, არც ესაიამ, არცა ღალადმან და გოდებამან იე-  
 რემიასი და მიქაიასამან!... უარ ჰყვეს ეგოვთა და მცნე-  
 ბანი მისნი... და წარხლეს იგიცა ნაშთი, რომელი  
 გადაჩნა ტყვეენასა და სპოლვისა, და აღსრულდეს  
 წინასწარმეტყველება იგი, რომელი იტყვის: „და  
 აღიღებენ მას, და დასწვენ ცეცხლითა, და ვაქცევ  
 ქალაქთა იუდაისისა უდაბურად და უკაცურად“...


130989

ბერებსა. და ჩვენ, რომელთაც მოგვცემია ძალა ღმერთთან სა-  
 უბრობისა, რომელთაცა გონება არის შეუწყვეტლივ  
 ღვთაებრივთა საქმეთა შემეცნებაში და რომელთაცა  
 ვიცით ძლიერება ნამდვილის ღმერთისა, ღმერთისა,  
 რომელი არაეის უხილავს, არცა იხილვის და არცა  
 გონით კაცისათა იცნობების, — გვეუბნებიან: უარჰყუ-  
 ვით იგი და იწამეთ ღმერთად შემგინებელი ღვთისა  
 თქვენისა, დამრღვევი სახლისა ღვთისა თქვენისა,  
 წარმტყვევნი, შემბილწველი და შემშურველი ტადრი-  
 სა უფლისა თქვენისა... ოჰ, ეგოვავ! ეგოვავ! ღმერ-  
 თო ძალთაო! გველის წამება, გველის ცეცხლი სახ-  
 მილისა, მაგრამ არა ვაგცეთა შენ და გარეშე შენსა  
 არა ვაღიაროთ სხვა ღმერთი.

K 2

იახარ. აღივსო სული ჩემი დიდებითა ღვთისათა და აღიდებს  
 მას უსაზღვროსა, უხილავსა, მიუწოდომელსა და შეუ-  
 ხებელსა! არა ვაგცე შენ არცა შიშითა, არცა სასყიდ-  
 ლითა, არცა დიდებითა, არცა წამებითა.

(სამნივენი იხოქებენ, განიპრობენ ცისაკენ ხელლებს და ჰვალობენ  
 ფსალმუნს).







„ღმერთო! დაიპყრეს წარმართთა ხაშკვიდრებელი შენი, შებილწეს წმიდა ტაძარი შენი, აქციეს ნატამალად იერუსალიმი, მძოვრნი მსახურთა შენთა მისცეს საქმელად ფრინველთა ცისათა და გვამნი წმიდათა მმოსაეთი შენთა მხეტთა ველისათა. დაჰნთხიე უფალო მრისხანება შენი ერთა ზედა, რომელნი არა გცნობენ შენ, და მგფეთა ზედა, რომელნი სახელსა შენსა არა აღიარებენ. შვიდ წილ მიუზღე უფალო მეზობელთა ჩვენთა სახლსა შინა მათსა შეგინებისა და შეურაცხებისა შენისათვის!“

**ახაია.** ვხედავ მაღალთა შინა ღმერთსა და სული ჩემი ქერაბი-მათა შორის ნეტარებს, ესაუბრების და აღიდებს უფა-ლსა.

**ბერქხა.** ვხედავს სული ჩემი საბაოთს დაუსრულებელსა... ჰა! იხილეთ: განაპყრობს იგი ხელთა თვისთა, მჯდომი სერაბიმათა ფრთეთა ზედა... გვილოცავს გზასა წამე-ბისსა...

**იასარ.** მესმის ხმა უფლისა... ჰგზავნის ანგელოზთა ხსნად ჩვენ-და სახმილის ცეცხლისაგან... ღმერთი ღმერთაება ესა-უბრების სულსა ჩემსა. (სამნივენი ვადიან).

(შემოდის ვალად უნკენია. შემოაქვთ საყდრით ნახუქადანო-სარ ვალობითა და საკრავებითა და ასვენებენ მისგნით აღგებულს კერბთან).

**ნახუქადანოსარ.** ახლა მიჩვენეთ, ვინც გაჰკადნიერდა და არ აღიარა ღმერთი ღმერთად. ვინ არიან იგი წარწყმე-დნი სულთა თვისთა, ყოველთა მოდგმათა და ნათე-საეთა თვისთა.

**ნახუჩარდან.** არიან მაღიარებელნი ღმერთისა უხილავისა და უც-ნობისა (შემოჰყავთ ბურეხია, ახაია და იასარ).

**ნახუქადანოსარ.** ვინ არის ღმერთი თქვენი? სად არის ღმერ-თი თქვენი?



**ბერეხია.** ღმერთი ჩვენი არის საყდარსა ზედან ცაჲსა მსჯდომაჲრე და არის იგი შემომქმედი ცისა და ქვეყნისა-უხილავე, უხორცო ღმერთი, რომელმაც გავაჩინა შენც ისრე, როგორც სხვა ყოველი სულდგმული.

**ნაბუქადონოსორ.** სად იყო ის, როდესაც მე შევმუსრე ვრი მისი, საყდარი მისი, ქალაქი მისი?!.. თუ მე ვარ შექმნილი მისი, მაშ როგორ ვძლიე მე იგი?!.. უსჯულლონო, ურწმუნონო! ცა იცვალა, ქვეყანა იცვალა! ქვეყანამ ალახილნა თვალნი თვისნი და თქვენ ისევ მაძით უკუნისამდე არ იცვლებით სჯულისა თქვენი-საგან... და სჯულისავე თქვენისათვის იქნებით უკუ-ნითი უკუნისამდე დევნილ ყოველთა ერთაგან პირსა ყოვლისა ქვეყნისასა...

**ქადაგა.** აღიარეთ ღმერთი ღმერთად და ხატი მისი ღვათებად და ხატად მისად. უარპყავთ ეგოვა თქვენი და აღიარეთ ნაბუქადონოსორ.

**ახააბ.** ნაბუქადონოსორ არის მეფე უძლიერესი, უძლეველი, არის მბრძანებელი ჩემი, ხოლო ღმერთი არის ეგოვა, ღმერთი ძალთა, უძლიერეს ყოველთა ღმერთთა.

**ახანან.** არ არის ღმერთი ხორც-მოსილი, არც შობილი, არცა მაკვდავი, ღმერთი არის დაუსაბამო, დაუსრულებელი, უსაზღვრო, უხილავე, მიუწვდომელი. მეფე ნაბუქადონოსორ კი არის ძე, უკვე მკვდართა, ნაბაპალსარისა და ნეტოკრისასი, აქვს დასაბამიცა, დასასრულიცა და საზღვარიც. მხოლოდ მეფეთა შორის იგი არის უძლიერეს ყოველთა, ვითარცა ღმერთთა შორის ღმერთი ეგოვა.

**ბერეხია.** არა არს ღმერთი უძლიერეს ღვათისა ისრაილისასა, მხოლოდ ნაბუქადონოსორ არის რჩეული მისი, რათა ხელითა მისითა დაჰსაჯოს ყოველნი ერნი შეცოდებათა და უსჯულოებათა მათისათვის.

**ნაბუქადონოსორ.** მე ვაჩვენებთ, რომ ვარ თქვენი, მეფე კი არა, ღმერთი... და, ვაი თქვენ, უარისყოფელნო ჩემნო!





ან აღიარებთ თქვენ და ნაშთი ერისა თქვენისა მყესა ცის ქვეშეთისასა ნაბუქადონოსორს და ხატსა მისსა ღმერთად, ან აღიგვის მთელი ერი თქვენი პირისაგან ქვეყნისა, მახეილისა ჩემისაგან, და დაე გიხსნასთ თქვენ ეგოვაჰან თქვენჲან რისხეისაგან ჩემისა... შევბუსრაფ საუკუნოდ სიონს და აღვაგებ მუნ ხატსა ჩემსა და გაეხდი შესაწირავად მისსა ქალწულთა და დედათა თქვენთა, ჩწვილთა და ნორჩთა თქვენთა, რომელთაც ხელითა თვისითა დავაკვლევინებ შესაწირავად ძეთა და ასულთა მათთა და შევასმევ მათ სიხლთა თავისისავე ხელით დაკლულთა შვილთა მათთა...

**ხატა.** იწამეთ და ცხონდეთ უკუნისამდე!

**ქურუმთ უხუცესა.** აგერ თვით ხატი იგი გიბრძანებთ იწამოთ იგი ღმერთი ხილული, და უარჰყოთ ღმერთი უხილავი, რომელიცა თქვენისავე სწავლით არავის უხილავს, არის გონებისა და ცნობიერებისათვის მიუწვდომელი. უწინარეს თქვენსა ერმან ჩვენმა აღიარა ღმერთი უხილავი და თქვენ ისწავეთ იგი ჩვენგან. მხოლოდ ჩვენ უარჰყავით იგი, რადგან: რაი არს ღმერთი, რომელი არა იხილვის, არცა მიიწვდომების, არცა იცნობის?!.. ჰა ღმერთი (უწვენებს ნაბუქადონოსორზე) ხილული, რომლისა ძალა და ძლიერებანიც იცნობებიან ყოველთაგან და იხილვიან ყველასაგან. ცხად არს ყოველთათვის, რომ მას უბყვრია ძალა შემუხერად ყოველთა ღმერთთა და სულთა და ხორცთა ყოველთა ერთა, მეფეთა და მთავართა.

**ხატა.** იწამეთ და ცხონდეთ უკუნისამდე.

**ბუკუსაა, ახაია და ახსაჲ** (უცებ იხოქებენ და აღაპრობენ ზეცისაკენ ხელთა). ჰე, უფალი ღმერთი ჩენი! იხილეთ ურწმუნონო მჯდომი იგი ღრუბელთა ზედა, მოსილი მზეზე უცხოველესის ნათლით. ისმინეთ გალობა და ღაღადი ძალთა ზეციერთა. ისმინეთ ხმანი ციურნი,



რომელნი აღიდებენ და შეამკობენ ღმერთსა ისრაილისასა. (გალაზებენ თვითონაც.) აღიესი სული ჩვენი ძალითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოავიჩინდა ჩვენ..“

**ნაბუქადანასო.** ასწით და ჩაუშვით ეგენი ხატის პირისაგან ამომმეშვინვარე ცეცხლში და დეე, უშველოს მაგათ ეგოვამან მათმან.

(მტარვალნი სტაცებენ ხელს და მიჰყავთ ცეცხლისაკენ. ხატის პირიდან მატულობს ცეცხლი და აღმოჰქმუნს საშინლად.)

**ქურუმნა.** დაიწვით, ურწმუნონო და გაუტებელნო, ცეცხლსა სახილისასა!

**ნაბუქადანასო.** ნაბუზარდან! შენ ხარ მიზეზი ამი ჩემი უბატურებისა. შენ გქონდა ბრძანება ჩემი, რათა მოგესპო და დაგეტყვევებინა მთელი იერუსალიმი, მთელი იუდა და შენ არ აღასრულე იგი, მეტი წილი გაუშვი ცოცხალ და დაუტყვევებელ, მრავალნიც დააბრუნე ტყვეობიდან. (თავისთვის) უნდა შეიმუსროს ნაბუზარდან, რადგან მაგას თავისი თავი ოლომფრუნე ღირსად მიაჩნია და ოლომფრე კი უფრო აღემაღლე. ამგვარნი კაცნი ყოველთვის იმარხვენ გულსა შინა თვისსა ბოროტსა თვისდა მეუფეთადში და მზად ირიან ვნებად მათდა. ყოველს მაგის სახის მოძრაობაში ისახვის სიძულვილი და ორგულობა ჩემი. თვით თავდაქერა და სიფრთხილე ვერა ჰფარვენ მაგის გულში აღგზნებულს შურის ცეცხლს, რომელიც ჩაჰქრება ან სიკვდილით, ან გულის წადილის შესრულებით. უნდა შეიმუსროს იგი! (მტარვალთ) შეიპყართ ესე და განამზადეთ ღომთა შესაქმელად. (ასფანავს). ასფანავ! შენცა დიდი ცოდო მიგიძღვის ამ საქმეში, რადგან შენ მიჩიე დაახლოვება ებრაელთა წინასწარმეტყველთა და მესიზმრეთა, და იგერ დღეს ისინი პირველნი შეიქნენ უარისმყოფელნი ჩემნი. (მტარ-



ვალთ) წაიყვანეთ ესეც და შეასვით მას სამსალა ტკბილ-  
 მისაძინებელი საუკუნოდ განსასვენად და შეჰსვას ფია-  
 ლი ხელითა მშვენნიერთა ხარქათა ჩემთა, და იგემოს  
 სიკვდილი ტკბილი ხელთა მითთაგან, რათგან სულ  
 სწუხდა, რომ იყო მოკლებულ მშვენნიერთა თანა განცხ-  
 რომით. ნებოლიდ! არცა შენ, მეცნიერებაი შენი  
 კეთილ განზრახვებს ჩემდამი. სული ჩემი ჰხედავს გუ-  
 ლის თქმათა შენთა, ძილის შინანი ჩემნი მიჩვენებენ  
 შურსა და განზრახვათა შენთა. (მტარვალთ) შეიპყა-  
 რით ეგეც და მიეცით სამკითხაოდ მეეტლეთა და  
 შესტროლაბეთა, რაისა სასჯელისა ღირსია იგი გუ-  
 ლის თქმათა და განზრახვათა ნათათვის. (ოლომფრეს)-  
 ოლომფრეს! (მტარვალნი იჭებენ ასფანავს, ნაბუზარდანს და  
 ნებოლიდს).

**ოლომფრეს.** (წარსდგება ნაბუჯადონოსორის წინაშე). ვახლავართ მონა  
 ღვთაებობისა შენისა და ღვთაებრივის ბრძანებისა  
 შენისა.

**ნაბუჯადონოსორ.** აღმხედრდი ყოველითა მხედრობითა ჩემითა,  
 მოჰკრიბე ყოველი ჩემი საბრძანებლიდან მეფენი და  
 დიდებულნი, მთავარნი და სატრაპნი, ყოველი კაც-  
 თა ნათესავნი, წადი და აღმოჰყებარ ძირით ყოველი  
 ერი ებრაელისა, რომელი აღიარებს ეგოვას და არა  
 მე და ხატსა ჩემსა ღმერთად; ჩაჰმარხე უფსკრულსა  
 ქვესკნეთისასა ქალაქნი და დაბანი მათნი, და დაამკ-  
 ვიდრე სამკვიდრებელსა მათსა ერი მსახური და ერთ-  
 გული ჩემნი. (ხალხში გაისმის კრიაშული. აზია, ბერენია და  
 იახარ მიჰყავთ მტარვალთა კიბეზე ცეცხლში ჩასაყრელად).

**ქადაგი.** იწამეთ მეფე ნაბუჯადონოსორ და ხატი მისი ღმერ-  
 თად და ცხონდეთ უკუნისამდე.

**ახაარ, ბერენია და აახარ.** ჩვენა გეწამს ეგოვა, საბოთ ღმერ-  
 თი, უკვდავი, უხილავი, მიუწლომელი, მსაჯუ-  
 ლი ცათა და ქვეყანათა. (ჰგალობენ), აღიდებს სული  
 ჩემნი ეგოვას, ღმერთსა ისრაილისასა და არა არს.



ღმერთი უძლიერეს იმისა. (მტარვალთ მიჰყავი ხატის  
პირთან ახია, ბერებია და იაზარ).

**ქადაგა. ვაიხსენ, ცეცხლო ჯოჯოხეთისაჲ, და შთანთქი ურწმუნონი ესენი!**

(გაიღება პირი ხატისა, აღმოაქმუნინავს საშინელი ცეცხლი. ძალა ცეცხლისა ეკუმთ მტარვალთა და გადმოცვივიან ძირს დამწვარნი).

**მტარვალნი.** (მომაკედანნი) იდიდოს სახელი ღეთაგებისა და ღმერთთ უღმერთისა ნაბუქადონოსორ უძლეველისა. იკია ღმერთი და არა არს ღმერთი უძლიერეს მისსა. (იხოცებიან).  
**ახაა, ბუგუჩაა და იაზარ.** აღიდებს სული ჩენი ეგოვას, საბაოთ უძლიერესსა ღმერთსა და უძლურ არს წინაშე მისსა ღმერთი ყოველთა ერთა და ნათესაეთა. (სცივიან ცეცხლში).



## მოძველება მეორე

სცენა წარმოადგენს იერუსალიმს. ტაძარი სოლომონისა ალაგ-ალაგ დანგრეულია, ალაგ-ალაგ შეკეთებული ახლად. ტაძართან არის მრავალი ხალხი შეყრილი. სხვათა შორის აქ არიან მღვდელ-მთავარი ელიაკიმ (იგივე იოაკიმ), ლევიტნი, შვედართ-მთავარნი, ქალწულნი სიონისანი. ხალხი და თვით ტაძარი არიან ძაბით მოსილნი. მრავალგან ანთია საღმრთო საკმეველი. ხალხს გაუბღია სამოსელი თვისი და უფენია წინაშენ ტაძრისა, თვითონ ზედა სდგანან დაჩოქვილნი. ისმის ზმა საკრავთა და ლაღადისი. სიონის ქალწულნი და ლევიტნი ჰგალობენ, ხალხი თან მისძახის და თან იყრის თავზე ნაქარს.

ბაბილონისა წყლისა კიდეთა  
ვისხედით, ვღვრიდით სისხლის ცრემლებსა  
და გიგონებდით, ჰოი სიონო  
უცხო ქვეყანას დატყვევებულნი.  
საგალობელნი შენნი დაგვიდეთ  
გაუქმებულნი ხისა შტოებზე.  
შემმუსვრელი და მტყვეველი შენი  
ჩვენ გვიბრძანებდა მრისხანე სიტყვით,  
რომე ფსალმუნით და გალობითა,  
რომლით გამკობდით შენა, სიონო,



მათ სასმენელი დაგვეტკობო ჩვენა,  
 და მოგველხინა მათ ზეავი გული.  
 ვით ვიგალობოთ უცხო ქვეყანას  
 საგალობელი შენი, უფალო!...

თუ დაგივიწყო იერუსალიმ,  
 დაე წაშერთვას ჩემი მარჯვენა.  
 დაღუნდი, ენავ, მიეკარ სასას,  
 თუ სიონს გარე აღმოსთქვა ქება!  
 გაქვავდი, გულო, თუ რომ გარეშე  
 იერუსალიმის მიეცე ღხენას!  
 ედომის ძეთა შენ მოაგონე,  
 ჰოი უფალო, სიტყვანი მათნი,  
 რომელს შესძახდნენ იერუსალიმს:  
 „მოსთხარეთ! დასწვიოთ! აქციეთ ფერფლაღ“!  
 ბილწო ასულო ბაბილონისა,  
 ქვეყნის წარმტყვევნო და შემშუსრველო!  
 ნეტარი არის, ვინც შენ მოგიწყაეს  
 ასწილ მის, რაცა შენ ჩვენ მოგვაგე!“

(თავდება დაღადისი. ხალხი წამოიშლება).

**ელაჩამ.** აქ იყვნენ სამარიტელთა, კანიისა, ვეტერონისა, ბელმენისა, იურიჭონისა, ხობისა, ესარისა და სხვათა ჩვენთა მგზობელთა და ნათესავთა ერთა მოციქულნი, რომელნიცა მე დავიბარე, რომ მოგვეშეღებოდნენ ამ საშინელსა განსაცდელსა ესა, რომელიც ხელ-ახლა მოგვედგომია ბაბილოვნელთა და ასურთაგან... იხსნან ჩვენთან ერთად თავიანთიცა და ჩვენი თავიცა მუსრვისა, ტყვეებისა და ბილწებისაგან. (მოციქულნი შემოვლენ).

**ერთი მოციქულთაგანა.** ჩვენ ყოველივე ჩვენი მხედრობით მზად ვართ ჩვენი მტრის საბრძოლველიად. რადგან პირველი გზა ჩვენი ქვეყნებისაკენ არის ურიასტანი, უნდა ყოველი ჩვენი ძალით დავუხვდეთ მტერს იუდის



სახელებზე. გვიბრძანე, უდიდესო მღვდლო ებრაელთა, და წავალთ მტრის საბრძოლველად იქ, სადაც შენ დაინახავ ამას საქიროდ.

**ელაიკამ.** უნდა დაიჭიროთ ადგილნი მთის ხეობებსა და მწვერვალებზე ეზდრილონისა და დოთაიმის პირდაპირ, საიდანაც არის შენოსავალი გზა ხეობებით იუდიანთა ქვეყანაში, და სადაც დღესა სდგას ძლევა-მოსილი მხედრობა თლომფრე ძლიერისა, ნაბუქადონოსორ მეფის უპირველესი მხედართმთავრისა. წადით და შეუერთდით მუნ მხედრობათა ჩვენთა. იყვეს ღოცვა და კურთხევა წმინდისა სიონისა და მეფისა ჩვენისა ეგოვასი თქვენსა და თქვენს მხედრობასა ზედა.

**ერთი მოციქულთაგანი.** ილოცეთ ჩვენთვის, დაგვედრეთ ღმერთთა თქვენთა, რათა დაეხმარნენ ეგენიცა ღმერთთა ჩვენთა, და ღმერთნი ჩვენნი აღვეითქვამენ ჩვენ ძლევისა. წინასწარმეტყველნი, მეეტლენი, მემისნენი და მესიზმრენი ჩვენნი გვიქაღიან ძლევისა და შემუსრვას ჩვენი საერთო მტერისას.

(ყველა მოციქულნი ვადიან).

**ელაიკამ.** ვაი ჩვენდა, რომ ცოდვითა ჩვენთაგან ჩვენს ქვეყანაში შესწყდნენ წინასწარმეტყველნიცა, და ჩვენი ერი წინასწარმეტყველობს მხოლოდ ბაბილონსა თავის საშინელს ტყვეობაში.

(ამ დროს შემოვა სკენაზე ორი მოციქული ბეთილიდან).

**1-ლი მოციქული.** (მოსცემს ელიაკიმს წიგნს). ეს გახლავთ წიგნი ბეთილიდან მხედართმთავრის ოზიისა. ბეთილი განსაცდელშია. კალიათა უმრავლესი მხედრობა სდგას ეზდრილონს და ეშუქრის ბეთილს. მარტო მეფენი და მთავარნი უცხო ტომთა თლომფრეს მხედრობაში შეარდგნენ იმდენს, რაოდენსაც შეადგენს მთელი მხედრობა იუდიანთა ბეთილის სიმაგრეში. შემუსრვას და გაასწორვს მიწასთან ყოველნი ჩვენნი მეზობელ-



ნი ეჭნი რომელნიც არ გადუდგნენ თავის სალო-  
ცავს და არ აღიარეს ნაბუქადონოსორ და ხატი ში-  
სი ღმერთად. არ არის დანდობა არცა დიდისა, არცა  
მცირისა, არცა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა... შათ-  
გან მოღებული ცეცხლის ალემბი ეტანებიან თვით  
ცასაც კი, თითქო უნდა თვით ამ ქვეყნების ცაცკი  
შთანთქას თავისი ღმერთებით თავის აღფლგებულს  
ტაღლებშიაო.

**2-რე მაცეკული.** ხალხს გული უტყდება. შიშის ზარმა მოიცა  
მთელი ქვეყნები. მრავალნი დადიან და დაჰქადაგო-  
ბენ იერემიის წინასწარმეტყველებას: რომ საბათთ  
ღმერთის ბრძანებაა დავემორჩილნეთ ნაბუქადონო-  
სორს... მხედრობა ელის ახალს და ძლიერს შეფენაო,  
ჯარს თავის მისაშველებლად. ერს გააძნევებს მხო-  
ლოდ შენი ბრძანება, შენი ღოცვა-კურთხევა... ახა-  
ლი წინასწარმეტყველება, ახალნი სასწაულნი.

**უდააკამ.** (კითხულობს თხოვს წიგნს და როცა გაათავებს) დიაღ, ბე  
თილი არის განსაცდელში. ერო მხოლოოდისა ღმერ-  
თისა, მღვთისა ისრაილისა, იუდიანთი ბეთილზედ  
არის ახლა დამოკიდებული: მოისპოს თუ დარჩეს  
ერი ღვთისა! შესწყდეს თუ არა საუკუნოდ დიდება  
ღვთისა ამრაამისა, ისაკისა იაკობისა.

**ხაღხადას ხშება.** რა ექნათ, გაიწირა კვალად იუდა, გაიწირა  
კვალად ისრაელი. შეუწყალებელი ქალღუ და ასური  
მოგედგომია კვალად რისხვითა... ჩვენთვის აღარც  
მეფე, აღარც წინასწარმეტყველნი! სად არის, ვინ არის  
ჩვენი მხსნელი, ჩვენი პატრონი?!

**უდააკამ.** უსჯულოებამან ჩვენმან გვიხწია ჩვენ. წარიტყვევნა  
იუდა, დაემხო სახლი ღვთისა, შეიგინა ქურქელი  
წმინდა, და, როდესაც დღეს კვალად დაბრუნდა ერი  
ევვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან, სადაც იმაღავედნენ  
თავებს ასურთა და ქალდეელთა დევნისაგან, და-  
ბრუნდა მრავალი თვით ბაბილონიდან; როდესაც



კვლად აღნთო საღმრთო ლამაზარი, განახლდა მსახურება მღვთისა, იწყო განახლება სიონმა, განახლდა იერუსალიმი, აღგნენ უბანნი და სახლნი დაბათა და ქალაქთა იუდისასა, კვლად ძალითა თვისითა შეკრება იუდა საღიდებელად ღვთისა ისრაილისა, ოჰ, სიონო! კვლად განრისხდა ღმერთი უსჯულოებისა ჩვენისათვის და გვემუქრის აღგვას პირისაგან ქვეყნისა... შეინანეთ შეცოდებანი თქვენნი.. უსჯულოებისა და ურწმუნოებისა თქვენისათვის მრისხანებს ეგოვა, ღმერთი ძალთა, საბოთ ღმერთი ისრაელისა.

**ხმა ხატხადას.** გვიბრძანე, მღვდელ-მთაფარო, გამგეო სულისა და ხორცისა ჩვენისა, კაცო ღვთისა, მბრძანებელიო ერისა, საღმრთო სჯულისა ხელთა მჭირაო: რა არის ცოდვა ერისა ჩვენისა? რა უნდა ვქნათ, რომ იყვეს საამურ ღვთისა ჩვენისა, რომ შევასრულოთ იგი, შევინანოთ ცოდვანი ჩვენნი, რათა მით ავარიდოთ ცოდვა და შვილთა ჩვენთა რისხვა ღვთისა და არ მივეცეთ ჩვენ ყველანი კვლად მუსრვასა, ტყვევნასა და ბილწეასა უსჯულოთაგან.

**ერთი ღვთაებაგანა.** ოჰ, თქვენ სჯულისაგან გადამდგარო! ბრძანებს უფალი ღმერთი ჩვენი მოსეს მეორე სჯულოთა წიგნში: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე შენ ეგვიპტით და გიხსენ მონებისაგან, და არა იყვეს შენდა ღმერთი ჩემსა გარე“ და თქვენ? თქვენ ემოყვრებით იმ ერთ, რომელთა ღმერთნი არიან მოსისხარ და მებრძოლ ღმერთისა ჩვენისა ეგოვისი; გიხედან კერპნი მათნი სახლთა თქვენთა და ალოცებთ მათზედან სახლობათა თქვენთა, რომელნიც, წინააღმდეგ მოსეს სჯულისა, მოგიყვანიათ უცხოტომთაგან და ხშირად თვით თქვენ ლოცულობთ და აღიარებთ ბაალსა და ასტარტის და სხვა მრავალთა ღმერთთა ეგვიპტელთა და ბაბილოვნელთა! და ბრძანა უფალმან საბოთ ღმერთმან პირითა მო-



სესითა: „უკეთუ თქვენ გადამიდგეთ, მე, მადგმართავთ შრისხანებასა ჩემსა თქვენზედ, და შეგმუსრავთ ყოვლითა ძალითა ჩემითა ცოდვითა თქვენთათვის და მოვიტან თქვენზე მახვილსა ზღვევისა ჩემისასა აღთქმისა ჩემისა დარღვევისათვის!.. და დაგსჯით თქვენ შვიდ წილ შეცოდებათა თქვენთათვის, და სჯამდეთ თქვენ ხორცთა ძეთა და ასულოთა თქვენთა! გავსწმენდავ თესლისა თქვენისაგან ქვეყნასა თქვენსა, რომ ჰკვირობდნენ მტერნი თქვენნი, დასახლებულნი ილავსა თქვენსა და თქვენ განგაბნევთ პირსა ყოვლისა ქვეყნისა... შთომილთა თქვენთაგანს შთაუთესლებ გულსა მათსა მშიშროებასა ისეთსა, რომ თვით უბრალო ფურცლის შრიალიცა აფრთხობდეთ მათ და გარბოდნენ მისგან, ვითარცა შემართული მახვილისაგან... რამეთუ უფალი ღმერთი თქვენნი არის ცეცხლი, ღმერთი შურის-გებისა! ცოდვანი თქვენნი ჰლადდებენ ცად მიმართ და ღმერთმაც მოგივლინათ მსაჯულად თავი ყოველთა უსჯულოთა, ნაბუქადონოსორ...“

**ხმა კრძან.** როდესაც ჩვენ, შეშინებულნი ნაბუქადონოსორ მეფისაგან, გავრბოდით ეგვიპტეს, დიდი წინასწარმეტყველი ჩვენი იერემია გვიქადაგებდა ჩვენ ერთგულებასა ღვთისა საბაოთ ღმერთისასა, თუ არა გვიქადიდა, რომ ღმერთი იგი მოგივლენთ სენს, მახვილსა და ცეცხლსა მტრისასა, მოსპობს თესლსა თქვენსა პირისაგან ქვეყნისასაო. გავვდიოთ ეგვიპტეს. გაჩნდა სიუძილი. არ იყო არსად საშველი, ვიდრემ არ მივეცით შესაწირავი ღმერთთა ეგვიპტურთა, ვიდრემ არ ემსახურეთ ღვთაებასა მათსა დედოფალსა ცისასა. მხოლოდ მაშინ გვევლინა ჩვენ შვება: მოვიპოვეთ საზრდოცა და მოსვენებაცა... გავიდა ხანი. მოვიდა ნაბუქადონოსორ უძლეველი ეგვიპტეს, შემუსრა ეგვიპტე. ჩვენ კი დაერჩით უვნებელ და დაე-



რუნდით ქვეყანასა ჩვენსა. მოვედით აქ და ხსენებდით ვმსახურებთ ღმერთსა ამა ქვეყნისასა, ღმერთსა ისრაილისასა, ელოვას. იქ გვიჩინეს ძალა და სასწაული იქაურთა ღმერთთა და ვმსახურებდით მათ. აქ ვმსახურებთ აქაურსა ღმერთსა. ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი ღმერთი და ყველა ღმერთს აქვს ძალა მხოლოდ თავისს ქვეყანაში.

(შემოვარდება ახალი მოამბე ბეთილიდან).

**შაჰშე.** (გულია ჭკანით). უსჯულო მთავარჰან ნაბუქადონოსორისამ, ოლომფრემ შეუკრა წყალი ბეთილს და დარჩა ერთი უწყლოდ. მხედართმთავართა ოზიამ, ხობრიმ და ხამრიმ გამომგზავნეს საჩქაროდ, რომ დროთა შოაშველოთ მხედრობა. უწყლობამ იქამდის გაუჭირა ერს, რომ თხოულობს დამორჩილდნენ ბაილოვნელთა. ოლომფრეს აქვს ბრძანება ნაბუქადონოსორ მიძღაერისა, რათა საუკუნოდ მოსპოს თესლი ისრაილისა, აღმოაჭუხერას კაცთა ნათესავთა ხსოვნაში სახელი ელოვასი, საბოთ ღმერთისა. და თუ აიღეს ბეთილი, ვაი ქვეყანასა ისრაილისასა, ვაი ერსა უფლისა ჩვენისასა!... ეხლაე! ეხლაე, თორემ არ არის ხსნა, ერთი ჰღელავს... შეიძლება თვით ისრაილმა შეახოს ხელი ღმერთსა ისრაილისასა...

**ერთა მსუღრთმთავარზაგანა.** მიუხედოთ! ვახსნათ ბეთილი, ვახსნათ ბეთილი ისრაილი.. ლევიტნო! ლოცვა და კურთხევა თქვენი!... ელიაკიმ, მოციქულო და ნაცვლო ღვთისაო, წარუგზავნე ბეთილს ლოცვა და კურთხევა შენი... წარუგზავნე მუნ კარავი ქურჭლისა ღვთისა. წარუძღვინე მას ლევიტნი... იხსენით იუდა, იხსენით მთელი ისრაილი, იხსენით სახლი ღვთისა.

**ერთა ერთაგანა.** თქვენ, მღვდელმთავარო და ლევიტნო! რათ არის ესე მრისხანება საბოთ ღმერთისა ჩვენზე? ჩვენთუ ერთი და ორი შევცოდეთ მას, მაინც ისევ ჩვე-



ნა ვართ მსახურნი მისნი, ვვესავეთ დროველიარებთ  
 მას; სხვანი სრულიად უარს ჰყოფენ და სდგებიან მას  
 შესაძუსრად. რატომ ჩვენ გვივლენს მრისხანებასა  
 თვისსა და აძლევს ძლევასა ჩვენზე ვრს, რომელიც  
 არის ჩვენიცა და მისიცა მოსისხლე მტერი?! ჩვენზე  
 მრისხანებს?! ჩვენ ვიყავით შემკოლნი?! — რად მისცა  
 ნება ასურსა და ქალღუს, ბაალ კერპისა მთაყვანებ-  
 ლებს და შეამუსერინა სახლი თვისი?!

**მეორე ხმა კრიაღან.** ქვეყანამ ალიარა ნაბუქადონოსორ მეფე  
 ღმერთად... მან შემუსრნი ღმერთი ყოველთა ერთა,  
 ჩვენ გვიქადაგებდა ჩვენი დიდებული წინასწარმეტ-  
 ყველი იერემია, დავუმონებოლდით ნაბუქადონოსორს:  
 ამათა ბრძანებს ღმერთი ისრაილისა იეგოვავო. თქვენ,  
 ლევიტნო და მხედართმთავარნო, არ უსმინეთ იერე-  
 მისს, და შეიმუსრა იუდა, შეინუსრა სახლი ღვთისა,  
 შეიმუსრა სიონი... ახლა ბრძანებთ, ასურ და ქალ-  
 ღუ მოგვდგომია კარს მიტომ, რომ ღმერთი მრას-  
 ხანებს ჩვენზე შეცოდებათა ჩვენთვისო... უკეთუ დაე-  
 ნებდით ჩვენით, როგორცა ბრძანა იერემიამ და  
 ღვთის ბრძანებაც ასეთი ყოფილია, მაშინ ცხადია,  
 ღმერთი აღარ მიუშვებს მტერს, რომ მივეცეთ სას-  
 ჯელს და მოგვეტყვება შეცოდებანი ჩვენი: ქალაქ-  
 ნი ქალაქად, დაბანი — დაბებად, იუდა — იუდად, ქვე-  
 ყანა — ქვეყნებად დარჩებიან... გვეყო ამდენი ტყვეე-  
 ნა, მუსრეა, ოხრება ეგოვასათვის... ვალიაროთ ნაბუ-  
 ქადონოსორ ღმერთად, ვცეთ თაყვანი ხატსა მისსა,  
 რადგან უძლიერესს ყოველთა ღმერთთა იკინი აღ-  
 მოჩინდენ და მათგან იძლივნენ ყოველნი ღმერთნი...  
 ჩვენ გვინდა ღმერთი ხილული, და არა უხილავი,  
 ღმერთი, რომელიც ყოველსა პირისპირ ესაუბრება,  
 პირისპირ უსმენს და აძლევს საშართალსა...

**მრავალა ხმა კრიაღან.** გვეყო, გვეყო ამდენი წამება და სა-  
 ტანჯველი. ნაბუქადონოსორ არის ნამდვილი ღმერ-



თი, უძლიერეს ყოველთა ღმერთთა... და არა ტარტა არიან ღმერთნი მომშენებელნი ქვეყნისა, მომცემნი სიტკბოთა და ნეტარებათა.

**შესაბუხა** კარაჯან. მრავალთა იუღიანთა აღიარეს ბამილონს ღმერთნი ბაბილონისანი და მრავლობენ ბედნიერს ცხოვრებაში, —მათ უკირავთ უპირველესი სიმდიდრე ბაბილონისა: მედინარობა, მეფსალმუნობა, მემუსიკობა, ვენახნი და სახნავნი, სასახლენი და ტაძარნი... რატომ ჩვენ, მცირე შეცოდებათვის უნდა დავისაჯნეთ, მოისპოს თესლიცა ჩენი საბაოთ ღმერთისაგან, ჩვენ, რომელთაც ვმსახურეთ მას, აღვაგეთ და განვაახლეთ ტაძარი და სახლი ღვთისა, და არა ისრინი, ვინც ვასცა ღმერთი თვისი უზილავი, ღურთ, ეგოვა, ჰგმო იგი საუკუნოთ, შეუდგა სხვა ღმერთთ, მსახურებასა, და პირიქით, ეძლევათ მათ ყოველი ბედნიერება?!..

**ვლადიმერ**. და აღსრულდეს უსჯულოებისა და ურწმუნოებისა თქვენისთვის სიტყვიანი უდიდესის წინასწარმეტყველისა იერემიასი, რომელთაც იტყოდა იგი, როდესაც თქვენ გარბოდით ეგვიპტეს და ანებებდით სახლსა უფლისასა თაჲს. „არა დასცხერით თქვენ, არცა შეიშინეთ, არცა ემორჩილენით სჯულთა ჩემთა, არცა მიჰყევით მცნებათა და დარღვინებათა ჩემთა... ამისათვის, ბრძანებს უფალი ძალთა, ღმერთი ისრაილისა: აჰა, მე შევაქცევ პირსა ჩემსა მრისხანედ იუდასა, რათა იგი აღვავო პირისაგან ქვეყნისა უსჯულოებისა მისისათვის! და შესრულდეს წინასწარმეტყველება მიქაი მოსანელისა, რომელი ეტყოდა მთელსა ერსა იუდაისასი: „ისე ბრძანებს უფალი ძალთა: „სიონი იქმნეს გადახნულ, ვითარცა მიწა საყანე, და იქცეს იერუსალიმი ნატამალ ნანგრევთა თვისთა, და მთა იგი სიონისა იყვეს, ვითარცა ტყე მალნარისა!“ ისრაილ! ვინ გიხსნა შენ ეგვიპტელთა ტყვე-



ობისაგან?! ისრაილ! ვინ გააპო ზღვა მეწყამულთ, გამოგიყვანა ქვეყანასა აღთქმისასა და შთანთქა ღურღუმსა ზღვისასა უმრავლესნი მხედრობანი თარაონისანი, მღვენელნი შენნი?!. ისრაილ! ვინ მოგცა შენ სჯულის წიგნი მთასა მალალსა სინასასა, დაგაყენა თავსა ყოვლისა ქვეყნისა და აღგიჩინა გრად თვისად?! ისრაილი ისრაილი!... მრავალ წილ გასწავათ საბოთ ღმერთმა სასწაულითა დიდითა უსჯულოებანი თქვენნი და არა ისმინეთ თქვენ!.. კვლად გადასდგომიხართ ღმერთსა ისრაილისასა და გინდათ აღიაროთ ღმერთად კაცი, ხორც-მოსილი, კერპი, უბრალო შექედილი, კაცთა ხელთა შექმნილი და გადასდგომიხართ ღმერთსა ხელთ-უქმნელსა, ღმერთთსა უხილავსა, ღმერთსა, რომელმაც შეიღს დღეს შექმნა მთელი ცა და ქვეყანა და მისცა სჯული ისრაილსა!..

**მრავალი ხმა კრავან.** სასწაული, სასწაული!.. გვიჩვენეთ სასწაული: მხოლოდ სასწაულს შეუძლიან აღდგენა სარწმუნოებისა, განწირვა თავისა ელოვასათვის... ხატო ბაბილოვნისა ესაუბრება პირისპირ მთელს ერსა, ამდღეს წყალობას, უჩვენებს სასწაულს... ჩვენც გვინდა გვესაუბროს პირისპირ ღმერთი ჩვენი, ღმერთი ისრაილისა, გვიჩვენოს სასწაული. (ხალხში მატულობს ხმაურობა და ყრიაბული) სასწაული, სასწაული! გვიჩვენეთ ნიშნები ზეციდან... გვიხსენით სასწაულითა!

**კლაკამ** (მრისხანედ). სასწაული არ არის ბრმათათვის; სასწაული არ არის ურწმუნოთათვის!.. იმათთვის არის სასწაული მხოლოდ სახითა სასჯელისათა... ცოდვითა და უსჯულოებათა თქვენისათვის ყოველ დღე მხედავთ სასწაულს ამგვარსა, და დღეს მოგელისთ სასწაული ისეთი, რომლისა მსგავსიც ჯერ არ განუცდია იუდას, სასწაული... დიდით პატარამდე, დედა-კაცით მამა-კაცამდე და ყოვლისა თესლისა ისრაილისასა აღ-



გვა უკუნისამდე პირისაგან ქვეყნისა...  
ხელი შემართულია თავსა მთელის ისრაილისასა.

**ხმება ხალხადან.** თქვენმა მუქარამ, თქვენმა ქადაგებამ, თქვენმა ნიადგე ჩვენის ერისა შიშში ჩადგებამ მოუღო ბოლო იუდასა... ჩვენა გვრწამს ნაბუქადონოსორ და ვალიარებთ მას ღმერთად... ჩვენ ის დაგვიფარავს ყოველი განსაცდელისაგან.

**ერთი მხედარამთავართაგანა.** თქვენზე არც მუქარა, არც ტყბილი სიტყვა არა სჭრის. თქვენზე სჭრის ძალა და მანვილი... თქვენი უსჯულოებისათვის ღმერთი აყენებს სასჯელს მართალთაც.

**მწაგალი ხმა ურადან.** ჩვენა გვწამს ნაბუქადონოსორ და ვემორჩილებით ასურს... ვემორჩილებით ძალას... თქვენ არა გატეთ ძალა. ნაბუქადონოსორ არის უძლეველი.

**ხალხი.** (მღელვარებს და ჰყვირის.) ვემორჩილებით ასურს, ვემორჩილებით ოლომფრეს, ვემორჩილებით ქალდეველთ... არ გვინდა ბრძოლა... ჰვეყო ამდენი მუსრვა, ამდენი ტყვევნა, ამდენი ბილწვა, ამდენი ტანჯვა!.. მოვიდეს ქალდე, მოვიდეს ნაბუქადონოსორ!.. (ამ დროს გამოჩნდება იედიო. ის არის მიფარებული სოლომონის ტაძრის ცალს მხარეზე).

**იედიო.** (კარგა ხანს სდგას დაფიქრებული.) ერს ვასტეხია გული, უარს არის დაიკვას თავი... შერთო ბერილს არ შეუძლიან გაუმავრდეს ოლომფრეს... დაეცა იუდა, მოისბო თესლი ისრაილისა, წასწყდა სჯული მოსესი, სჯული, რომლისაგანაც უნდა განახლდეს ყოველი სჯული, უნდა დადგეს ყოველი სჯულის თავს, კაცთა ზნეობას უნდა მიეცეს ნამდვილი ღვთიური სახე და მადლი... არა! ეს შეუძლებელია! არა სჩანს ნიშნები ჩვენი წახდენისა... უნდა წარწყმდეს მტერი ისრაილისა... ყოველი დიდი უბედურების წინ, თითქო ჰგრძნობდეს გული ერისა თვის მომავალს, სჩნდებოდა წინასწარმეტყველნი ისრაილს და უწინას-



წარებენ მას მომავალს უბედურებას... დღეს არ არის წინასწარწმეტყველი ისრაელს... დღეს წინასწარწმეტყველნი მათნი მრავლობენ ბაბილონს... და ვაი ქვეყანასა მას!.. უნდა მხოლოდ ვაუღვიძოს ჩვენს ერს გული შეშინებული, აღუძრას სისხლი მათი, გამშრალი მრავლისა უბედურებისა და წამებისაგან... (მოდის ხალხისაკენ).

(ივლით გამოჩნდება შორიდან, ხალხი მიაპყრობს იქით თვალს).

**ხმება ხალხადან.** ივლით! ივლით! მოდის ივლით! მოდის დედაკაცი მართალი, მართალი მინასეს ქვრივი... აქ მოსულა სალოცავად და გაავსო წყალობით გაქირვებულნი: სნეულთა მოუტანა კურნება, დაერდომილთა სიხარული, გლიხათა საზრდო, სახლსა უფლისასა შესაწირავი მრავალი... სადაც მიდის, მიაქვს თან სიხარული და ნეტარება. ვნახოთ რა ნუგეში მოაქვს ჩვენთვის ამ ჩვენს საშინელს განსაცდელში.

**ივლითა** (შეზღვის ძაძამოსილი, სადათ ხაცუელი..).

**ხალხა.** მოციქულსა ღვთისასა, სისპეტაკესა ისრაილისასა, მინასეს, ქვრივს ივლითს გაუმარჯოს!

**ივლითა.** რჩეულსა ერსა საბოთ ღმერთისას, მიანიჭოს ძალთა ღმერთმან წყალობა და ნუგეში თვისი! ერო ღმერთისა ისრაილისა! ბეთილი, რომლისაცა ასული და მხევალი ვარ მე, გიწვევთ საბრძოლველად შემშუსრველისა ჩვენისა შუამდინარის ერთაზედა, რომელნი მოსდგომიან ისრაილს, რათა მოსპონ იგი და აღგავონ სახსენებელი მისი პირისაგან ქვეყნისა... ვითა სალი კლდე, ერი ბეთილისა დასდგომია გზაში ნაბუქადონოსორის მხედრობათა და მკერდითა თვისითა იცავს იუდას, მთელსა ერსა ისრაილისასა. ნუ თუ ერი იერუსალიმისა, რომელიც ყოველ დღე ჰხედავს და მსახურებს სახლსა ღმერთისა ჩვენისასა, ერი, რომელსა უჭირავს უკეთესი ქალაქი და სიმდიდრე ისრაილისა, აბარია სახლი უფლისა და



სჯულის კიდობანი, რომელი მოგვეცა ჩვენა ძალთა ღმერთისაგან, უნდა მონიშნე მტერივით იღვეს გულ-ხელ-დაკრებილი და შესცქეროდეს, როგორა სწყდება ერთი მუჟა ერთ ბეთილისა მთელი იუდასი, მთელი ისრაილის დასაცავად!! იერუსალიმ! რამ დასთრგუნა, რამ დასცა გული და ძლიერება მკლავისა შენისა?! რათ არ მიჰხედავ შენთვის და შენი ღვთაებისათვის მებრძოლს ბეთილს?! რად არ იხსნი თავს მუსრვისა, ბილწვისა და ტყვევნისაგან?!

**ზმა ურადან.** პირველმა ჩვენმა წინასწარმეტყველმა იერემიამ გადმოგვეცა ბრძანება საბაოთ ღმერთისა, რომ დავემოარჩილნეთ ნაბუქადონოსორს. ის არისო რჩეული ღვთისა, იმას მისცაო ღმერთმა უფლება ყოველთა ერთა და ნათესავთა ზედანო. ჩვენ არ ვუსმინეთ წმიდასა ღმერთთან მოსაუბრესა, ვებრძოლეთ ნაბუქადონოსორს: გვიწყინა ეს ღმერთმა და შეჰმუსრა იუდა ბაბილოვნელთა ხელითა. მაშინ შევეცოდეთ ღმერთს და ახლა გადადგომა ღვთის ბრძანებისა დაგვმართებს უარესს... ჩვენ ვემორჩილებით ნაბუქადონოსორს, რომელმანც ნამდვილ ღმერთად უჩინა თავი ქვეყანას. ვემსახურებით ბაალს, მოლოხს, ასტარტას, რადგან ისინი ამღვევენ ჩვენთა მტერთა იმოდენა ძალას, რომ იგინი ნიადგ გვძლევენ ჩვენ და ჰმუსრავენ ჩვენს ქვეყანას. ბაალ და ასტარტა არიან ღმერთნი ამები-სა და სიტკბოებისა... ვიყვნეთ ცოცხალნი, ნუ მოვისპობნით ჩვენი კოლმვილით, და სულ ერთი არ არის, ვისაც უნდა ვმსახურებდეთ: ნაბუქადონოსორს, თუ იეჰონიას? ოლომფრეს, თუ ელიაკიმს? თუ შეგიძლიანთ, გვიხსენით სასწაულით... ჩვენ არ შეგვიძლიან გაძლოდა ქეიშათა უმრავლესის ოლომფრეს მხედრობისა... მოვიდეს ასურ და ვემსახუროთ მას.

**იგდათ.** ო! ისრაილ! ისრაილ! ო! ძენო იერუსალიმისანი! დაგვიწყებიათ, რა არის მონობა! რა არის სხვის თვალ-



თა და ხელთ შეტყერა, სხვის კარეთად ყოფნა, სხვი  
 ბრძანებით ცხოვრება!.. იგი არ არის ერთი, არ არის  
 კაცი, რომელიც წაჭხრის ქედს სხვის შონობისა და  
 ტყვეობის უღელ ქვეშ... ის არის პირუტყვი, რადგან  
 არა ჰგრძნობს დამცრობას, არ აქვს გრძნობა იცნოს  
 თავის გაუბატურება. დაგავიწყდათ დღენი ტყვეო-  
 ბისა თქვენისა და უცხო კარეთად ყოფნა?.. რა არის  
 ბაბილონი?! — ქალაქი, რომლისა მსგავსი არ აგებუ-  
 ლა ჯერ კაცთა ხელითა, რაცა დაარსებულა ცა და  
 ქვეყანა. ვისი ხელით, ვისი ზურგით, ვისი ქონებით  
 აშენდნენ ზღუდენი, გოდოლნი და სამცვიფრო შე-  
 ნობანი ბაბილონისა, რომელთაც ცათამდის აღუშარ-  
 თნიათ თავნი და დაუჭერიათ აღგილნი ორთა უბი-  
 რველესთა მდინარეთა კიდემდის?!.. როგორ და ვი-  
 სით აღევნენ წალკოტნი, მტილნი და ვენახი გან-  
 გებ გაკეთებულს მთებსა და სერობებზედ ნაბუქადო-  
 ნოსორ მეფის ცოლის, მიღთა მეფის ასულის შესაქ-  
 ცევრად?! ვისი ზურგით, ვისი ხელით, ვისი ქონებით  
 აღევნენ სასახლენი მეფისანი, გაქიმულნი რამდენ-  
 სამე ფერსანგზე, სამცვიფრებანი სოფლისანი?! ვისით  
 აღევნენ და გაკეთდნენ დაბანი და ქალაქნი, ზღვა-  
 თა შესადარებელნი ტბანი, ნიფთა სავალი რუევები,  
 რუვი გარმიკა, რომელი ათასს ფერსანგზე აერთებს  
 ტიღრსა და ევფრატს, უდიდებულესთა მდინარეთა?!  
 გასწორდნენ მთანი, სადაც არ იყო საჭიროება, აე-  
 გნენ სადაც თხოულობდა საჭიროება?! ვისით აღევ-  
 ნენ ტაძარნი საოცრებანი ბაალ-მოლოხისა, რომელ-  
 თა მსგავსთა ველარ შექქნის ხელი და გონება კაცი-  
 სა?!.. და სხვა-და-სხვა-და-სხვა?!... ესე ყოველი შეუ-  
 დარებელი დიდება, რომელსაც ეხწია ქვეყანა ქალ-  
 დეველთა, აშენდა ზურგითა, ხელითა, ქონებითა ჩვე-  
 ნითა და ჩვენთა გეართა ტყვევნილთა ერთა და  
 ქვეყანათა სახრის ქვეშ, ბორკილებში, უღელქვეშ



მშვიერი კუჭით, შიშველი ტანით, დახეთქილი ღმერთის  
დისერილი ფეხებით ჩვენ?!.. (ივლით შესდგება და შუბლ-  
ქვეშ ვასცქეროს ერს).

უნა. ბრძანე! ბრძანე! ახლო დევტორე!.. შენი პირით ღმერთი  
გვესალუბრება ჩვენ!..

აგდათ. ვისა ჰკლოვენ, სამსხვერპლოზე ბაილ-მოლოხის კარს შესა-  
წირავად? ჩვენთა ყრმათა და ჩეილთა, ჩვენთა ასულ-  
თა. ვინ გაჰხადეს საჭურისებად თვისთა ცოლთა და  
ხარჯათა შცაებად და მზეერავად?! ჩვენი ძმანი, ჩვენი  
შვილნი, ჩვენი ერი. ვინ არიან ხარჯანი, ძალათ მე-  
ძავობაში ჩაყრილნი, ბაბილონის მეძაფე ხალხის  
ხელთ?!.. ჩვენი დანი, ჩვენი ასულნი, ქალწულნი  
სიონისანი!.. შილით ასტარასი და ბაილის კართა  
და ჰნახეთ, ის აყიდვინებენ წამუსსა თვისსა შესა-  
ბილწით ამ ღვთაებათა?! ვინ არიან ქედომიშნი და  
ქედომომნი? ამა ტაძრისანი?! ასულნი და ძე-  
ნი ისრაილისანი, მშვენება და სიქადული ჩვენი  
ერისა!.. შილით და ჰნახეთ, ვინ არიან მშვენეირი ტა-  
ნისა და სახის ქალნი და ყრმანი, რომელნიცა დაჰ-  
ყავთ ქუჩა-ქუჩა დედის შობილანი, ამღერებენ და აცეკ-  
ვებენ სასტვენელსა და სამფიკებზე, გაართობენ და  
შეაქცევენ გაყრყენილებასა ბაბილონის ერისასა?—  
არიან ასულნი, დანი, ძენი და ძმანი ჩვენი ერისა,  
მშვენება, სიცხოველე ისრაილისა. ჰნახეთ სამეძავო  
სახლნი, ოქროთა და სარკეებით გებულნი, ჰნახეთ  
გასართობი შესაქცევარი სამყოფნი: ვისი ასულნი და  
ძენი ასობით და ათასობით, მთლად ტიტველნი და  
მოკალულნი ათასი ფერადებით, იქმანენ შუშპარსა სა-  
მარცხენოსა მოუძღურებულთა და უდროვოდ ცუნდ-  
რუკთა ჩაძქრალი სისხლის ასაღლეებლად, გაყრყე-  
ნილი ბაბილონის ერის დასატკობელად?—ასულ-  
ნი და ძენი, მშვენება და მარლი ჩვენი ქვეყნისა!..  
გადით და ჰნახეთ სავაქრო აღვილნი ბაბილონისა და



მეზობელთა ქვეყნების ქალაქთა: ვისი ასულნი და ძენი გამოუყვანიათ გაძრკვილი ტანით პირუტყვთაებრ გასასყიდავად, მოშორებულნი მშობელთა, შვილთა, ქმართა, ცოლთა, ნათესავთა, მეზობელთა, ნაცნობთა, და ჰგზავნიან სამარცხვინო ტყვეობაში უცხოას, უცნობს ქვეყანაში, სადაც ამბითაც კი აღარავისაგან გაიგონებენ თვისთა მახლობელთა გულის სატრფოთა ამბავთა და ხდებიან უნებურნი მონანი უცხო თესლთა გაყრენილებისა, ანკარებისა, შგუბრალებლობისა... რამდენი ჩვენი ძე და ასული სწყყელების თავის გაჩენის დღეს და შეჭნატრის სიკვდილს, შეჭნატრის მკვდართ, რამდენი აძლევს თავს მდინარეთა, უღებს თავის სიციოცხლეს ბოლოს, რომ მორჩეს ტანჯვას, ნამუსის წამებას, უღიერობას, მტარვალობას, წამებით სიციოცხლეს!?. ვანა შინ თავის ქვეყანაში, თავის ერში, თავის ნათესავში ელის რომელსამე ერს და მეტადრე ისრაილს ამგვარი სირცხვილი, ამგვარი დამცირება, ამგვარი უსამართლობა!.

ერა. (სმენად გადაქვეული) ბრძანე! ბრძანე! ღუთის პირით მოუბარო... ბრძანე, ჩვენო გულთა მბილავო!... წინასწარმეტყველთა უმაღლესო!...

აქდით (უფრო ძალა მიცემული) არა ხატანჯველი, არა ნაკლებულეა, არა სიმშლი არცა თვით სიკვდილი,— ირა! ესენი აწუხებენ კაცს, მაგრამ არ ამცირებენ ღირსებასა მისსა, არ ამძიმებენ სინიღისსა კაცისსა. მაგრამ, როდესაც შენ პირუტყვთა უფრო უკადრისად გეპყრობიან და არა გზადიან კაცად, სახედ ღუთისად, როდესაც შენთა თვალთა წინ აუპატიურებენ და ჰბილწავენ შენს კოლს, შენს შვილს, შენს დედას, უმანკოთა ქალწულთა და ყრმათა შენი ერისას, ჰბლადიან მას, რაიც შეარღვენს სიწმინდესა სულისა და სინიღისას,—ი რა არის საზარელ და მოუნელებელ კაცისათვის და რა მოაქვს





ტყვეობას, სხვის ბატონობას, სხვის ხელთა შთავაზუნას... ისრაილი გინდა მიეცით ნებიოთა თაფი თქვენნი მტერსა თქვენსა, — ნუ თუ აგცდებათ ესე ყოველი! რად უნდათ შენი დაპყრობა, შენი ბატონობა, თუ არ თაფისი წყურვილისა და სურვილის მოსაკლავად, შენი მიწა-წყლის დასაპატრონებლად, შენი ჯანისა და გონის დასამონებლად, თუ არ შენს გასაუპატიურებლად, შენი მოუძლოურებით თაფისა თვისისა გასაძლიერებლად?!. ო! იერუსალიმ! ო! სიონო! ქვეყანა გოაცებით უცქერის ერსა თქვენსა და ველარ უცენია იგი! მას დავიწყებია ყოველი განსაცდელი სხვის ბატონობისა და გაუწირავს თაფი თვისი, თავისი ცოლი, უმანკო შვილნი კრავად შესაწირავად, შესაბილწავად, შესარცხვენად, შესაგინებლად, გასარყვნელად, რომ ამითი დაიკვას უძლოური და სამარცხენო სიკოცხლე თაფისი.. სიკოცხლე!.. სიკოცხლე!.. სიკოცხლე ნამუს ახდილი! სიკოცხლე შებილწული! სიკოცხლე პირუტყვეთა უმდარესი!. წადით! წადით! შესწირეთ თაფი თქვენი ბაალს და ასტარტას, გარყენილებათა ღმერთთ, შესწირეთ შვილნი თქვენი დასაკლავად, შესწირეთ თაფი თქვენი და დასატკობად სოდომ-გომორის ცოდვით და ნუ დაინდობთ თვით ანგელოსთა ცისათა სიბილწისა თქვენისათვის! წადით და შთანთქით გარყენილების მორევში თქვენი თაფი, თქვენი ცოლი, თქვენი შვილი, ვიდრემ ბაბილონი არ შთაინთქვის სოდომ-გომორიეთ ცეცხლის აღში და ჩაგიტანთ თქვენ თქვენი სამარცხენო სიკოცხლით თან!.. წადით! წადით! არა ყოფილხართ ღირსნი კაცურის ცხოვრებისა, ღვთის სახიერებისა!.. წადით მონად, ტყვედ, უყურეთ თქვენი თვალთ ბილწვისა თქვენთა ქალწულთა და ყრმათა, წაწყმედსა შვილთა და მშობელთა თქვენთა! ბეთილ მოკვდება გმირულად მტერთან ბრძოლაში



და არ გასცვლის პატიოსნურს სიკვდილს სამარცხვი-  
ნო სიკოცხლეში!!.

უნა. (უკვბ დაიგრიალებს) ივდითს გაუმარჯოს!.. ივდითს, დიდება-  
სა ისრაილისასა!!...

ავდით. გაუმარჯოს ერსა ათი მცნების მიმღებსა, ერსა მოსეს  
წმინდა სჯულისას!, ისრაილნო! მოსულა იღსასრუ-  
ლი ბაბილონისა... ხელითა თქვენითა შეიმუსრება  
დღეს უძლიერესი მხედარი და მხედრობა ნაბუქადო-  
ნოსორისა!! ისმინეთ ახალი წინასწარმეტყველება ახა-  
ლი ესაიასი, რომელი სცხოვრობს ბაბილონს ტყვეო-  
ბაში. აი რას უქადის ამ წინასწარმეტყველის პირით  
საბაოთ ღმერთი ბაბილონს. (გამოიღებს ქლამიჯას ქვე-  
შიდან თხელს თიხის ფილაქანს და ჰკითხულობს) „აღმართეთ  
დროშანი ღია მთათა ზედა, აღამაღლეთ ხმანი!.. მი-  
ვეც ბრძანება რჩეულთა ჩემთა და მოვიხმე გმირნი  
აღმასრულებლად რისხვისა ჩემისა... და ბაბილონი,  
მშვენება სამეფოთა, სიქადული ქალაქეველთა დაემ-  
ხობა ხელითა უფლისათა, ვითარცა სოღომი და გო-  
მორი, და აღარ გაშენდება იგი არასოდეს და არ  
შევიდეს მუნ მცხოვრებნი უკუნითი უკუნისამდე...  
მხოლოდ დაემკვიდრებიან მუნ მხეცნი და გაიგსებიან  
კაცთა სადგურნი ბუკოტებით, დაისადგურებენ მუნ  
სირნი და იწყობენ როკვასა ეშმაკეულნი. ახლო არს  
ეთი აღსასრულისა მისისა, რამეთუ შეიწყალებს უფა-  
ლი იაკობსა და კვალად შეიყვარებს ისრაელსა და  
დაამკვიდრებს მას კვალად სამკვიდრებელსა თვისსა  
და დააბრუნებს მას ქვეყანასა თვისსა... და ღალად  
ჰყოფ ძლიერისა სავალობელსა ბაბილონისა მეფესა ზე-  
და და იტყვი: აღიფხვრა მწამებელი ჩვენი, მოისპო-  
ძარცვა ქვეყნისა... და განიხარებენ კიბაროსნი და  
ნაძენი ლიბანიისანი, და იტყვიან: რაცა განისვენე  
შენ, აღარ მოდის მკაფელი და ამჩხელი შენი. შთა-  
ვარდა დიდება შენი უფრსკულსა ჯოჯოხეთისასა



ღრიანცელითა დიდითა, საგებად გეფინება მხალი და მატლივე გახდება სახურავი შენი... აღესდგები მაზე, ბრძანებს საბაოთ ღმერთი, და მოვსპობ სახელსა ბაბილონისასა, ყოველსა მცხოვრებსა მისსა, შეილსა და შეილის შეილსა მისსა. და გავხდი მას ჭობად, სადგურად ძღარბთა და ექიდნალოთა და აღეგვი მას საგველითა შესამუსრავითა. და ჰფიცავს უფალი ღმერთი: რაცა ვბრძანე, აღსრულდება იგი, რამეთუ შეიმუსრება ასური ქვეყანასა ჩემსა და განადგურდება იგი მთათა ზედა ჩემთა, და მოეხსნება ქვეყანასა ჩემსა უღელი მისი, და აეხდება ზურგთაგან ტვირთი მისი! იგი ბრძანება უფლისა ჩვენისა! იგი გვიბრძანებს შემუსრვასა ბაბილონისასა, იგი აღგვითქვამს ძლევის ნაბუქადონოსორზე, იგი თვით მიგვიძღვის წინ, იგი გვეფიცება ხელითა ჩვენითა მოსპოლვის მტყვევნილისა და შემუსრველისა ჩვენისას... იუდიანო! ბეთილს! ბეთილს! გიწვევთ მე ბრძანებითა ღვთისათა!.. ბეთილს! იქ უნდა შეიმუსროს მტერი, იქ უნდა იხსნას ქვეყანა ბაბილონელთა უღლისაგან, აღსრულდეს წინასწარმეტყველება იგი და ბრძანება უფლისა ჩვენისა!.

**ქრა.** (ერთხმევ) იუდიას გაუმარჯოს!.. სიკოცხლე ანუ სახელოვანი სიკვდილი!.. დიდო მღვდლო, ელიაკიმ, უბრძანე დაჰკრან დაფდაფსა და საყვირსა!.. ბეთილს! ბეთილს! ვისაც კი ერჯის მკლავი და შერჩენია გულში პატივი ცოცხალი აღამიანისა...

**ელააკიმ.** დაჰკარით სამხედრო და სამლო დაფდაფსა და საყვირსა, დაუკარით ბობღანნი, სისტინაღნი და სამვიკნი, შესძანეთ იერუსალიმს... გამოასვენეთ სჯულის კარავი: დაეძრათ იგი უძრავი, რათა ვიხსნათ იგიცა და ერიცა მისა... დღესვე, დღესვე ბეთილს! იქ არის კარი იერუსალიმისა... იერუსალიმს, ერსა



ღმრთისასა, მცველსა სჯულის კიდობნისა, აღმგებლსა სიონისასა გაუმარჯოს!..

**კრძა.** იეღითს გაუმარჯოს!.. ბეთილს გაუმარჯოს!.. ოზიას, ხაბრის და ხამრის, ბეთილის გმირთა დამცველთა გაუმარჯოს!.. დღესვე, დღესვე ბეთილს!.. მეშურდუღენო, შეისრენო, მახვილოსანო! აღმართეთ ყოველნი სამხედრო საჭურველნი თქვენნი... დღესვე ბეთილს! ბეთილს!..

(ღვეიტელთ გამოაქეთ სჯულის კარავი).

**კლავიმ.** მოსაკრავენო! დაუკარით სამღრთო შესამკობელი ხმანი... ქალწულნო სიონისანო, მეფსალმუნენო და ღვეიტნო, იწყეთ საგალობელნი დავითისა.

**იეღათ.** (დაავლებს დროშას ხელს) მუსრი ასურს! მუსრი ბაბილონს!.. მე აღვითქვამთ ძლიევას... გაუმარჯოს ისრაილს!! (მიუძღვის ვახ წინ).

იწყობა მუსიკათა ხმა და გალობა: «განმარინე მე უფალო მესისხარნი ჩემნი, რამეთუ იგინი ეძიებენ სულისა ჩემსა. აშლილნი ძლიერნი იგინი ჩემზედა არა ცოდვათა და დანაშაულთა ჩემთათვის, არამედ სიმართლისა ჩემისათვის... ნუ შეიწყალებ ნუცა ერთსა წინააღმდეგსა და მდევნელსა ჩემსა... ხოლო ძალი ჩემი ხარ შენ, უფალო ღმერთო ჩემო... დაეცრისხე შენი მათ, შერისხე იგინი, რათა აღარ იყვნენ, და აცნობე მათ, რომ უფალი უფლობს იაკობსა ზედა კიდითი კიდემდის!»

(ხალხი ჰგალობს ღვეიტთა და მგალობლებთან ერთად, ისვრის მალა ქუდებს და გააქვს ყიფინი: მუსრი ასურს!.. გაუმარჯოს იეღითს!.. გაუმარჯოს ბეთილს!..)

**იეღათ.** გაუმარჯოს ისრაილს!.. (გააქვს ფრიალით დროშა და ვრი გასდევს თან).



## მოკამეზება მისამე

(ციხე ბეთილისა, შემართული კლდის ბორცვზე. ციხის გალავანსა და კოშკებზე სდგას ქალაქის შუა ფართო მოედანი. მოედანი საესეა ერთი. დედაკაცი, მამაკაცი, ერთი და მღვდელი, ყრმა და მოხუცი არიან ერთმანერთში არეულნი. ისმის საშინელი ჟრიაჟული. ბავშვები სტირიან, განწირულებით თხოულობენ წყალსა და საჭმელს):

**დაძღვნიძე უნდაღან.** (რეკამენ ციხის კარს) გამოდით, ოზიავ, ხაბრი და ხარმი! გამოდით, გვიპატრონეთ, წყდება უწყლობით ქვეყანა! უსუსურთა ბავშვთა ამოსდით ტანჯვითა და წამებითა სული უწყლობისა, სიმშოლისაგან.

**სხვა ხმება.** გამოვწოვეთ ყოველი სისხლი ძროხათა და ფურთა ჩვენთა, ცხენთა და კარაულთა ჩვენთა და თვით ფრინველთა შინაურთა. მივიდა იქამდის საქმე, რომ ვიწყებთ კაცის სისხლის წოვნასა, რათა მოვიკლათ წყურვილი, გავისველოთ გამშრალი და ამომხმარი ყელი, ვგმობთ ღმერთსა, რომელმან აღგვიკრძალა სისხლის ხმარება. (გამოდის ოზი).

**ოზი.** ო, გმირო ერო ბეთილისა! საფარო და საქურველო ისრაილისა! ნუ თუ დავეციწყებიათ, რომ იბრძვით ეგოვასათვის, საბაოთ ღმერთისათვის, სჯულის კიდობნისათვის, სიონისათვის?! ნუ თუ შეჰპარვია თქვენს გულს იქვი, რომ ბააღ და მოლოხ სძლევენ ღმერთსა ისრაილისასა, ძალათა ღმერთს?! მოთმინება, მოთმინება მკირეცა და აგერ მოსულან ელიაკიმ მღვდელმთავარი, უფალი იუდასი და მასთან ერთად მხედრობანი სამარტელთა და სხვა მეზობელთა ნათესავთა ჩვენთა ერთა, მოსდგომიან ასურს და ჩვენთან ერთად ებრძვიან მას... ცოტაცა და აგერ იძლევა



ოლომფრე, და წყალიცა და საცხოვარიცა, იფლქლი-  
 ცა და ყოველი საზრდოცა დაგვრჩებიან ჩვენ; მთაცა  
 და ბარიცა, ვენახნიცა და სახნავეცა გაიწმინდებიან  
 მტერთაგან და უფალი ღმერთი ისრაილისა მოჰპე-  
 დვის და უპატრონებს ერსა თვისსა... აგერ გაჰხედეთ  
 ციხის კედლებიდან, რა გმირულად იბრძვის ჩვენი  
 მხედრობა ზედ წყლის პირას, რომ გამოჰგლიჯოს  
 იგი ხელიდან ოლომფრეს მხედრობას და მოაშველოს  
 ბეთილს... (რამდენიმე ერისაგანნი აღიან ციხეზე და გასტკე-  
 რიან).

**ამათში** წამდენიმე ხმა. **ო!** ბრძოლა! სისხლის ღვრა!.. ისარნი  
 ღრუბელივით ჰფარავენ მზესა. შურდულის ქვა ირე-  
 ვა ჰაერში შემოსეული კალიასავით... ათს... ოცს...  
 ორმოცს აღვილას მოსდგომიან ერთმანერთს იმათი  
 და ჩვენი მხედრობანი და აღარ ირჩევა, ვინ არის  
 ჩვენი და ვინ არის იმათი... აგერ აღოვ-ალოვ აღარა  
 სჩანს-რა ათასთა და ათი ათასთა მეზრძოლში გარდა  
 შემართული მახვილისა, რომელთაც ვაჟქვთ მზეზე  
 თვალის მომჭრელი პრიალი.

**სხვა ხმემა.** აგერ, აგერ ელიაკიმ დიდი მღვდელი, გმირნი ხაბ-  
 რი და ხაზრი! აგერ მთავარი სამარტელთა! თვით  
 გაუძღვნენ მხედრობათა, აგერ მიატეხეს აბჯარი, ცხე-  
 ნი და რახტი მტერთა... აგერ შეიძრა ქალდუ, დაიძ-  
 რა ასურს!.. აგერ მირეკვს ზედ წყალზე!.. აგერ! აგერ  
 გამარჯვება რჩება ისრაილს!..

(ციხის მეორე მხარეს შეიქნება მხედრობის გრიაშული, ქუდებისა  
 და სატურფელთა ქნევა, შეიქნება ყიყინა: იძლია ასურს! გაუმარჯობ  
 ისრაელს!.. დიდება ჩვენს ეგოვას!..)

**დეკოტნი.** (შესძახიან) ოსანა მალალთა შინა! ღმერთი უფალი  
 გამოგვიჩნდა ჩვენ!.. იძლია ბაალ, ღმერთი ქალდელ-  
 თა, ღმერთი ასურთა, ღმერთი შუამდინარის ერთა!..  
 (ხალხში შეიქნება სიხარულის გრიაშული და ყვირილი:  
 ისრაილი! ისრაილი!.. საბოთ ღმერთო გაიღვიძე! მოჰ-  
 ხედე ერსა შენსა, მოჰხედ იუდას, მოჰხედე ისრაილს!..



დანამოთენი მეცხვარენი, მუსრი ასურსი.. მუსრი  
შხედრობასი.. (ვადაპყვებიან ესენიც ოხიას).

სიონი. (შემოვარდნა დაჭრილი რამდენგანზე ისრითა და შურდულის ქვით)  
წარხდა ყოველი.. ვაცრუედა ჩემი სიტყვანი.. ღმერთ-  
მან გასწირა იუდა.. მრისხანებს მათდა ცოდვათათ-  
ვის... ძღვევა რჩება ოლომფრეს. წაწყდა ისრაილი!  
წაწყდა ჩემი თავი! წაწყდა სამეფო ჩემი მოავიტი!.. ოჰ,  
ნაბუქადონოსორ! აღამაღლე თავი შენი ცათამდის,  
აღიარებ თავსა შენსა ღმერთად, დაბრმალხარ დიდე-  
ბისაგან და დავგიწყებია სწავება წარსულისა... მატ-  
ყუართა და პირში მაქებართა უსმენ შენ, მაშია უძ-  
ლურებაცა შენი და დამხობა შენიცა და ქვეყნის  
ცოდებაზე აგებულის შენი სამთავროსაცა!..

(ციხეზე მდგომი ხალხი გადმოცევივა ძირს. ციხეზე გადმოდის ისა-  
რი და შურდულის ქვა. მეცხვარენი ამოცევივიან ციხეზე, ისვრიან  
შურდულთა და ისართა; ისმის გარედან ციხის ძირას ბრძოლის ყი-  
ჟინა, ჭრიაშული, ლახტებისა, ფარებასა, მახვილებია და აბჯართა  
გრავინების მსგავსი ჩახა-ჩუნი. მოკდანზე ერში იხმის წარისა და ელ-  
დის ყრიაშული).

სმება კრადან. მივციოთ ციხის გასაღები... შემოუშვიოთ ასურსი..  
ჩვენ მეტი არ შეგვიძლიან!...

სხვა სმება. დაფიქროთ თავზე ნაცარი და მტვერა, შევიბათ  
ყელებზე წნელი, დავხიოთ საშოსელი ჩვენი, დავ-  
ლეწოთ აბჯარნი და საჭურველნი ჩვენნი და ისრე  
მივგვებნეთ უძლეველსა ოლომფრეს, რათა შეიწყა-  
ლოს თავიცა და ცოლი და შვილიცა ჩვენი. ნაბუ-  
ქადონოსორ არის ღმერთი უძლეველი, ნამდვილი  
ღმერთი, და ხატი მისი არის ღვთაება სასწაულოა-  
ნი...

მრავალი სმა. გაუმარჯოს ოლომფრეს!... მოვიდეს ოლომ-  
ფრე!..

სიონი. იუდაე! ისრაილი! მხოლოდ თქვენი ღმერთია ღმერთი  
ნამდვილი და გარდა მისა არ არის სხვა ღმერთი..



**დანამტენა შეცდამაგენა, მუსრი ასურს!.. მუსრი ოლომფრეს  
 მხედრობას!..** (გადაწყვეტიან ესენიც ოზიას).

**ახიარ.** (შემოვარდება დაჭრილი რამდენგანმე ისრითა და შურდულის ქვით)  
 წარბდა ყოველი!.. გაცრუვდა ჩემი სიტყვანი!.. ღმერთ-  
 მან გასწირა იუდა... მრისხანებს მათდა ცოდვათათ-  
 ვის... ძლევა რჩება ოლომფრეს. წაწყდა ისრაილი  
 წაწყდა ჩემი თავი! წაწყდა სამეფო ჩემი მოავიტი!.. ოპ,  
 ნაბუქადონოსორ! აღამაღლე თავი შენი ცათამდის,  
 აღიარებ თავსა შენსა ღმერთად, დაბრმალხარ დიდე-  
 ბისაგან და დავიწყებია სწავება წარსულისა... მატ-  
 ყუარათა და პირში მაქებაართა უსმენ შენ, მაშია უძ-  
 ლურებაცა შენი და დამხობა შენიცა და ქვეყნის  
 ცოდვაზე აგებულის შენი სამთაეროისაცა!..

(ციხეზე მდგომი ნაღბი გადმოცვივა ძირს. ციხეზე გადმოდის ისა-  
 რი და შურდულის ქვა. მეციხოვნენი ამოცვივიან ციხეზე, ისერიან  
 შურდულთა და ისართა; ისმის გარედან ციხის ძირას ბრძოლის ყი-  
 უინა, ყრიამული, დახტებისა, ფარებისა, ნაბვილებისა და აბჯართა  
 გრგვინვის მსგავსი ჩახა-ჩუხა. მოედანზე ერში ისმის ხარისა და ელ-  
 დის ყრიამული).

**ხმება ვრდიან.** მიეციო ციხის გასაღები... შემოუშვით ასურს!..  
 ჩვენ მეტი არ შეგვიძლიან!...

**სხვა ხმება.** დავიყაროთ თავზე ნაცარი და მტვერი, შევიბათ  
 ყელვებზე წნელი, დაეხიოთ სამოსელი ჩვენი, დაფ-  
 ლეწოთ აბჯარნი და საქურველნი ჩვენნი და ისრე  
 მივგებნეთ უძლეველსა ოლომფრეს, რათა შეიწყა-  
 ლოს თავიცა და ცოლი და შეილიცა ჩვენი. ნაბუ-  
 ქადონოსორ არის ღმერთი უძლეველი, ნამდვილი  
 ღმერთი, და ხატი მისი არს ღვთაება სასწაულთა-  
 ნი...

**მრავალი ხმა.** გაუმარჯოს ოლომფრეს!!... მოვიდეს ოლომ-  
 ფრე!..

**ახიარ.** იუდავ! ისრაილი! მხოლოდ თქვენი ღმერთია ღმერთი  
 ნამდვილი და გარდა მისა არ არის სხვა ღმერთი...



ისრაილია ერი ღვთისა მხოლოდისა... სახელი იტყვი-  
სი განთქმულია კიდითი კიდემდეს თვისი გმირობით,  
ნამდვილი ღმერთისა მსახურებით... მხოლოდ თქვენ  
და მხოლოდ თქვენ მოგცათ სჯული და სჯულის  
კიდობანი... და რა მესმის ეს, სტუმარსა თქვენსა?...  
უნდა გასცეთ კიდობანი სჯულისა! უნდა გასცეთ  
ღმერთი და სალოცავნი თქვენნი! აღიაროთ ღმერ-  
თად კაცი! აღიაროთ ღმერთად ოქროს ჭედელი, უს-  
ჯულოთა ხელთაგან შექმნილი ხატი, ლითონის უბ-  
რალო ჭედელი!!.. უნდა ცოცხალთა იბილოთ შე-  
ბილწვა წმიდისა კარავისა... შეგინება საბაოთ ღმერ-  
თისა!...

**ხმა კრძან.** ღმერთი ნაბუქადონოსორია, ყოველი ღმერთი  
იძლია მისგან. მას დაემონა ყოველი ერი: მიდი,  
სპარსი, ეგვიპტე, ტირი, სიღონი; იძლია იუდა, მთე-  
ლი ისრაილი, იძლია მთელი ცის ქვეშეთი.

**შეარგ ხმა.** თვით უფალმან საბაოთ ღმერთმან გვიბრძანა ღი-  
დის წინასწარმეტყველის იერემიას პირით, თუ არ  
დაემონებოთ ნაბუქადონოსორს, მთლად შეგმუსრავ-  
თო. ვის დაუჯეროთ: შენა თუ ღმერთსა?! ელიაკიმს  
თუ იერემიას?!

**და.** გაუმარჯოს მეფესა შუამდინარისასა!! მეფესა ასურთა,  
ქალდეველთა და ყოველი ცის ქვეშეთის მფლობელ-  
სა, ნაბუქადონოსორს!! გაუმარჯოს ოლომფტრეს!!..

(ციხეზე ამოცვივიან ოზია, ხაბრი, ხაში და მათ მოჰყვება ღი-  
დი მღვდელი ელიაკიმოც. მათ თანდათან მოსდევს ჯარიც ბრძო-  
ლითა).

**ელააკიმ.** უშველეთ სჯულის კიდობანს! გაასწარით კარავი  
საღმერთო და დაჰმალეთ სამალაეთა მიუგნებელთა...

(ლევიტთა ამოაქვთ ციხის გარედან ციხეზე სჯულის კარავი და  
კიდობანი, ჩაწოკვთ საჩქაროთ ძირსა. ჰგალობენ: ოსანა მალ-  
ლათა შინა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა  
უფლისათა!! (გადიან საჩქაროდ).



(ციხის კარიდან შემოცივივა დაჭრილი და მოღლილი მხედრობა, მეტი წილი სისხლშია მოსვრილი. ზოგს დახვარი აქვს ჩაბკობილი ტანის სხვა-და-სხვა ალაგას, ზოგს ისარი, ზოგს თავი აქვს შურდულის ქვეით გატეხილი. ზოგი გარბინ, ზოგი იქვე იქცევა).

**ისპის მხედართა შორას განწირულების ხმება:** ვაიმუსრა ისრაილი..

**სხვა ხმები.** გასწყდნენ იერუსალიმის მხედართ-მთაფარნი!  
**მესამე ხმება.** გასწყდნენ მხედრობა და მთაფარნი სამარიისა, კანიისა, ვეტერონისა, ბელმანისა, ხობისა..

**მეოთხე ხმება.** მოდის შეუწყვეტლივ კალიათა უმრავლესი მხედრობა ოლომფრესი. საცაა უწყებენ ციხეს ნგრევას... შოაქვთ ციხის სანგრევენი მანქანანი.

**მეხუთე ხმება.** მხოლოდ ფრიალოსა და ვიწროებში იმაგრებენ ჩვენი მხედრობანი მათ და ორ უშეებენ ციხეზე...

**კიდევ ხმები.** ციხეში გვიპირებენ ამოწვას...  
(შემოცივივა ახალი მხედრობა). დაჰკეტეთ ციხის კარები!.. მოგვდევნენ ფეხდაფეხი.. ვაი ჩვენდა, თუ შემოგვასწრეს!..

(შემოდის კიდევ მხედრობა ბრძოლითა და იკეტება ციხის კარი. ციხიდან შეისრენი, მეშურდულენი და ქვათამესროლნი ესვრიან ზემოდან ქვასა, შურდულსა და ისართა. ძირიდან სხვა მხედრობა უზიდავს ისართა და ქვათა და აწოდებენ ციხეს მდგომთ მხედრობათა).

**ოზია, ხაბრი და ხაშიმი** კვალად გადაცივიან ციხიდან. (მხედრობას). მოგვევით აქ! ვერ მოვა იმათი დიდი მხედრობა: დიდს მხედრობას არა აქვს გზა... დაეიცვათ ციხე... მხედრობა გადასდევს. მუსრი ასურსი!. მუსრი ოლომფრესი!..

**ელაბამ.** (ციხიდან). ერნო საბაოთ ღმერთისანო! დაემხეთ პირქვე და გცით თაყვანი საბაოთ ღმერთს. გმირთა ოზიამ, ხაბრიმ, ხაშიმ უკუაქციეს ციხის ძირიდან მხედრობა ოლომფრესი.

(ოზია, ხაბრი და ხაშიმი ისევ ამოცივიან ციხეზე).

**ოზია.** მიეშველენით ვიწროებსა და ფრიალოებზე მდგომთ იუდაანთა და სამარიტელთა... გაბრუნდა მხედრობა ოლომ-



ფრესი. ჩვენმა გმირმა მხედრობამ არ მორუშვეს ციხეზე მტრი წილი ოლომფრეს მხედრობისა... ჩადგა გმირულად ფრიალოსა და ვიწროებში და ჰმუსრეიდა უწყალოთ ჩვენთა მოსისხლეთა.

კრი. წყალი? წყალი ვის უჭირავს?

ხმება ცახეზე ძღვამთ მხედრობიდან. უჭირავთ ქალღვევით. იქ ისინი ასჯომ მეტნი არიან.

კლააკამ. ილოცეთ ღმერთი ჩვენი ეგოვა, ღმერთი, შემომქმედი ქვეყნისა, და წყალიც ჩვენ მოგვეცემა, ან მოგვივლენს წვიმას. (მვალობს ფსალმუნსა. მასთან ჰვალობენ ლევიტნი, მხედართმთავარნი და შიგა და შიგ მხედრობაცა). რათ უარგვეყე უფალო სამუდამოთ? რათ მოიღვრისხვა შენთ კრავთა ზედან საცხოვრისა შენისა? მძვინვარებენ მოძულენი შენნი შესაკრებელსა შენსა.. მისცეს ცეცხლთა სიწმინდენი შენნი; შეჰბილწეს სიბილწითა თვისითა კარავი აღთქმისა შენისა. არღო გვეგლინა ჩვენ სასწაული შენი, არცა წინასწარმეტყველი, და არა გვეყავს მასწავლებელი... აღდეგი უფალო, დაიცე საქმენი შენნი, გაიხსენე მუდმივი შეურაცხებანი შენნი. ნუ დაივიწყებ ძახილსა მოძულეთა შენთა. განძლიერდა მედიდურობა მღვენელთა სახელისა შენისა!

კლააკამ. (ერს მრისხანედ) შეახსით ქება და აღუვლინეთ მეუფესა თქვენსა დიდება.

ხმა უერადან. ჩვენ გაგეწირა ჩვენმა ღმერთმა... გასწირა ჩვენი ცოლი და შვილი... წყალი ისევ მტრის ხელთ არის....

მეორე ხმა უერადან. ჩვენ გვერჩინა, რომ დავრჩენოდით ასურს ან გაგემუსრავდნენ, ან დაგვატყვევებდნენ, და მოგვარჩენდნენ იმ საშინელს წამებას... ლამის ჩვენსაცვ სისხლს დაუწყოთ წოვნა...

კადვე. ხმება უერადან. (აღშფოთებით) შორს ჩვენგან ეგოვა!! შორს დიდი მღვდელი იმისი!! შორს ლევიტნი! შორს სჯულის კიდობანი!! გაუმარჯოს ოლომფრეს! გაუ-



მარჯოს უძლეველსა ღმერთსა ნაბუქადონოსორს...  
მიგვეციოთ ბაბილოვნელთ, მიგვეციოთ ოლომფრესი!!

**მწაგაღა ხმა.** ეხლავ! ეხლავ!.. გაუღეთ კარი ბაბილონის მე-  
ფესი!.. მოვიდეს მხედრობა ოლომფრე უძლეველისა!!

**ხმა კრადან.** თქვენა! თქვენა ხარო ჩენი მტრები... თქვენი გუ-  
ლისათვის იმუსრება ამოდენა ერი, იმუსრება მთელი  
ისრაელი... ჯერ იყო და იმოდენა მარხვითა და ლო-  
ცვით დაგვასუსტეთ, როცა წყალიცა გვქანდა და  
პურიცა, და ახლა მტერს ჩაუგდეთ ხელთ ჩვენი წყა-  
ლიცა და საზრდოცა... რაღა ღონით უნდა შევიმა-  
გროთ თავი ურიცხვი და მადლარი ოლომფრეს მხე-  
დრობის წინაშენ?!..

**ოზია.** ერო ბიაულისა! ვინ მოგცათ ეგოდენ კადნიერება,  
რომ შეუფესა მთელი იუდისასა, სჯულის კიდობნის  
მცავთა, და მათთან თქვენთა მხედართმთავართა უბე-  
დავთ მაგგვარსა ქადილსა და შეურაცხებასა? იცით  
თუ არა, რომ ჩვენ გვაქვს ღვთისა ისრაელისაგან მო-  
ნიჭებული ძალა, ჩვენს ხელთ არის მთელი მხედრო-  
ბა და ჩვენსავე ხელთ არის სიკვდილიცა და სიცო-  
ცხლეცა თქვენი?!

**მწაგაღა ხმა კრადან.** არ გვინდა ოზია! არ გვინდა სჯულის  
კიდობანი!... სიკვდილი ოზიასი.. სიკვდილი მხედართ-  
მთავარს!.. სიკვდილი ცრუ-მოძღვარს ელიაკიმს! სი-  
კვდილი ლევიტთა! გაუმარჯოს ოლომფრეს!

**სახტა.** ერო უფლისა ისრაელისა! ცუდი განგიზრახავთ თქვენი  
თავისთავის! თუ არ დასწყნარდებით და არ დაემორ-  
ჩილებით ჩვენს ბრძანებას, ეხლავე დაგატყვევებთ  
ყველას და მოთავეებს დავაქრევეინებთ თავებს და  
გადმოვაკიდევინებთ ციხეზედ, რომ ნახოს ყველამ,  
რაც მოელის ყველა წინააღმდეგს.

**თათა-არტა ხმა.** არ გვეშინიან თქვენი მუქარისა... დაგვო-  
ცეთ! სიკვდილი გვიჯობს ამ სიცოცხლესა...





**უფრო მეტი ხმა.** დაგვხოცეთ, დაგვხოცეთ! და არც ჩვენა ვარც  
უსაჭურველონი!

**მწაგბლი ხმა** ერიდან. ერო, შეზარტეთ საჭურველნი თქვენნი!  
აღმართეთ მახვილნი თქვენნი! ან გაეუღოთ კარი ასურს,  
ან შევიმუსრნეთ ჩვენისავე მხედრობისაგან...

**ერთი დაბგრაძლეპს.** საჭურველნი! მახვილნი! (მრავალნი იძრობენ  
მახვილთა და სხვა საჭურველთა და წამოდგებიან წინ).

**სახრი.** მხედრობანო! მახვილნი თქვენნი! ჩამოღით ციხით და  
შეიპყართ მემამოხენნი! შეპმუსრნეთ იგინი, რომ ამი-  
თი ეიხსნათ იერუსალიმი, ეიხსნათ სჯულის კილობა-  
ნი, ეიხსნათ სახლი უფლისა! (მხედრობა სდგას უძრავად).

**უღიაკამ.** (მრისხანედ) გიბრძანებთ მოსეს სჯულითა და ბრძანე-  
ბითა საბაოთ ღმერთისათა, შეიპყრათ მემამოხენი.

**ერთი მსუდარობაგანა.** ერი სდგას საბაოთ ღმერთის ბრძანებაზე.  
ის გვიბრძანებს იერემია წინასწარმეტყველის პირით,  
უნდა დაემონოთ ნაბუქადონოსორს: ის არის ჩემი  
რჩეულიო. რად სტანჯაეთ ერს?! რად მიდიხართ ჩვე-  
ნისავე ღეთის ბრძანების წინააღმდეგ!

**ოზია** (მრისხანედ). შეიპყრათ ეგ ურჩი, წინააღმდეგი ღეთისა და  
მოპყვეთეთ ეხლავე თავი! (მხედრები, რომელთაც უბრძა-  
ნებს ოზია, არ იძვრიან).

**რამდენიმე ხმა მსუდარობიდან.** მართალს ამბობს ეგა. არ არის  
ქვეყანაზე მძლეველი ნაბუქადონოსორისა არც კაცი  
და არც ღმერთი. ელოვა გადაგვიდგა ჩვენ და მიუძ-  
ღვის მას... ასრე ბრძანებენ ჩვენი წინასწარმეტყვე-  
ლები. რად გეტანჯაეთ ან ჩვენ ან ერს?! რადა ჰღვრით  
მართალთა სისხლს?!.

**ერთი დაბგრაძლეპს.** ჩვენს მხედრობას, ჩვენთა ძმათა და შვილთა,  
ჩვენს სისხლსა და ხორცს გაუმარჯოს! მუსრი ჩვენ-  
თა და ღეთის წინააღმდეგთა!.. ოლომფრეს მხედრო-  
ბას გაუმარჯოს!.



შტაგალი მხედართაგანა. ბეთილის ერს გაუმარჯოს! გაუმარჯოს ბრძანებასა ღეთისასა!.. გაუმარჯოს ნაბუქადონოსორს, რჩეულსა ღმერთისა ისრაელისასა!!

კრა. გაუღეთ ციხე!.. მოიხმეთ მხედრობა ოლომფრესი... მივცეთ თაფნი ჩვენნი და დავედრენ სულნი ჩვენნი... ჩვენი ცოლი, ჩვენი შვილი!.. ეხლავე!.. დაგვხოცა სიმშილმა, ამოგვხუთა სული წყურვილმა...

მხედრობა. ეხლავე! ეხლავე!.. სამი დღეა ჩვენს პირში წყალი არ ჩასულა... აღარც ბრძოლა, აღარც გაძლება დღეის იქით აღარ შეგვიძლიან...

კრა. წავიდეთ დაეანტვიროთ ციხის კარები... ჩვენ შემოუშვათ ბაბილოვნელნი!.. (მიდიან ციხის კარისაკენ).

ახალა. დადქით! მომისმინეთ ერთი სიტყვა თქვენს სტუმარს, თქვენი ღმერთისა მალიარებელს...

კრა (შეღვება). ბრძანე! ბრძანე! წყლისა, წყლისა ბრძანე რამე... გაქვს ბრძანება უფლისა, გაქვს სისწაული, რომ გამოგვიჩინო და მოგვიღლინო საითმე წყალი?..

ახალა. ერო ნამდვილო ღმერთისა! ერო გონებითა და არა ხელითა შექმნილის ღმერთისა! დასცხერით მცირე ხანს: არ წაიხდინოთ თქვენი აჩქარებით უფრო უარესად თქვენი საქმე, თქვენი საბოლოო. ვინ იცის, რას იზავს განრისხებული ოლომფრე, ეხლავე რომ გაულოთ კარი და შემოუშვათ იმ ცხარე ბრძოლის შემდგომ, როდესაც ამოდენა სისხლი დაჰღვარა ისრაელმა მისი მხედრობისა!.. შიანდეთ თქვენთა მხედართმთავართა ბოლაპარაკება, ჩაბარონ ციხე იმ პირობით, რომ თქვენცა და მთელს იუდასაც მიეცეს რამ შეება, არ მოგექნენ უდიერად, შეუწყალებლად. (მიუბრუნდება ელიაკიმს, ოზიას, ხაბრის და ხარმის). დიდებულნი, სახელოვანნი მეუფენო და მხედართმთავარნი! თქვენ გმირულად და გონივრულად იცავდით სახლსა და სჯულსა მეუფისა თქვენისა. თვით უძლიერეს არტაფაქს არ გაუწყვია ბაბილოვნელთა





მხედრობითათვის ისრეთი გმირული პირისპირობა, რა გოარც თქვენ თქვენი მცირე მხედრობითა... თქვენ შეისრულეთ გმირულიდ ყოველი თქვენი მოვალეობა წინაშე ღვთისა და წინაშე მისგან რჩეულის ერისა... ახლა ერი და მხედრობა აღარა ჰნდომობს მტერთან ბრძოლას; მის დაუკარგავს სასოება. სადაც აღარ არის სასოება, იქ აღარ არის ძალა... დასთმეთ გმირული თავის განწირვა თქვენი და იმდენს სამსახურთან, გაუწიეთ ერთი სამსახურიცა თქვენს ერს ამ საშინელს განჩინების დღეს. თქვენ უნდა ეხლავე პირობა დაულოთ ერსა და მხედრობას, რომ მისცემთ ციხესა ოლომფრეს. მაგრამ უნდა იმ პირობით მისცეთ, რომ დასდოს მგზობარე ფიცით აღაქმა წინაშენ ქალღვრეთა და ასურთა ცამეტთა ძველთა ღმერთთა და ორთა ახალთა ღმერთთა—ნაბუქადონოსორ და ხატისა მისისა,—როცა შემოვა ციხეში არა აენოსრა ერს, არც სიკვდილით, არც ტყვევნით, არც ბილწვით ყრმათა, ქალწულთა, დედაკაცთა და მამაკაცთა და არცა სალოცავთა... მხოლოდ მიიღოს გადასახადი იუდასაგან, რასაცა შეიჯერიებდეს გული მისი.

ა.წ.ა. (დაიკრებს გულზელს) ერო ბეთილისა! ნუ თუ მართლა გადასწყვიტე გასცე ისრაელი, გასცე ტაძარი ღმრთისა, გასცე სჯულის კილობანი?!

ხმება კრადან, არ არის სასწაული, არ არიან წინასწარმეტყველნი! არ იჩენს უფალი ღმერთი ჩვენი სარჩლსა ჩვენსა... ნაბუქადონოსორ არის რჩეული მისი... ჩვენ უნდა დავემორჩილნეთ მის.

ელაჩამ. ოწიავ! ხაბრი! ხაბრი! აღსრულდეს ნება უფლისა, გაჰგზავნეთ კაცნი ოლომფრესთან, რომ ბეთილი და მორჩილდება, თუ შვებით მოექცევიან ბითილის ერს და მთელს ისრაელს.

კრ. ფიცი! ფიცი, რომ არ გვატყუებთ და მართლა ჰგზავნიან კაცთ მოსალაპარაკებლად.



**მხედრობა.** აღთქმა! ფიცის აღარ შეგვიძლიან ბრძოლა... ჩვენ  
თვითონვე აღვეგებით ჩვენსავე მახვილზე... მკლავი  
აღარ გვიჭრის, სისხლი შრება ძარღვებში, გულგვამ-  
ში ცეცხლი გვენთება უწყლობით...

**უღბაქიმ, აზნა, ხაზრა და ხამრა.** ეფიცავთ ღმერთსა აბრაამი-  
სა, ისააკისა და იაკობისას, საბოთ უძღვევდესა ღმერთ-  
სა, რომელი მჯდომარეს მთასა მაღალსა სინასა, რომ  
შეეასრულებთ ბეთელის ერის სურვილს და ვეცდებ-  
ით არ წახდეს ბეთელი, არ წახდეს იუდა, არ შეი-  
მუსროს სახლი უფლისა ჩვენისა, ქურქელი სამღრ-  
თო სჯულისა ჩვენისა.

**აზნა.** ახლა წადით შინ და დამშვიდდით. ჩვენ წავალთ და  
მოვილაპარაკებთ, როგორ დავაწყოთ საქმე.

(მხედრობა და ერთი იშლება და მიდიან. გადიან სხვანიც ყველა-  
ნი. გაშოდის ივდით მძიმე ძაძვებში, ანთებული სახით, ხელში მახვი-  
ლით. იტკირება აქეთ-იქით, თითქო ეძებს ვისმეო).

**აგდათ.** ო! იერემიავ! იერემიავ! შენ გახდი მიზგზი იუდას და ცემი-  
სა. შენ გააღმერთე მხეცთ-უმხეცესი ნაბუქადონოსორ...  
შენ გაუტუნე გული ერსა და მხედრობასა ჩვენსა, როდეს-  
საც ეს ღვთის გარეგანი მეფე მოსდგომოდა იუდას შესა-  
მუსრავად. გატაცებულის სახით, ანთებულის თვალე-  
ბით, გაწეწილი თმებით, მრისხანე განწირული ხვით  
შესძახოდი ერსა და მხედრობასა საბოთ ღმერთის მა-  
გივრად: „აწ ვაძღვე შე ყოველთა ქვეყანასა ხელთა  
ნაბუქადონოსორისათა... ვაძღვე თვით მხეცთა ველი-  
სათა, რათა მსახურებდნენ მას... და, თუ რომელი  
არა ემონოს მას და არა გაჰყოს ქელი თვისი უღელსა  
ქვეშე ამა მეფისა, ესაჯო იგი მახვილითა, სენითა, სიყ-  
მილითა, ვიდრემ არა აღმოიხოცონ სრულიად ხე-  
ლითა მისითა... ნუ უსმენთ ნუცა წინასწარმეტყველთა,  
ნუცა შემისნეთა, ნუცა მეძილისმინეთა, ნუცა მეწამ-  
ლეთა თქვენთა, რომელნი იტყვიან, ნუ ჰმონებთ ნა-



ბუქადონოსორსაო...“ აღარცა გმირთა მხედრობა  
 მთავართა, არცა თავ-განწირულთა ერის ერთგულთა  
 აღარ გასდიოდათ არაფერი.. გატყდა გული მხედრო-  
 ბისა, მთათესელა შიში გულსა ერისასა... აღარ ინ-  
 დომეს ბრძოლა, და შეიმუსრა იერუსალიმი; დაინგრა  
 სიონი, გასწადა და დატყვევდა იუდა... და როდესაც  
 შეიმუსრა ყოველი და გახდა უდაბურ, მაშინ მორთე  
 წყარე დაღადი და გლოვა ნატამალითა ზედა, მაშინ  
 უწყე შეჩვენება ბაბილოვანსა და გაიძახოდი იმავე ის-  
 რაელთა ღმერთის მაგიერად: „ვინ შენდა ცათამდის  
 აღმართულთა და იმადღებულთა ბაბილონო! აჰა მთავ  
 გახრწნილო და გამხრწნელო ქვეყნისაო! გადმოინგ-  
 რე შენ კლდეთაგან სიმაღლეთა შენთა და იყო ვი-  
 თარცა მთა დამწვარი და ჩაფერფლილი! და არ ილონ  
 ქვანი შენნი საძირკვლად შენობათა, რათა არა იქ-  
 ცეს ქვა იგი თესლად გახრწნილებიისა ყოველთა ერ-  
 თა, და იქნებ ოხერ და უდაბურ, სადგურ მხეცთა  
 და სავალალო!...“ მაგრამ გვიან-და იყო. სიცილით  
 წამხდარს საქმეს ტირილი ველარ გამოაბრუნებს... და  
 აგერ, დღესაც უღწია შენმა საშინელმა ქადაგებამ  
 ისრაელსა: ერი დი მხედრობა გაიძახის კვლად შენს  
 სიტყვებს, რომელთაც იტყოდი ისრაელთა ღმერთის  
 მაგიერად, თხოულობს ბაბილოვნელთა დამონებას, ნა-  
 ბუქადონოსორის გაღმერთებას... და მოელის ერსა  
 ღვთისა რჩეულსა მუსრი, მუსრი, რომლის მსგავსიც  
 აქამდის არ მოვლენიათ ებრაელთ... და უნდა შეი-  
 მუსროს სჯული, რომელმაც აღიარა კაცი სახედ და  
 ნაწილად ღვთისად, მონება ღვთის წინააღმდეგ საქ-  
 მედ, მოვახშეობა საქმედ შესარცხვენად, ურთი-ერთ-  
 თა, სიყვარული ვითარცა თავისა თვისისა, საღმრთო  
 მოვალეობად, უცხოთა შეეყვარება საღმრთო კანონად,  
 თანასწორობა დედა-კაცთა და მამა-კაცთა შორის  
 ღვთის ბრძანებად და საქმედ, სიღარიბე ვისიმე ვრში



მთავრობისა და ერის შესარცხვენად, შექმნა მრავალ-  
 ლის საცხოვრებელისა—ღვთის წინააღმდეგად, ძლე-  
 ულთა მებრძოლთა შეწყნარება, ტყვე დედა-კაცთა  
 ბატონი და ხელ-შეუხებლობა, შეწყნარება და განკი-  
 ძხვა თვით ველურთა მხცთა ღვთის კანონად!...  
 (ვაფიქრდება) რად არის, რომ მთელი ქვეყანა მოსდ-  
 გომია ებრაელთ შეამუსრავად, და მოსპობის მაგიერ  
 მრავლობს და ვერა მტარვალთბას, ვერა რისხვას ვერ  
 მოუღია მისთვის ბოლო?!—არის მოსეს დიდებული  
 სჯულისაგან, რომელიც საღმრთო სიტყვით გვიკრძა-  
 ლავს მანებელ საკმლის ხმარებას, გვიბრძანებს იმ  
 წესით ცხოვრებას, რომელიც ინახავს სიმრთელესა  
 კაცისასა... მიზეზი არის დიდებული გონება მოსესი,  
 რომელმაც ამ დიდებული სჯულის შესანახად გვაძ-  
 ხილა ღმერთი არა ხელითა შექმნილი, არამედ საგო-  
 ნებელი, რომელსაც ვეღარ მოშლიან, როგორცადაც  
 უძლიერი გონებისთვის შეუძლომელს, როგორც შლიან  
 ნაჭედთა და ხორც-მოსილთა ღმერთთა, რომლისაც  
 ცნობა და ხელ-შეხება შეუძლიანთ ყველას; გვაძილია  
 ღმერთი, რომლის მიწოდებასაც შეაღებენ მრავალთა  
 საუკუნეთა განმავლობაში უძლიერესი გონების კაც-  
 ნი თავისი გონების ძალას და ვერა სცნობენ მას, ვი-  
 დრემდის თვით კაცი გონებითა თვისითა არ გახდება  
 ღვთაება, უფალი და მბრძანებელი სოფლისა... და  
 სჯული ისე, იერემიავ, უნდა შეიმუსროს შენი შემა-  
 ზრზინარი ქადაგებით!.. (შემოდის ახიორ.)

**ახიორ.** ივდით! დედა-კაცი ღვთისა, ახლო დევორაე! მადლი  
 უფლისა ისრაილისა იყვეს შენდამი... რადსაც მრის-  
 ხანებს სახე შენი, რადაცა უცნაურნი ცეცხლნი სცვი-  
 ვიან თვალთა შენთაგან... რადაცა საშინელებას წარ-  
 მობიტყოდნენ ბავენი შენნი... ცხადია, შენგვარ წმინ-  
 და გვაშიდან მმეტყველებს თვით ეგოვა, ღმერთი ია-  
 კობისა... უეჭველია, წინასწარმეტყველებდი.



აფდათ. ო, დიდებულო მთავარო ამინის ძეთა, კაცო გონებშია გონებითი ღმერთის შალიარებელი!.. არა, მე არ ვწინასწარმეტყველებდი... დღეს მთელს ისრაელში არ არის წინასწარმეტყველი... ამიტომ არ მეშინის ისრაელის წახდენისა... მე მოველ აქ მახვილით ხელში, რათა გაშემხნეებინა ერი, გამელვიძებინა მის გულში საღმრთო ვალი ქვეყნის დაცვისა... მინდოდა მეჩვენებინა, რომ დედაკაცნიც მზადა ვართ მივეგებნეთ მტერს მახვილით ხელში და გავწიროთ თავნი ისრაელის ხსნისათვის.

ახაოზ. მეც არა ვხედავდი ისრაელის წაწყდელის ნიშნებს და ამიტომ ვუთხარ ისრე გამედვით ოლომფრეს, რომ ვერა სძლევ მეთქი იუდას, თუ არ არიან განწირულნი თავისი უხილავი ღმერთისაგან.. მაგრამ ყოველი ჩემი იმედი გასრულდა, ვითარცა ზნანება გონსუსტი კაცისა. უკვე გადასწყდა საუკუნოდ ბედი ისრაელისა. ერმა, მხედრობამ, მხეთართ-მთავართა და დიდმა მღვდელმა ელიაკიმ, ეს-ეს არის ეხლა, სწორედ ამ აღგილას, სადაც შენა სდგებარ, გადასწყვიტეს მიეცეს ბეთილი ოლომფრეს.

აფდათ. როგორ! ეს გარდასწყვიტეს მხედართ-მთავართაც?! ეს გარდასწყვიტეს გმირთა: ოზიამ, ხაბრიმ, ხამრიმ და დიდმა მღვდელმა ელიაკიმ?! ნუთუ დაავიწყდათ, რომ ასურ მომდგარა შეჰმუსროს საბუდამოდ თესლი და თვით სახსენებელიცა ისრაელისა?!. ახიორ! არ არის სარწმუნო სიტყვანი შენნი. ოზია, ხაბრი და ხამრი, გმირნი და სალოცავნი მთელის იუდასი, დაადგენ მაგ სამარცხენო და ღვთის გარეგანს განაჴენს?!

ახაოზ. დიად, კით მოვლენილო ივლით! ყოველივე ჩემი ნათქვამი ისრეთივე მართალია, როგორც ისა, რომ შენს გვარსა ასულსა არღა ჰშობავს ისრაელი. ერმა და მხედრობამ მახვილით ხელში და შფოთით აიძულეს ისინი, რომ გაულონ ციხის კარი ოლომფრეს.



**ივლით.** (დაფიქრდება მახვილს, დაფიქრდება. სახე თანდათან ენთება, კარგა ხნის ფიქრის უკან). ახიორი არ წაწყდება იუდა!.. არ წაწყდება ისრაელი!.. მაჩვენე ოზია, ხაბრი, ხამრი და ელიაკიმ!.. ველი აქ, ამ ადგილას, სადაც დაურდგენიათ მაგათ ევ საშინელი განჩინება. გელით აქ თქვენ ხუთსაფე და სხვა არა ძე კაცისა არ უნდა დაესწროს აქ.

**ახეობრ.** (თავისთვის) რაღაცა ღვთის ძალა, ღვთის ბრძანება ისახება ამ უცნაური დედაკაცის ყოველს სიტყვისა, ყოველს კილოსა, ყოველს სახის მოძრაობაში!.. რა ჰსურს? ნეტა თუ რას იზრახავს დედაკაცი უძღლური, დედაკაცი ნორჩი, დედაკაცი გამოუცდელი, როდესაც უძლიერესთა მეფეთა და მთავართა ცის ქვეშეთ მყოფთ ვერა გაუწყვიათ-რა წინაშენ ბაბილონის მხედრობისა? წინაშენ უძღვევლის ოლომფრესი!.. ყველა, ყველა წამხდარა, ყველა წაგებულაია!.. თვით გგოვისაც აღარა აქვს ძალა იხსნას ისრაელი! (მიდის) წაწყდა ისრაელი საუკუნოდ. (გადის).

**ივლით.** (მარტო ფიქრის უკან) გადაწყვეტილია!.. უნდა წაწყდეს ოლომფრესი!.. უნდა წაწყდეს ქალღუ... წაწყდეს ასურის!.. (გადისგრის მახვილს) იქით მახვილო!.. შენ ველარ გააღვიძებ ისრაელის ჩამქრალს სისხლში ძალას!.. ამ, ამ უძღლურმა მაჯამ, ამ უძღლურმა გულმა, ამ უძღლურმა დედაკაცმა უნდა იხსნან ისრაელი!.. (დაფიქრდება) უნდა მე, უძღლური ასული ევასი ვაფუღგე გზასა საშინელსა... გზასა განსაცდელიანს... გზასა, სადა შეიძლება შეიმწიკვლოს უბიწოება ჩემი! (დაფიქრდება) მართლა!.. რომ წაწყდეს სიწმიდე, დიდება ჩემი ცხოვრებისა, სისპეტაკე სახელისა ჩემისა?! (დაფიქრდება) ქვრივი მანასესი, რომელიც მთელს იუდას, მთელს ისრაელს ჰყვანდათ საქებურად და სადიდებლად თვისი უბიწოებით, სიწმინდით თავის და ცვისათვის, — გახდეს მსხვერპლი კერპთა მსახურთა არაწმინდებისა?!..



თუ ამის მეტი არა იხსნის-რა ისრაელს, ისრაელს,  
 რომელმანც მომცა მე სიცოცხლე და, მაშასადამე,  
 რომელსაც ეკუთვნის ჩემი სიცოცხლე?! თუ ამის მე-  
 ტი არა იხსნის-რა იმ ერს, რომელმანც შეჰქმნა სჯუ-  
 ლი მოსესი, ღმერთი გონებრივი?! (დაფიქრდება). არა,  
 არა! არ შეიძლება უწმინდურებით წმინდა საქმის  
 მოგება (დაფიქრდება). ოლომფრე!.. აგერ თვალწინ  
 მიდგა ოქროს კარაფი მისი!.. აგერ ტყვენი მოსთ-  
 ქვაშენ მწარედ თავის ვაჩენის დღეს! მხედრობანა  
 მისნი, მახვილ შემართულნი ჰმუსრიან მათ და მათს  
 ცოლ-შვილს იმათსავე თვალის წინ!.. გამარჯვებული  
 და გამხეცებული ქალდე და ასურ, როგორც დამ-  
 შეული ვეშაბი თავის მსხვერპლს, შესცქერიან ბე-  
 თილს, მთელს ისრაელს შთასანთქავად!.. (დაფიქრდება).  
 ისრაილი!.. ახალი ტყვეობა!.. ახალი მუსრი!.. ახალი  
 ბილწვა ტაძართა და ქალწულთა შენტა!.. გოდება,  
 გოდება თავისსავე სისხლში მცურავი ერისა, ჟრია-  
 მული, კენესა და დედებისაგან გაშვერილი ხელები  
 კალოზე ნალეწთა ჩვილთა ყრმათა! შეძახილი შე-  
 ბილწულთა ქალწულთა და შემართულნი მათზე  
 სისხლში ამოვლებულნი მკლავნი და მახვილნი!...  
 (დაფიქრდება). აგერ, ყველანი მე მიცქერიან, მე შემ-  
 ძახიან: „ქერივო წმინდა კაცისა მანასესი, ივლით!  
 შენ შია ჩვენი ხსნა!.. გვიხსენი ჩვენ... იხსენ იუდა...  
 იხსენ მთელი ისრაელი!.. (დაფიქრდება). „აგერ ტა-  
 ძარნი, რომელთა წერაქვებით და მანქანებით მის-  
 დგომიან სანგრევლად კერპთა მთაყვანებულნი, ბა-  
 ლის მახსარებულნი!.. აგერ შახუცი, განართხელ-  
 ნი ცხენთა და ეტლთა ქვეშე მოსესა წმინდა სჯუ-  
 ლისათვის, მიყურებენ და შეძახიან: „ივლით! ივ-  
 ლით! გვიხსენ დანგრევისაგან, გვიხსენ წამებისაგან!  
 იხსენ მოსეს წმინდა სჯული კაცთა გაღმერთებისა-  
 თვის შექმნილი!..“ დიალი აგერ ცხადლივ, ცხადლივ



მესმის ყოველ მხრივ შევლის ძახილი... ცხადლივ  
 ვხედავ წამებასა... ნგრევასა.. ცეცხლსა!.. საშინელ-  
 სა ერიაშულსა!.. (დაფიქრდება). ან უნდა ვიხსნა ისი-  
 ნი, ან უნდა მოკვდეს ივლითი... ან უნდა სიკვდი-  
 ლამდის და თვით სიკვდილის უკანაც გვდევნიდეს ეს  
 საშინელი შეძახილი, ეს საშინელი სანახაობა და მა-  
 წამებდეს სინიდისის მხილება, რომელიც ყოველს  
 წამებაზე უარესია, რომ შემძლო შეველა და არ ვი-  
 ნეჭე!.. (დაფიქრდება). დიად! ეს არ არის პირველი!  
 ეს მესმის ძილში თუ ცხადლივ მას აქეთ, რაც ოლო-  
 მფრე მოადგა ბეთილს, რაც ნაბუქადონოსორ ემუ-  
 ქრის ისრაილს საუკუნოდ შემუსრვას... მესმის ეს  
 ხმა, ვხედავ ამ სანახავთა და არ შიძლევენ მოსვენე-  
 ბას... სტანჯავენ ჩემს სინიდისს... ჰქენჯნიან ჩემს  
 გულს, ჩემს ტვინს... (დაფიქრდება და თან და თან აენ-  
 თება სახე). გათავებულია!.. წაწყდა ოლომფრე! წაწყ-  
 და ასური!.. უნდა იცოცხლო ისრაელ მოძღვრად  
 ქვეყნისა, რათა ასწავო მას, რომ კაცია ნაწილი  
 ღმრთაებისა, ღმრთაება სოფლისა, რომ ყველა კაცია  
 შექმნილი სახედ ღმრთისად და არა არს გარჩევა კაც-  
 თა შორის არცა დიდთა, არცა მცირეთა, არცა  
 დედაკაცთა, არცა მამაკაცთა, არც უცხოთა, არცა  
 მახლობელთა, რომ ყველანი ერთგვარ ვართ ნაწილი  
 ღმრთაებისა, ერთ სულ და ერთ ხორც, სწორად  
 მოვლენილნი უფლად ყოვლისა ქმნილებისა... რომ ას-  
 წავო, შესწყდეს ბრძოლა ღმრთის ღვრა კაცთა  
 შორის, გადიქნას მახელილი სახნისად და ლახვარი  
 მანგლად, როგორც ბრძანებს ამას უფალი დიდი წი-  
 ნისწარმეტყველი ესაიას პირით! ო, ისრაელ! შენ  
 უნდა იცოცხლო, რათა ასწავო კაცთა კაცისა ღვთის  
 სახედ შექმნა, ღვთის ძალისა შეძენა. უნდა დაუბ-  
 რუნო კაცთა დაკარგული სამოთხე! მოეც ცნობა





ხისა ცნობადისა დი უნდა მოსცე ხეცა უკვდავებისა...  
 (შემოდინა: ელიაკიმ, ოზია, ხაბრი, ხამრი და ახიორ).

**იგდით.** (ვადაპკრავს ძაძას ხელს, გაპხევს, გადიძრობს და გადისერის, გადიყრის თავზე ფერფლს) რა მესმის ეს, თქვენ ისრაელის ერის დიდებულნო უფალნო და წინამძღვარნო?! გავიწირავთ იუდა, გავწირავთ ისრაელი, გავიწირავთ სჯული მოსესი! მაშ რად იკისრეთ გაძლოლა და წინამძღვრობა ერისა, პატრონობა ღვთის სახლისა, მოსეს სჯულისა, რად აშალეთ ერი, რად მიხედეთ საქვეყნო საქმენი, თუ ვერც კი გაუძღვებოდით ამ საქმეთა?! თქვენ, რომელნიც დღემდისინ გმირულად უძღვებოდით ერს, ახლა ამ საშინელს განჩინების დღეს, როდესაც გადაწყვეტილია მოეღოს საუკუნოდ ბოლო ისრაელსა და გასწყდეს სახსენებელიც კი მოსეს დიდებული სჯულისა, თქვენ თქვენნივე ხელით აძლევთ მტერს შესაქმელიდ ერს, რომელმანც მოგანიჭათ უმაღლესი დიდება, ჩაკაბარათ თავი თვისი და თვისნი სალოცავენ საპატრონოდ...

**ელიაკიმ.** ასულო ისრაელისა, სახელო და დიდებაე ებრაელთა! მიგვეც, მიგვეც შეჩვენებას! დაგვასპინე მეუფესა ჩვენსა, საბაოთ უძღვეველსა ღმერთსა ამ საშინელი განჩინებისათვის! დეე მოგვივლინოს მან მეხი და უარესი რისხვა თვისი. ჩვენ უნდა ჩვენსავე ხელით ჩაკაბაროთ იაკობისა ღმერთისა მოსისხაროთ ისრაელი, წმინდა სალოცაენი ჩვენნი, სადგურნი ღვთისა ჩვენისა შესამუსრავად, საუკუნოდ ბოლოს მოსაღებად... ვლოცულობთ და აღარ გვისმინა ღვთისი, ვპარხულობთ და არა მოპხედა სინანულსა ჩვენსა, ვსტირით და განარღვდა თვალნი თვისნი მაღალთა შინა მჯდომიან მეუფემან ჩვენმან შეცოდებათა ჩვენთათვის. გასწირა სამუდამოდ, ბოლოს მოსაღებად ისრაელი ურჩებისა მისისათვის.



**ა.ზ.ბ.** გასკდი დედამიწაჲ და ჩაგვიტანე მან ამ საშინელი დღისათვის, ამ უმაგალითო განაჩენისათვის!! რატომ, ვგოვაჲ, ღმერთო ებრაელთა, ცისა და ქვეყნის დამამყარებელი, არ გაგვაწყალე დედიჩენის მუცელში და შეგვასწარ ამ საშინელსა დღეს, რათ მოგვეცი ხვედრად მტარვალობა ერისა ჩენისა, წმიდისა სჯულისა შენისა, რად აქციე ხელი ჩვენი მმუსრველად, შემოგინებლად ერისა, რომელმანც ძუძუთი თვისითა გაგვზარდა ჩვენ, სჯულისა, რომლისაც დიდება და სიწმინდე გვასწავა ჩვენ?!!

**ხ.ბ.რ.ა.** ღმერთმან მოგვაყენა უარესი სასჯელი თვისი, — ალბად საშინელითა შეცოდებათა ჩვენთათვის, რომ სწორედ ჩვენ გაგვხადა ჩვენსავე ერზე თავისი რისხვის აღმასრულებლად. ან გვსჯის იგი ჩვენთა მამათა საშინელთა ცოდვათვის.

**ხ.ბ.რ.ა.** ვეცადნეთ ერთიც კიდევ შევასმინოთ მხედრობათა ჩვენთა, რომ ერთიც ვებრძოლნეთ ოლომფრეს, და ამ ბრძოლაში გავსწიროთ თავნი ჩვენნი, რომ არ შევესწრეთ ჩვენი თვალისწინ მუსრსა ჩვენი ერისას და შეგინებას ჩვენი ღმერთისას.

**ა.ზ.ბ.** ამაჲოა ყოველივე. ერმა და მხედრობამ დაჰკარგა სასოება. იერემიას სიტყვები ყველას აკერია პირზე. თავის უსასოვობა შიანიათ ღმრთის ბრძანებად. სადაც არ არის სასოება, იქ არ არის ბოლო კეთილი. მათ არჩიეს სიკვდილი ამგვარი წამებით სიციოცხლეს.

**იგდათ.** მაშ, მხედარნო, მოძღვარო და უფალო ყოვლისა ისრაილისა, უსმინეთ უმრწემესა ასულსა ისრაილისას, უძღურსა ივდითს... მე ვიხსნი ისრაელს! უნდა წაწყდეს ასური!!

**ვეელანა.** (გაოცებით) ვინ?! შენ?!

**ხ.ბ.რ.ა.** ივდით, შენ, რომელსაც არ შეგეძლო ყურება სისხლისა, რომელიც სდიოდათ მხლებელთა შენთა გაჭრილი თითიდან?! შენ იხსნა იუდა?!





ოზია. შენ, რომელმანაც არა იცოდი-რა გარდა ლოცვებსა, ფსალმუნთა, საგალობლებისა, სამღრთო წიგნებისა, სამღრთო სჯულისა და სხვათა წიგნთა კითხვისა, რომელნიც მოგეითხოვებენ სხვა-და-სხვა ერთა ცხოვრებასა და საქმეთა, არა იცოდი-რა გარდა სახლოს-ნობისა, შენ იხსნა იუდა?! იხსნა ისრაელი?! იხსნა სახლი და სჯული უფლისა ჩვენისა?!

აგდათ. ჰოი, ისმინეთ ისრაელისა უძლიერესნო გმირნო და პატრონნო! ისმინეთ და ნუ გიკვირთ ძალა მისი, რაიცა გვეწვევება ჩვენ მცირედათ. რა არის ნაბერწკალი? და ნაბერწკალისაგან იწვიან მთელი დაბანი და ქალაქნი, მთელი ტყენი და მდგლონი, მთელი სამეფონი და სამთავრონი. რა არის წვეთი სამსალისა? და წვეთი ესე უღებს ბოლოს უძლიერესთა მეფეთა და დიდებულთა, უძლიერესთა მკლავთა და ძაღლათა. მაშ ნუ გიკვირთ, რომ უძღუარი დედაკაცის ხელითაც გაკეთდეს საქმე ძლიერი. შეაჩერეთ კიდევ რამდენსამე დღეს გადაწყვეტილება თქვენი და იმ დღეს, რომელსაც მე ხვალ დაგინიშნავთ რიერაჟისას, ყველანი: მოძღვარნი და წინამძღვარნი, მღვდელნი და ერნი, მხედრობანი და მხედართმთავარნი გამოდით ციხის გარეთ და მგლოდეთ მდინარისა წყლისა პირიდან მომავალს ასურთა ბანაკიდან. იქიდან იხილავთ თქვენ ისრაელის ერის ხსნას და დაცვას ჩვენი წმინდა სჯულისას. მშვიდობით! ხვალ დილით რიერაჟისას მგლოდეთ ციხის კარებთან. მშვიდობით!... ცხონდეს ისრაელ და სჯული მოსესი უკუნისამდე!.. (გავარდება აღტატებული სახით. ყველანი რჩებიან გაოცებულნი).

ელაზკიმ. ოზია?!,,

ოზია. საბრი?!

ხაბრა. სარმი?!

ხარშია. ახლოარ?!



შველანა. რა გვეხმის ესა?!

უღაგამ. თვით ღმერთი ეგოვა ხომ არ ჩასვენებულა მაკას გულსა?!

ახიარ. რაღაც საშინელს, ჯერედ უქნელს საქმეს უნდა ვე-  
ლოდეთ მაგ უცნაური დედაკაცისაგან...

## მოქალაქეა შიშით

### სტენა პარკელა

(ბანაკი ბაბილოვნელთა. ოლომფრეს ოქროს კარავი, მორთული დიდებული სამხედრო მოწყობილობით. ასვენია აქ კვრანი ბაალისა, ასურისა, ასტარტასი, ბაბილოვნელთა და ასურთა ღმერთებისა და მათს თავს ნაბუქადონოსორის სახე ღმერთად მოქედილი.)

**ოლომფრე.** (სამხედრო ტანისამოსით. შეჭებდავს ნაბუქადონოსორისა, ბა-  
ალისა, ასტარტასი და ასურის ქანდაკებს). ნაბუქადონო-  
სორ ღმერთია! და თქვენ, ასტარტაე და ბაალ, ღმერ-  
თნო, ქვეყნად ნაყოფიერებისა მომფენნო, და შენ  
ასურ, ძლიერის ასურის ერის ღმერთო, — უკეთუ მარ-  
თლი ხარო ღმერთნი, — უთმენთ ამას ნაბუქადონო-  
სორს?! (ვაიხედავს სარკეში) შემოგვხედონ მეცა და მა-  
გასაც. სახიჩარი, მხეცის სახე ნაბუქადონოსორ—ღმერ-  
თი!.. ღმერთი — ვისით? (იჩვენება მკლავზე და თავზედ)  
აი, ამითით. და მე? — მე მონა, მოსამსახურე მისი,  
შემსრულებელი ყოველი მისი სახიზღარი სურვილი-  
სა და წყურვილისა!.. მე უნდა სანხლსა ვღვრიდე,  
ვიპრობდე ქვეყანას, ეგ კი მეფობდეს და ღმერთო-  
ბდეს! ღმერთობდეს კაცი, რომელსაც აქამდის ვერ



გაურჩევია თავისი თავი: კაცია თუ პირუტყვი, დიქ-  
 კარგავს გონი და მისცემია მესიზმრეთა, მემისნეთა,  
 მოგვთა და ქალდეველთა\*) ხელში; მისცემია ებრა-  
 ელთა ყრმათა წინასწარმეტყველებას. საიდან, საიდან  
 შესდგა ძალა ამა, ყოველს დიდებულს ბუნებას მოკ-  
 ლებული, კაცისა?... ოო, ერნო, ოო, კაცის ბუნებაჲ!  
 მცირე გაბედულება, მცირე თავს მოქცევა შენზედ,  
 მრისხანე სახე და შეუბრალებლობა შენი, და შენ  
 თვითონ ჰხდი ხშირად თვით უბრალო აღტაცებული  
 გონის კაცთა ღმერთად... შთელს სულგმულთა შო-  
 რის მარტო შენა ხარ, კაცო, რომელიც ძალითი ჰყოფ  
 თავს საბრძოლელაში, ეძებ მტარვალთა, რათა ამონო  
 თავი და მისცე შენი სიკაცხლის ძაფები ხელში  
 შენდა საკედავად და საწამებლად... კაცი, რომელიც  
 იქნება შენი ნაკლით სავსე, რომელიც შეუწყობს  
 შენს ნაკლს ხელს, დადგება შენს ზნეზედ, — ხდება  
 შენი ღმერთი, შენი სალოცავი... გაღმერთებულა ნა-  
 ბუქადონოსორ! ნაბუქადონოსორ პირუტყვი, ნაბუ-  
 ქადონოსორ ოთხზედ მავალი, ნაბუქადონოსორ აღ-  
 ტაცებული, რომლისაც ერთად-ერთი ღირსება არის  
 ისა, რომ მოჰზიდა ბაბილონს მთელი ქვეყნის სიმ-  
 ღიდრე, მოიყვანა ქვეყნის ტყვენი, შეჰკრიბა ქვეყნის  
 მეცნიერნი, ქვეყნად უნიჭიერესნი და ხელოვანნი კა-  
 ცნი, და ყველა ესენი შეუყენა ბაბილონის ამალღე-  
 ბას, თავისი ტახტის დამკვიდრებას, თავისი სახელის  
 გადიდებას. (განდგება განზედ და შესტყერის კიდევ ნაბუქა-  
 დონოსორის ქანდაკს). აღიარეს ქურუმთა ნაბუქადო-  
 ნოსორ ღმერთად. — რაღა? მეფეთა ღმერთად აღიარე-  
 ბა მისცემს მათ ძალას, რომ სამი წილი სამეფოთა  
 ქონებისა ეჭიროთ ხელთ, სქამონ და არა ჰყვანდეთ  
 წინააღმდეგი, რადგან ერი თავის ასე უწყალოდ ყვლე-  
 ფას არ მოუთმენს მეფეს-კაცს, და მეფეს ღმერთს კი

\*) ქალდეველთ—მეცნიერთაც ეძახდნენ მაშინ.



ვერ შეჰბედავს ვერაფერს. ნებოლიდ, უღრმესმა მეც-  
 ნიერმა აღიარა ნაბუქადონოსორ ღმერთად, — რადა?  
 იმიტომ, რომ აღიარებენ ქურუმნი, რომელნიც არი-  
 ან მტრები მეცნიერებისა, და უკეთუ მეცნიერებამ იგი  
 უარპყო, ქურუმთ მიეცემათ ძალა შეჰმუსრონ მეც-  
 ნიერება და მეცნიერნი. (დაფიქრდება) მაშ ვის ეკუთ-  
 ვნის მეფობაცა და ღმერთობაც? (დაფიქრდება) ზოგნი  
 მესიზმრენი და წინასწარმეტყველნი წარმოსაქმნიან  
 ჩემს ჩუმად, რომ ნებოლიდს ელისო მეფობა... (და-  
 ფიქრდება) ნუთუ მართლა?! არა, ის არის მშვიდი,  
 რისხვა უჩენელი, გულჩვილი, მხოლოდ სამუცნიერო  
 საქმეთა მიმდევარი... ის ვერ გახდება ჩემი მოცილე...  
 მეფობა არის ხელთა მიხვილოსანთა, და არა საეტ-  
 ლოთა აღმოპკითხველთა... არის მოცილე ჩემი კიდევ  
 ევილმეროდოხ. ის არის გველი, ჰხიბლავს ნაბუქა-  
 დონოსორს და ჰგესლავს ყოველთა მოცილეთა თვის-  
 თა. მაგრამ იმას არ შესწევს არც რიხი, არც ახოვ-  
 ნება, არც გმირობა... მისი დღენი ხელთა ჩემთა: მი-  
 ვალ თუ არა ბაბილონს... (დაფიქრდება) დიად, აღი-  
 არეს ღმერთად ნაბუქადონოსორ არა იმიტომ, რომ  
 მასში მართლა ღვთაებრივი რამე მოიპოვებოდეს,  
 არამედ თვისთა საქმეთა წარსამართავად. რა ჰსურს  
 მეცნიერებას? გაუქმება ღმერთთა, და თვით მათი აღ-  
 გილის დაქერა. რა ჰსურთ ქურუმთა? სიბრმავე ერთა  
 და მეფობა მის ბრმა გონებაზე, რათა იგი ხელსა და  
 გონს გაუნძრევლად ჩაძვრეს შესაქმელად მათს გაუ-  
 მაძღარს მუცელში... დავიპყრა ისრაილიც, და მაშინ  
 ვნახოთ, ვინ არის ღმერთობის ღირსი, ვინ არის ცის  
 ქვეშეთ პირველი!.. ო, ბეთილ! ო, ოზიაე! თქვენ-  
 ხართ ბოროკილი ჩემი პირველობისა ცის ქვეშეთ, ჩემი  
 გულის წყურვილის შესარულებისა... ნუ თუ უნდა  
 შესრულდეს სიტყვა მოვატთა მთაერის აჩიორისა და  
 ბეთილი არ იქნეს განართხულ ფერხთა ქვეშე ჩემთა?



არა! მთელს ჩემს მხედრობას, მთელს ჩემს ნიჭს, მქმნ  
გონებას ჩემს თავს შევაკლავ და, იუდავ, არ შეეს-  
კამ შენს ჯავრს, და მაშინ, ვაი შენდა ბეთილო, ვაი  
შენ ოზიავ! ვაი შენდა მთლად ერო ისრაილისავე!  
ფერფლი, ფერფლი რა არის, ფერფლიც აღარ გაუშე-  
ვა არცა თქვენგან და აღარცა თქვენთა საცხოვრე-  
ბელთაგან!! (შემოდის ვალი).

**გაღმა.** დიდებულო მხედართმთავარო და ღმერთთათანადარო,  
თვით უძლიერესნი ღმერთნი უძღვიან ძლიერებასა  
და საქმეთა შენთა: ჰგზავნიან შენდა უმაღლესსა წყა-  
ლობასა თვისსა. ეს არის ეხლა მოვიდა ბეთილიდან  
ერთი გამოქცეული დედაკაცი თავისის მხველით. ცხა-  
რე ცრემლით იხვეწება შეწყნარებას და თხოულობს,  
მოვიყვანოთ შენთან, რათა შეგაბრალოს თავი თვი-  
სი და გამხილოთ შრავალი საქმენი თვისი ქვეყნისა.  
დიად, დედაკაცი, თუ ეთქმის დედაკაცობა მის, რომ-  
ელიც მშვენებით, ახოვნებით და დიდებულნი სანა-  
ხაობით სჭარბობს თვით მშვენებათა ღმერთს, ას-  
ტარტას.

**აღმსურე.** საქურისთა თვალში ის დედაკაციანი არიან მშვენი-  
ერნი, რომელნიც მოსწონს დედაკაცისავე თვალს და  
არა მამაკაცს... მოვიდეს: ვნახოთ ერთი შენი მოწო-  
ნებული მშვენების დედაკაცი.

**გაღმა.** მე ვამბობ შენს გემოვნებაზე, და ჩემთვის ხომ ყოველი  
სახე დედაკაცისა დაკარგულია. (გადის).

**აღმსურე.** (მარტო) ჯერ არც ერთს ებრაელის ასულს არ მო-  
უხიდნია გული და თვალი ჩემი. ცხადია თავისი სა-  
ქურისის თვალით ჰნახავდა ვისმე უღვაშ შესხმულს  
დედაკაცს, ბოხის ხმით, ტლანქი ტანით, სხვილი ხარ-  
ბეკით და გაიტაცებდა მის მისი მშვენება. იმ მშვე-  
ნებათა ღმერთს მივცემ მე მაგასვე მისი გემოვნების  
დასატკობელად.



(შემოდის ვალი, თან შემოსდევენ ივდით და მხველი ივდითისა აბრი. ივდით არის მორთული მშვენიერად, მდიდრულად, შემკული თვალმარჯალიტით. თავს ადგია ჯილა, აგრეთვე თვალმარჯალიტით მოკედლილი. ტანს ასხია ოქროთი მოჭარჯული და ძვარფასი თვლებით შემკული ქლაშიდი, ფერბთ აკვია ძვარფასად ნაკერი ხამლები.)

**ოლომფრე.** (თავისთვის) ასული, ხშირი სტუმარი ჩემი ოცნებისა... ეს, სწორედ ეს არის, რომელიც სიზმრად ასრე უწყალოდ მხიბლავდა ჩემს გულს, და ცხადად კი ვერსად, მთელი ცის ქვეშეთ ძებნის შემდგომ, ვერა ვპოვე.

**ივდათ.** ოლომფრე, დიდებულო და უძლეველო მთავარო, ცის ქვეშეთისა დამპყრობო და ხარის დამცემო! ასული ისრაელისა, პატრონი მრავლისა საცხოვრებლისა, ჩვეული დიდსა ნებიერსა და ფუფუნებით ცხოვრებას, დღეს, შეიწრებული უწყლობით, შეფუარებივარ დიდსა და ძლიერსა საფარველსა შენსა. მოდის კვალად დიდძალი მხედრობა ბეთილის სახსნელად, მსურთ წყალი წარიტაცონ ხელიდან მაგრამ შე, მღვთივმოვლენილნი ძილის შინანი მარწმუნებენ, რომ არა აქვს ღსნა ბეთილს. ღმერთი ებრაელთა, დიდებული ეგოვა, ჩენი დიდებული წინასწარმეტყველი იერემიას პირით გვიბრძანებდა მორჩილებასა და ერთგულებასა თქვენსა. ამასვე სიზმრივ თუ ცხადის შთაგონებით შეგვასმენდა მე და მრავალთა სხვათა ღმერთი იგი ძლიერი.

**ოლომფრე.** მსმენია ეგე თქვენსავე ებრაელთაგან, მშვენიერო, ცით მოვლენილო ახალო ასტარტავ, და ვიცი კიდევ. მაგრამ ვერ ვარწმუნე ამაზე ახიორ, მეფე შოა-ვიტთა, რომელიც ამის დასარწმუნებლად გამოვკზავენე თქვენთან, რომ დაესწროს იქ, როდესაც დაეცემა ბეთილი და მოჰყვეს თვით მის ნანგრევთა ქვეშე თავისი თავბედური ახირებისათვის, რომ ბეთილი არის უძლეველიო! ბრძანე! მშვენიერო ასულო.



ივდათ. ერი სდგას საბაოთ ღმერთის ბრძანებაზე, მაგრამ **მცირა** აქვს ხსნა სამღვდელთაგან, არა აქვს ხსნა მხედართ-  
მთაფართაგან, რომელთაც სხვა ღმერთის აღიარებით  
და სხვა მღვდის მორჩილებით მოაკლდებოთ დიდება,  
მუქთი ცხოვრება, ძალოებით შეძენილი სარჩო. მღვ-  
დელნი და მხედართმთაფარნი ძალოებენ და არ აძ-  
ლევენ ნებას, რომ გაგიღონ ციხის კარი და შემოს-  
წირონ თავი დიდებასა შენსა...

**ოღოძმფრე.** (გასცქერის შუბლქვეშ და თანდათან უურო ვნთება თვა-  
ლები) ბრძანე, ბრძანე მშვენივრათა ღმერთო, ღირსო  
ღმერთთათანა დიდებისა და ცის ქვეშეთისა დედოფ-  
ლობისა.

ივდათ. და იი, ბეთილის ერმა, რომელსაც დიდი ხანია მსურს  
ღმერთის თავისი ღმერთის ეგოვას ბრძანებაზე, მო-  
წინდო მე საიდუმლოდ გხლებოდნი შენ და მესწავ-  
ლებინა გზანი ბეთილის დასაპრობად. მეცა ვუსმინე  
ერის ვედრებას და დავემორჩილე ჩვენი ღმერთის  
ეგოვას ბრძანებას, გიახელ შენ, და დღეს უნდა აღს-  
რულდეს ბრძანება უფლისა ჩვენისა... ამას ბრძანებს  
საბაოთ ღმერთი; ამას მსაქიროებს განწირული ერი  
ისრაილისა...

**ოღოძმფრე.** ქალწულთა მშვენივრავ, ისრაელისა ასულთა გვირ-  
გვინო! უკეთეს მოციქულს და შუაკაცს ვერ გამოგ-  
ზავნიდა ბეთილი ჩემთან. სწორედ უბრძანებია ღმერთ-  
სა თქვენსა, რომ ჩვენი მხედრობა არის უძლეველი.  
ძლევა მისი არც ღმერთთა და არც კაცის ხელთ არ  
არის! ვაი მას, ვინც გაჰბედავს ამ მხედრობაზე ხე-  
ლის შემართვას!.. და, რამდენიც უფრო მტკიცედ  
იდგება იუდა თავის თავხედობაზე, იმდენი უფრო მო-  
ელის მას შეუბრალეზელი რისხვა ჩემი. გაჩენის წიგნ-  
თა შინა ამოიშლება სახელი, ისრაელისა... უკეთუ  
ბეთილი თავის ნებით გაძილებს კარს და ჩამაბარებს  
ციხის გახალეებს, გამიხსნის ამითი მთელი ისრაელის



გზას, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეუძლიან ელოდებოდნენ ჩემგან შეწყობას... და შენ, დიდებულო სახეო, მაგ შენი სამსახურისთვის მიიღებ უმაღლესსა დიდებასა, გახდები უდიდებულესი და უბედნიერესი ასულთა შორის ყოვლისა ქვეყნისა.

**აგდათ.** დიდებულო მთავარო, რომელსა არა გყავს დარი არცა მთავართა, არცა მეფეთა შორის, რომელსა გელის გვირგვინი ცათა ქვეშეთის მეუფებისა, უსმინე ივდიოს, ღვთივ შთაგონებულს ასულსა ისრაელისას, რომელსა ძილის შინათა ხშირად ესაუბრების ღმერთი მომავალსა კაცთა ცხოვრებაზე. ბრძანებს საბაოთ ღმერთი: დაჯდეს საყდართა ზედან ქვეყნის მფლობელობისა მგუფე ახალი, მზისა უბრწყინვალესი გვირგვინით შემკული და შემეძსროს ძველი, ოდეს აღმართოს ღვირას ველსა ზედან ხატი უდიდებულესი და დასცეს უძლეველმან მთავარმან ბაბილოენელთა ისრაელი.

**ალამფერე.** (თავისთვის) სწორედ ეს არის ის, სიზმართა და ცნობათა ჩემთა ღმერთი, რომელი შატკობდა ტკბილისა საუბრითა, ციური აღფრსით, ციური გალობით, ნეტართა საკრავთა ხმებით... სწორედ ამ სახით იყო მზით მოწოდებული ქალწული, რომელსაც ეჭირა ცის მნათობთა უბრწყინვალესი გვირგვინი, მადგამდა თავზე და მეუბნებოდა: შენა ხარ მეუფე ცის ქვეშეთისაო... და აი, სწორედ ის, ცით მოვლენილი სახე, ახლა მიხსნის გზას და მიძღვეს ძალას დაეიპყრა ისრაელიც და მაშინ!! (ივდიოს) დიალ! ბრძანე ცით მოვლენილო, ღვთაებისა ნაწილო.

**აგდათ.** და ისრაელის დაპყრობით სრულდება ბრძანება იგი ისრაელთა საბაოთ ღმერთისა... და შენ, უფალო და მფლობელო სულთა ჩვენთა, უბრძანე მხედრობასა შენსა, რომ არ დამიშალონ შენს თვალ-გაღუწდომელს ბანაკში თავის-უფლად სიარული: არცა დღე,





მეცნიერება

არცა ღამე; არ დამიშალონ სიარული მდინარისაჲს, რომ იქ მქონდეს დრო ჩვენი წესისამებრ ლოცვისა და ჩემთან შეტქმულთა მქონდეს დრო საიდუმლო ღაპარაკისა ციხეზე მისასვლელად და ციხის კარის გასატებად. უნდა ეს მოხდეს იმ დრომდის, ვიდრემ მოვა ახალი მხედრობა ისრაელისა ბეთილის სახსნელად... ახლა კი ნება მიბოძე წასვლისა და ბინა, რომ ამოდენა ღელვასაგან მივცე თავი მკირე მოსვენებას...

**ოღომაჲსტკ.** ყოველივე შენი სურვილი შესრულდება, როგორც უმაღლესი ბრძანება.

**გადაი.** (გამოდის კარვის მეორე სართულიდან) ვახლავარ მეუფესა ჩემსა უძლეველსა ოღომაჲსტკს.

**ოღომაჲსტკ.** უბრძანე დაუდგან ამ ჩვენს ციხე მოვლენილს სტუმარს ოქროს ქსოვილი კარავი, შეამკონ ყოველითა დიდებითა, როგორც მეფეთა თანასწორს, როგორც თქვენს დიდებულს მბრძანებელს. გაეცი ბრძანება მთელს ჩვენს ბანაკში, რომ არავინ გაჰბედოს დაუშალოს ამით თავისუფლად სიარული ჩვენს ბანაკსა თუ ბანაკს გარეთ, და შეასრულონ ყველამ ყოველივე ამისი სურვილი და ბრძანება. ახლა იახელ და მოასვენე ნებისამებრ მისისა. მინამ ესენი მოისურვებენ, უბრძანე მოამშალონ სერობა დიდებულის. მონიწივე სერობაზე უკეთესნი ჩვენნი მხედართმთავარნი, ყოველნი მეფენი და მთავარნი, რომელნიც იმყოფებიან ჩემს მხედრობაში. იმედია ესე უმაღლესი სტუმარი ჩვენი არ გვეტყვის უარს, დაამშვენოს ჩვენი სერობა, რომელიც იმართება მაგის სადიდებლად და იმა დიდი საქმისათვის, რომელიც მაგას ჰქონია მოწოდობილი.

**იგდათ.** უფლისა ჩვენიისა ვგოვას ბრძანებით მოვსულვარ შენდა მსახურად, და ვითარ ძალიმიძს უარი ჯერ ღვთისა და შემდეგ მეუფისა ჩემისა ბრძანებისა. (გაღის ივლით და გასდევს თან აბრი).



**გადა.** (ოლომფრეს) თურქე საქურისთა თვალნი არა ყოფილან  
მოკლებულნი ძალას, გაარჩიონ მზის სხივი ღამის  
წყვილიადისაგან... **ოლომფრე!** მოვლეთ ძლევაბოსი-  
ლებითა მე და შენ ბირი ყოვლისა ქვეყნისა, მაგრამ  
არც ჩემსას და არც შენს თვალს არ უნახავს მაგის  
მშვენებისა და დიდების ასული... მაგრამ... რალაც  
ზარი და რისხვა ისახება მაგის მღვთიურს თვალებში.

**ოლომფრე.** ისახება სამართო აღი და დიდება ქვეყნის მღვდოფ-  
ლობისა. მაგას ელის დიდება, რომლისა მსგავსი არ  
მოვლენია არა ასულსა კაცისასა... მღვთური, მღვთი-  
ური სამსახური უნდა გაუწიოთ მაგას...

**გადა.** **ოლომფრე!** ეგ დედა-კაცი გხდება ან იდმდგენი სამე-  
ფოთა, ან დამშობი უძლეველთა... ყოველსავე მაგას  
სახის მოძრაობაში ისახება რალაცა რამ უცნაურ...  
შევეკითხნეთ მემისნეთა, მეეტლეთა, მესტროლაბეთა,  
მსახრავთა და ქალდეველთა აგვიხსნან, თუ რას მოას-  
წავებს დედაკაცი ეგე მისი მღვთიური მშვენებით და  
მღვთიურისავე რისხვით თვალებში.

**ოლომფრე.** ეგ არის საქმე საქურისთა და მათი, ვისაც ეტლი  
თავისი არ უპყრიათ ხელთა თვისთა. შენ მოუშვა-  
დე მაგას ყოველი ღირსეული პატივი, და რასაც  
მოასწავებს ეგ დედაკაცა, გაიგებ მაშინ, როდესაც  
იხილავ მაგას იმ დიდებით, რომელიც შენ სიზმრა-  
დაც არა გჩვენებია. (ოლომფრე გადის კარვის სხვა სარ-  
თულში).

**გადა.** (მარტო) რად, რად ღმერთნო, უკეთუ განაჩინეთ სახიჩ-  
რება ჩვენი, რად შეგვაჩინეთ სურვილი მშვენიერთა  
ასულთა?! რად არ აღკვეთეთ ჩვენს გულში ძალი  
ტრფიალებისა?!. ოო, ასულო ისრაელისა! ვერაფინ,  
ვერაფინ, თვით ღმერთი ბელლა-მაროდოხე ვერ გა-  
მამწირაუდა შენს თავს, რომ მტრობასა და კაცთა  
შეუბრალებლობას არ მივეცი მე საშინელსა და კაც-  
თა და ღვთის ვარეგანსა სახიჩრებისა... მაგრამ... რას



მოახწავებს, ქვეყნის მშვენიებისა და ღირებების ასულობა. შენი ელვა თვალთა, დაფარული ცეცხლი შენი სახისა, როდესაც გამყურებდი შუბლქვეშ მოლომფრეს?!. ნუ თუ ტრფობას?! მონობას?! ანუ იცან შენი მშვენიების შემაგინებელი ცეცხლი, ოლომფრეს გულს ანთებულთ, და ამის ზიზღს და სიძულვილს გამოსთქვამდნენ სახე და თვალები შენნი?!. ძლიერ ხარ დედაკაცთა შორის, და ფარულ საქმენი და განზრახვანი შენნი... შენი სახე არ ამბობს, რომ იყო გამცემი შენი ერისა. ქვეყნის გამცემთ ადევთ სხვა ფერი, სხვა ბეჭედი, რომელნიც უნებურად აღძრავენ კაცის გულში ზიზღსა და სიძულვილს... (შემოდის ისევ ოლომფრე).

**ოლომფრე.** ვიღაი! მაგ მშვენიების ქალს ცხადია ეცოდინება საკოავთა ხმარებაც, ეცოდინება გალობაც. სამღრთო გალობა ებრაელთა ასულთა განთქმულია ქვეყნად. უნდა დავაკვრევინოთ ქნარი და ვაგალობოთ ღიდება სიონისა.

**ვაღაი.** ქნარიც ოქროსი თანა აქვს. მიგისი ვერცხლებრივ მოწყობილღე ხმა, გამყოლი კილო ცხადად ამტკიცებენ, რომ უნდა იყვეს ჩინებული მკალობელი. ყოველივე შენი ნება შესრულდება. (გაღის)

**ოლომფრე.** (მარტო) დიღლი სწორედ ევ არის უფალი ჩემთა სიხმართა, მფლობელი ჩემი გულის თქმათა... და ესე სიხმარნი იყვნენ ისრე ძლიერნი და ცხოველნი, რომ ცხადღივაც ხშირად მელანდებოდა სახე მაგისი. ამ სიხმარმა გააქრო ჩემს გულში სახე ყოველისა მშვენიებისა. ყველა ჩემი კოლები, მშვენიება ცის ქვეშეთ მყოფთა ასულთა, რომელნიც მე ამიკრეფოა ხარკად დამონავებულთა ქვეყანათაგან, ამ სიხმართა შემდგომ თითქო ამოჰქრენ ჩემი გულიდან და სახე შათი, თუ არ ნახვით, აღარ ევლინებოდა თვალთა და გონებასა ჩემთა... ო, ასულო ისრაელისა! შენ, შენ გა-



ჩენილხარ ქვეყნის დედოფლად, და მე დაგადგამ შენ  
ქვეყნის დედოფლობის გვირგვინს, გაუფლვებ ჩემს  
გულზე, ყოველს ცის ქვეშეთზე, ყოველთა ერთა ზე-  
და, რომელნიც კი გაუზენია გამჩენს... ო, დიდებუ-  
ლო ღმერთო, ასტარტავ! შენ იყავ მუდამ ჩემი მწყა-  
ლობელი, უკეთესთა მშვენების ასულთა ჰბდიდი მო-  
ნად ჩემთა წადილთა, და დღეს მონივლინე უკეთესი  
წყალობა შენი... (შეზღდიან რავდენიმე მხედართმთავარნი).

**ფეკლანი.** უდიდებულს ოლომფრეს, მეფეთა უძლოფრეს და უძლე-  
ველს მხედართმთავარს მშვიდობა და გამარჯვება ყო-  
ველთა მტერთაზედა.

**ოლომფრე.** მობრძანდით, ქალდეველთა მხედრობისა დიდებანო!  
დღევანდელმა დღემ მოგვიტანა ახალი და სასიამოფ-  
ნო ამბავი, რომელიც გამოგვიგზავნა ნაყოფიერება-  
თა და მშვენებათა ღმერთმა, ასტარტამ, სამოთხის  
გაუფურთქნავი ყვავილის სახით... ერთი დღეც და  
ბეთილიც და მასთან მთელი ისრაელი, სამარია და მე-  
ზობელი და ებრაელთა მოკავშირე ქვეყნები იქნე-  
ბიან ჩვენს ხელთ. ამის გამო ჩვენ უნდა დღეს მივე-  
ცეთ ღირსეულს ღმერთსა და განცბრომას. უნდა უბრ-  
ძანოთ, რომ მთელს ჩვენს მხედრობას ნისცენ ახალი  
სანუგბარი, რათა იღმინოს იმანაც ჩვენთან. მიზეზი  
ამა დიდისა ნადიმისა, ასული, რომლისა მსგავსი არ  
უნახავს არავის თქვენგანს სიზმრადაც კი, გვეყოლე-  
ბი აქ, დაუკრავს ქნარს და გვიგალობებს ფსალ-  
მუნთა, რომელსაც ქალწულნი სიონისანი უგალო-  
ბებენ ელოვას და სიონს.

**გაბაი.** მეფენი, მთავარნი და დიდებულნი, ბრძანებისამებრ, შე-  
ნისა, გიახლებიან. ყოველი ნუზლი და სანუგბარი სე-  
რობისა არის მზად. ასული ებრაელისა ჰპართავს  
ქნარს და ემზადება სერისათვის.





**ოლომფრე.** მაშ დასდგან ტაბლანი. მოიხვეთ მუტრიბნი, ბექუ-  
სალმუნენი და მოსაკრავენი. (შემოდინ მეფენი, მთავარ-  
ნი და მხედართმთავარნი).

**მეფე ამალიკელთა.** ნადიმი ესე უთუოდ ნიშანია ბეთილის და-  
ცემისა, ისრაილის სამუდამოდ დამხოზისა. დადის ხმა:  
ბეთილი გვიღებს. კარსაო. ღმერთთან თანადარო  
ოლომფრე! ძღვევა ისრაილისა აღგამაღლებს უმაღ-  
ლეს ყოველთა მეფეთა, რომელნიც კი მთავრობენ  
ქვეყნად... დიდებულს და უძლეველს, მთელი ქალ-  
ღუს უფალს ოლომფრეს გაუმარჯოს!!.

**ვევლახა.** (შეჰპართვენ მახვილს და ჰყვირიან) გაუმარჯოს!!.

**ოლომფრე.** გამარჯვება ჩემი—არის გამარჯვება თქვენი. ჩემს  
ერთგულთ, ჩემს მარჯვენა ხელს მეფეთა, მთავართა  
მხედართ-მთავართა და დიდებულთა გაუმარჯოს!!..  
(ვლადის). ვლადი! მოიყვანე იგი დიდებული ასული ის-  
რაელისა, რომელმან უნდა ცათამდი აღსული და  
თვით ციური მზიარულება მიაყენოს ჩვენს, სისხლის  
და ბრძოლისაგან დაქანგებულს გულს... მოიტანოს  
თან ქნარი თვისი და იახლოს მხვეალი თვისი.

**ვახა.** სრულ იყვეს ნება შენი, დიდებაე ბაბილონისა (ვადის).  
(შემოდინ მეფესალმუნენი, მუტრიბნი, მვალთბელნი და მოსაკრავ-  
ენი. ჰვალთბენ).

ბელლა-მაროდებ და ასტარტავ, ნაყოფთა ღმერთნო,  
თვით თქვენი ხორციო, თქვენი სულიო შეჰქმენით თქვენა  
ქვეყნის დიდება და გვირგვინი—ოლომფრე დიდი,  
მიტომ ღმრთაებად ქვეყანასა ის მოჰვლენია.  
მისსა დიდებას, მისსა ძალას, მისსა გონებას  
ცა და ქვეყანა, მზე და მთვარე, ყველა სულდგმული,  
ღვთაებრივისა დიდებითა მის შეამკობენ.  
არ არის ქვეყნად მისი დარი, მისი მძლეველი.

**ოლომფრე.** კმარა განამზადეთ ახლა ვალობა და მუსიკა თქვე-  
ნი სადიდებლად იმა ისრაილის ასულისა, რომელიც



მოვა ეხლა აქ და რომელიცა შეგვძენს ჩვენ დიდ-  
ბასა მოულოდნელსა.

(შემოდის ივლით, შემოსდევნ ვაღაი და აბრი, რომელსაც უტი-  
რავს ხელთ ქნარი ივლითისა).

**აღოძფრე.** გალობა, სადიდებელი უდიდებულესის და უმშვე-  
ნიერესი სტუმრისა. (მეფსალმუნენი და მგალობელნი ჰვა-  
ლობენ, მესაკრავენი მიაყოლებენ საკრავთა ხმას).

მობრძანდა მთისა ყვავილი, ბეთილის მთათა შვენება,  
თან მოიტანა ედემის სურნელება და ნათელი,  
რათა დაატკბოს, აღაესოს ოლოძფრეს, ღმერთთა დარისა,  
გულისა ნდომი, წყურვილი. იდიდოს ესე ასული...

**აღოძფრე.** დიდებულო ასული ისრაელისა! შენდა სადიდებე-  
ლად და შესამკობლად მომიწვევია მეფენი და დი-  
დებულნი ქვეყნისანი. იმგღი გვაქვს, რომ პატივსა-  
სცემ ჩვენს თხოვნას და ამ სერობაზედ გაგვაგონებ  
გალობასა შენსა თქვენის სახელოვანის მეფსალმუნე  
მეფის დავითის ქნარით.

**ივლითა.** ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა გონება ჩემი, რომ მე,  
ასული იმა ერისა, რომელიც აღმოუჩნდა მტრად ქვეყ-  
ნის მძლეველსა და მეუფეს, ცის ქვეშეთის დაპყ-  
რობს, — ოლოძფრეს, — ვიქმნებოდი ასრეთი პატივითა  
და დიდებით მისგან მიღებული.... ვაი, თუ პატივი  
ესე იყვეს უკანასკნელი სალამი ჩემის სიცოცხლისა.  
ვაი თუ, ჩვეულებრისამებრ ბაალისა და ასტარტისა მა-  
ღიარებელთა, მე ვიყვე განწირული მსხვერპლად ამა  
ღმერთთა, რათა ამისთვის მისცენ იმათ ნაყოფიერე-  
ბა ქვეყნისა შუამდინარისასა. თუ არ ეს, ვერ მისწვ-  
დომია გონება ჩემი, რით დაიმსახურა უბრალო ასუ-  
ლმა ისრაელისამ ესოდენა დიდება კაცისა, რომელიც  
მოვლენილა ნათლად ქვეყანასა და მეუფე დცის ქვე-  
შეთისა.... თუნდაც ვიყვე განწირული შესაწირავად,  
შემიწირავს ჩემი სიცოცხლე: ბეთილის სიცოცხლეს,  
ღვთისა და ჩვენთა წინასწარმეტყველთა ბრძანების





დარღვევას, მე მიჩვენებ სიკვდილი, — სიკვდილი იმა ხელით, რომელიც თვით ღმერთის ეგოვასაგან არჩეული არის — ცისა და ქვეშეთის მფლობელად და მეუფედ.

**აღმძვინვარება.** ჯერ არ მოკვდილა მახვილი იგი, რომელიც შემბედავს ალიმართოს იმ თავზედ, რომლისაც ალაგი არის არა სამსხვერპლო, არამედ სამეფო საყდარი და გვირგვინი... მობრძანდი, დაბრძანდი ასულთა შორის უმშენიერესო და უდიდებულესო. (დაჰსვამს ივდიანს ძვირფასის თვალთა და მარგალიტით შემკულს სავარძელზე, რომელიც უფრო სამეფო საჯდომსა ჰგავს). დაბრძანდით, მეფენო და დიდებულნო. (ჯდება თვითონაცა ივდიანის პირდაპირ).

(ყველა სტუმრები სხდებიან. ივდიანს გვერდით ჯდება ვალი. ივდიანის სავარძლის უკან დგება მხევალი მისი აბრი).

**აღმძვინვარება.** შეექცეცით, ძვირფასნო სტუმარნო. შეექცეცით უძვირფასესო, დედოფალთა უღირსესო — ივდიანთ.

**ივდიანი.** ეგ უღირსი მიგებება ჩემი მაძლევს იმედს, რომ შემასრულებინებთ ჩემს ღმერთიურს მოვალეობას, ჩემი ერის სჯულს! ნება მიბოძეთ ვსვა და გქამო იგი, რისაც მხოლოდ იმება მაქვს ჩვენის საღმრთო დაწესებულებით. იქ ყველა ჩემი სანოეაგე თანა მაქვს წამოღებული.

**აღმძვინვარება.** იქ ყველანი ვართ მორჩილი შენის სურვილისა.

**ივდიანი.** აბრი! აღჭრდებო ჩემო, მომიტანე საქმელი და სასმელი ჩემი.

**აბრი.** გაახლებ, უბიწოვო ასულო და დიდებავ ისრაელისა!.. (გადის)

**აღმძვინვარება.** (მეღვინეს) გაავსე ფიალნი ეღემის ბალთა ღვინით. (სტუმართ) ანუ იქნება ინებოთ ღვინო ბალთაგან სემირამიდისა, ანუ ღვინო ხეტეველთა და ურარტთა, ან მოშობთა და თუბალოთა ქვეყნებიდან მოტანილი. (მეღვინე უვსებს ყველას ფიალს.)



(შემოდის აბრი, შემოაქვს სუბრთა პაწაწა კიკილას მსგავსი ჭურ-  
კლით დვინო; პაწაწა სუფრთა ხელოვნების ფიალებით სხვა-და-სხვა  
საჭმელი და სანუგბარო, ყველა ესე უწყვეთა პაწა მშვენიერი ხე-  
ლოვნების ვერცხლის ტაბაკზე და სდგამს ივდითის წინ).

**აბრა.** ჯერ მიირთვი, დედოფალო ჩემო, ეს სასმელი, და უძვირ-  
ფასესს სასმელს, რომელსაც გვიწერს ჩვენ სჯული  
ჩვენი, მოგართმევ სერის ვათავებისას.

**ივდათ.** გაავსე ჩემი ფიალოც. ცხადია, უდიდებულესი და შეუ-  
ღარებელი ჩვენი მასპინძელი, მშვენება და დიდება  
მთელი ბაბილონისა, მაღლად მდგომი ყოველთა მცხო-  
ვრებთა შორის, მიართმევს სადღეგრძელოს ღმერ-  
თად აღიარებულის მეფის ნაბუქადონოსორისას.

**თაღამფრე.** პირველსავე გამოლაპარაკებაზე შეგნიშნე, გულთ-  
მხილაობა, მშვენიერო ისულო ისრაილისა. იმედია,  
ეხლაც არ დაემალება შენს მაღალს გონებას და  
უგრძნობიერესს გულს ყოველი ჩემი ძარღვის ცემა,  
ყოველი მოძრაობა ჩემი გულისა და გონებისა. თუმ-  
ცა ისიც საფიქრელია, რომ შეიძლებოდა პირველად  
სხვა სადღეგრძელო დაღეუულიყო.... მაგრამ წესი და  
მორჩილება თხოულობს სხვას. (დგება, ამართავს მალა  
საესე ფიალს). შეიამდინარისა და ცის ქვეშეთისა მეფე-  
ნო, მთავარნო და დიდებულნო! დღეს ნაბუქადონ-  
ოსორს ჰმორჩილებს ყოველი სულდგმული. ჩვენ,  
თქვენ, თქვენი ერნი, ჩვენი ცოლ-შვილი, ჩვენი სა-  
ცხოვრებელი თუ არ აღგვილა ქვეყნის პირიდან ცე-  
ცხლითა და მახვილითა, ეგ მიტომ, რომ შევსწირეთ  
ამ უძლიერესს მეფეს ყოველი ჩვენი ძალი, ჩვენი ნი-  
ჭი, ჩვენი თავი, და შევეუერთდით მას ჩვენი მხედრო-  
ბით მის ძალისა და ტახტის გასაძლიერებლად. უკე-  
თუ ნაბუქადონოსორ გაღმერთდა დღეს ქვეყნად და  
ყოველთა ერთა აღიარეს ის თავის ღმერთად, ეკ  
თქვენით, ჩვენი, ჩვენი მკლავით, ჩვენი ნიჭით, ჩვე-  
ნი ძალით. ჩვენ ესცოცხლობთ მისით. იგი ძლიარდე-





ზა ჩვენით. მაშ გაუმარჯოს ახალს ღმრთაებას, ჩვენი სიცოცხლისა და სიკვდილისა ხელთა მჭერს მეფეს, ნაბუქადონოსორს!!..

**მეკლასი.** (წამოღებებიან და შეჰმართვენ მალა ფიალსა). ქვეყნის ახალსა ღმრთაებას, ცის ქვეშეთისა მეფლობელს, ჩვენისულისა დი ხორცის გამგეს, უძლიერესს მეფეს ნაბუქადონოსორს გაუმარჯოს!!.. (ჰსმენ საესე ფიალებს).

**იგდათ.** (აღგება და შეჰმართავს მალა ფიალს). იმედი მაქვს ამ ერთს სადღეგრძელოსაც დაუთმოვს თავის უღირსს სტუმრის უდიდებულესი პირსა ყოველისა ცის ქვეშეთისა მასპინძელი ჩვენი და ამ ჩემს წინასწრებას არ მიიღებს კანდიერებად... გადავივლეთ მეფენო, მთავარნო და დიდებულნო ქვეყნისანო თვაღნი და ასწონეთ გონითა თქვენითა: დღიდან დიდებული ეკვიფონოსის დაცემისა და უძლიერესის არტაფსაქის შემუსვრისა დღევანდელს ბეთილის შემუსვრვამდის, — ვის ეკუთენის იგი უდიდებულესნი ძლევენი, რომლისა მსგავსნი დღევანდელს დღემდის არ უნახავს არცა დღისა ნათელსა და არცა ღამისა წყვილადსა?! ვისით აღმაღლდა ცათამდის ბაბილონი, დაეცა უძლიერესი ასურ და ამაღლდა ქალღუქი ვისი მახვილის წინაშე ძრწვიან მეფენი, მთავარნი და ერნი მთელი ცის ქვეშეთისა?! ვინ შეჰლაბა ზღვანი და ხმელნი?! ვისმან გონებამან შეჰქმნა ცათამდის აღწეულნი გოდოლნი ვარსკვლავთ მრიცხველთა, ზღვათადარნი ნავთსავალნი ტბანი და მდინარენი უწყლოსა ადგილსა?! აქცია სამოთხედ მწიორნი უდაბურნი ხრიოკნი და ქვიშნარნი?! ვინ არის, რომელიც ახოვნებითა თვისითა, რიხითა, ნაკვთიერებითა, სახოვნებითა, ზარის გამხდელი რისხვის მზრძანებლობით აღძრავს მღეთიურსა თაყვანებასა ყოველთა უფალთა, მეფეთა და ერთა შორის?! გაუმარჯოს უძლეველსა ძალას, ქვეყნის ახალსა მნათობს, ქვეყნის იმედს,



ქვეყნის მშვენიერებას, დიდებულს ოლომფერეს, რომელიც ზედაც ხშირად მესაუბროდა ჩემთა ძილის შინათა ეგოვა, ღმერთი ჩვენი და შეტყობდა: ეძიე იგი, მას ელის დეტაგბრივი დიდება, იგი უნდა გახდეს მეუფედ ცის ქვეშეთისა, ასრეა ჩემი ბრძანებაო. იცოცხლე დღეთა დაღვევამდე, დიდებულო სახეც ღმრთაებრისაო! (ჰსემს ფიალს).

**შეკახა.** (დაიგრიალებენ). გაუმარჯოს!! ოლომფერეს, დიდებულს ოლომფერეს, მნათობსა ქვეყნისასა, ძალასა უძლეველს—გაუმარჯოს!! (ჰსემს სახეც ფიალეს).

**ოლომფერე.** (რომელიც ივდითის ლაპარაკის დროს გაჰყურებს ივდითს ალტაცებული სახით). ოჰ! არა მარტო გულთა მზილაო, არამედ გულთა მზიბლავო და დამატყვევარო, ივდით! შენ ასხავ გონებასა და ცნობიერებასა ჩემსა უცნაურსა და უტკბეს საღმუნს, აჩენ ჩემს გულში აქამდის ჩემთვის უცნობს ნეტარებას, აღძრავ ძალას ძარღვთა ჩემთა, რომელიც აქამდის მე არ მიგრძენია... თვით ღმერთთ განუგიათ საქმენი ჩვენნი... შენ გინახავს ძილის შორის ჩემზე იგი, რაც მე შენზე... შენ იყავ ხშირი სტუმარი ჩემი სიზმრებისა... სიზმრითვე დაატყვევე გული ჩემი .. და აი, ღმერთთა ცხადლივაც მოჩივლინეს თაეი შენი, ახდნენ ცხადლივ ჩემი ძილის შინანი, მისრულდება გონებისა და გულისა წყურვილი... გიძღენი მადლობას სადღეგრძელოსათვის... გზადლობთ თქვენცა, მეფენო და დიდებულნო!! მე თქვენგან მომცემია ძალა, და თქვენ ჩემგან ელოდეთ თქვენთვის და თქვენთა ერთათვის თათვის გაწირვას... უკეთუ სრული ძალა იქმნებოდა ჩემს ხელთ, ნაშოვარი, ნადავლი და მონაგები ბრძოლისა, თქვენი მკლავითა და საჭურველით შეძენილი, არ წავიდოდა ბაბილონს, იქმნებოდა თქვენი და არ გეყოლებოდათ მოცილე და მოზიარე... მომეცით ძა-



ლა და ელოდეთ ჩემგანაც ძალის მოტემას!.. (მეც მსაჯულე ფიასს).

**გაბია.** (გასცქერის ივლითს დაკვირვებით თავისთვის.) არა! ეს ქალი არ არის ამ ქვეყნისა: ან არის მოგზავნილი ზეცით ჩვენდა მოსახიბლავად, ან ქვესქნეთით ჩვენდა დასამზობელად. ოლომფრე, ოლომფრე! ან აღიმართვი ცათამღის, უმაღლეს ნაბუქადონოსორისა, რომელმანც არარაობიდან გაქცია შენ კაცად და გაგხადა თავის ტოლად, ან შენი განჩინების წიგნი შთავარდნილა ამა უცნაური დედაკაცის ხელთა. მე ვგრძნობ ამას... ერთი სხეულის სახიჩრებას მოსდევს გაძლიერება სხვა კაცის ნიჭიერებისა. ჩემმა დასახიჩრებამ გაძლიერა მგრძნობიარება ჩემი გულისა. ამ ქალზე რატასაც უცნაურს მითხრობს ჩემი გული.

**ოლომფრე.** იმედი მაქვს, ჩვენი ციური სტუმარი იმ მშვენიერს შესხმასთან, რომლითაც შეამკო ჩემი სადღეგრძელო, გაგვაგონებს ჩვენდა დასატკობად თავის ციურს ხმასაც და გვიგალობებს ფსალმუნს, რომლითაც ასე განთქმულნი არიან ქვეყნად ებრაელები.

**აბნა.** (მოუტანს ივლითს ქნარს.) უგალობე, ისრაელისა დიდებაჲ, ახალსა ქვეყნის მზეს ფსალმუნი, რომელსა ჰგალობდი სიონისა კარს სიონის ქალწულობის დროს.

**ივლითა.** (გამოართმევს ქნარს და ჰგალობს ფსალმუნს).

„ნუ მიჰბაძევ ავაზაკთა, ნუ გშურს უსჯულეზანი მათნი, რამეთუ იგინი ვითარცა თივა, ვითარცა ღვარძლი მგესლაფი მოიწვიან მზისა სხივთაგან, გაჰმეებიან და იქცევიან მტვრად.

„დასცხერ მრისხანებისგან, შეაყენე ბოროტეზანი შენნი, რამეთუ ბოროტის მომქმედნი აღიხოცვიან.

კოტა ხანიც და გაჭკრებიან იგინი სამუდმოდ, შეჰხედავ და ველარ ჰპოვებ თვით ნააღაგეესა მათსა.

„მხოლოდ მშვიდთა დაიმკვიდრონ ქვეყანა და ჰპოვონ ქვეყნად სასუფეველი.



«**კოდელინი შეჰმართვენ მახვილთა ღ მოჰზიდვენ შვილდთა**  
**რათა მოჰსრან მართალოთა გზათა მავალნი.**  
**შხოლოდ მახვილი მოჰსრავს თავსა მათსა**  
**და ისარი მათი შშვილდისა დაესმის გულოსა მათსა! (ვათაეებს).**

**ალექსანდრე.** (რომელიც ამ სიმღერის დროს არის სმენად გადაქეუული და ვერ აშორებს ივდითს თვალს) **ოოჰ, კით მოვლენილო!** შენი ხმა არ არის ხმა ამ ქვეყნისა, საგალობელნი შენნი წარმოითქმიან ბაგეთაგან ღმერთთა. შენ გაუჩინხარ ცას ქვეყნის მეუფედ. შენია გვირგვინი ქვეყნისა. (მეღვინეს) მოიტა უდიდესნი ფიალნი, რომელნიც მე შევიძინე სარდანაპალ მეფის საჭურჭლეთაგან. მოიტა ღვინო თუბალ მოსოხთა ქვეყნით მოტანილი, ღვინო უძველესი და უძლიერესი, რომელიც მქონდა შენახული ნაბუქადონოსორის დასახვედრად, როდესაც შეიმუსრებოდა ჩემთა ფერხთა ქვეშე ისრაელი.

(მეღვინეს მოაქვს დიდრანი უმშვენიერესი ხელოვნების ფიალნი, მოკედლილი ძვირფასი თვლებითა. ავსებს ღვინით და უდგამს ყველას წინ).

**გზაია.** ვერაფრან თქვენგანი ვერ შეუძლებს მაგ ფიალებით ამ უძლიერესსა და უსურნელესსა ღვინოსა.

**ალექსანდრე.** როდესაც ჩვენც შენსავით ღმერთთა რისხვა გვეზწევა და სისხლის უძლურება გახდება ჩვენი ხელის მძღვანელი, — ჩვენც, არამც თუ ეს ფიალნი და ეს ღვინო, თვით ბეთილის მთის წყარონიც მოგვერევიან. მაგრამ ჩვენ, რომელთაც სისხლი გვქცევია აღგზნებულ ცეცხლად, რომელთაც გვწვევია თვით ასული მზისა, რომელიც თვით ბეოლა-მაროდონესაც აალებინებდა ხელს თვის ასტარტაზე, ვერ შეგვაშინებენ ვერც ეს ფიალნი და ვერც ეს ღვინო გოგმაგოგთა ანუ თუბალი მოსოხთა მთის ძირობებიდან მოტანილი. (აიღებს საესე ფიალას და ადგება) მეფენო და დიდებულნო! დღეს ჩვენ ასურისა და ბაბილონისა





ღმერთთა მოგვევლინეს არამც თუ მშვენება და მკა-  
დება ისრაელისა, არამედ მთელი ისრაელი. მაგრამ,  
ეგ მერე... ჩვენ მოგვევლინა ასული, რომლისაც  
მსგავსი მშვენება არც ისრაელს, არც ელინს, არც  
თვით ცათამღის შემართულთ თებალმოსოხთა მითათა,  
სადა სადგურობენ უმშვენიერესნი ქვეყნად ქალწულ-  
ნი, არ უშობნიათ. მაშ დავლიოთ სადღეგრძელო  
მშვენიერთა ღმერთის ივლითისა. ქვეყნის დედოფალს,  
ასულსა ისრაელისას, დიდებულს ივლითს გაუმარ-  
ჯოს!!! (სვამს სავსე ფიალს).

**მეკლანა** (წამოდგებიან, აიღებენ სავსე ფიალს) დიდებულს დედო-  
ფალს ისრაელისას, ივლითს გაუმარჯოს! (სმენ სავსე  
ფიალებს. ხოვს უჭირდებათ).

**ოღოძფრე**. უსუნთქლივ, უსუნთქლივ! (ვრევა ღვინო, ურევა ვნახ).  
უსუნთქლივ! გიბრძანებთ მეფე და ხელმწიფე თქვენი.  
უნდა დისცალიოთ, ასტარტ... ჩვენი მეფის, დედ-  
ბული სტუმრის სადღეგრძელო. მარტო საქურისი  
ვაღაი არის თავისუფალი.

**მეკლანა**. (მთვრალეები ჰევირიან) ისრაელის დედოფალს გაუმარ-  
ჯოს! (სცლიან გაჭირვებით ფიალებს და ამოებენ პირქვე).  
ასრე დაეცალოს მტერი შენს დიდებულს სტუმარს!

**ოღოძფრე**. გაუმარჯოს ქვეყნის დედოფალს! ისრაელი ცოტაა. მა-  
გისი ადგილი — ტახტი სემირამიდასი. არა! სემირამიდა  
იყო გარყენილი. ეგ სხვაა! შეზხედეთ მაგის უმანკო სა-  
ხეს!.. თვით ღმერთი უმანკოებისა ასვენია მაგის ციურს  
თვალებში. (მოსაკრავვთა) დაუკარით ქვეყნის დედოფ-  
ლის შესამკობარი ხმები.

(მესაკრავენი უკრავენ.)

**ვაჯაბა**. შესწყვეტეთ ეხლა ღზინი და მხიარულება თქვენი. ჩვე-  
ნი მშვენიერი სტუმარი არის ღამე ნათევი, ნადელ-  
ვები, მოღლილი: საჭიროა მაგისთვის მოსვენება.

**იგდათ**. სამოთხის ველთა და ყვაეილთა შორის არ იცის მო-  
ღალვა სულმა ნეტართა. მე ვხარობ ღზენითა დიდე-



ბულთა, და სული ჩემი უმაღლესი ნეტარებისაგან მხნე-  
დება, გული ჩემი შეჭლალადებს ცის, რათა ლხინი ესე  
შეიქმნეს უსაზღვრო.

**ალექსანდრე.** ჯერ არა თქმულა სალოცავი ხატის დაღალვა.  
უკეთესი შლოცავნი არ მოდილოულან, ხატს ჰმართებს  
თავისი წყალობის მოღება, და არა მოღალვა. (მღვდი-  
ნეს) მოიტა ენლა ღვინო სემირამიდის ჰაერკიდულ ბალ-  
თაგან.

(მღვინეს მოაქვს ღვინო.)

**ალექსანდრე.** ავისეთ ფილნი.. ეხლა უნდა დავლიოთ ხელინ-  
დელი გამარჯვებისა. (სვამს) დასცალეთ თქვენც... ესრე...  
უსუნთქლივს.. ესრეთია ჩემი ბრძანება... თქვენი ხელმ-  
წიფისა...

**ჟველანი.** მორჩილნი და ყურმოქრილნი ყმანი შენნი, ვასრუ-  
ლებთ ბრძანებასა შენსა. (იწაფებენ და ვერ ვრევიან ფი-  
ალთა)

**ალექსანდრე.** დილ, შეიმუსრა ბეთილი! ისრაელი დევს ჩემთა  
ფერბთა ქვეშე განართხული... იწვის სიონი... აგერ,  
სდგას ზღვა სინხლისა ჩენი ურჩებისათვის... აგერ,  
მივდივარ ძლევა-მოსილი ბაბილონს. ელიაკიმ... ოზია...  
ხაბრი... ხამრი აბიან ჩემს, ყვაილებითა და გვირგვი-  
ნებით შემკობილს ოქროს ეტლოვანში... თავი ახი-  
ორისა მიუძღვის ჩემი გამარჯვების შესამკობლებსა...  
ბთელი ცის ქვეშეთი არის ჩემს ხელთ... მერე? თქვენ  
ყველანი შეასრულებთ ჩემს ნებას... თუ არა და!..  
ივდით! ქვეყნის დედოფალო! შენ იჯდები ჩემს ეტლ-  
ში, ჩემს გვერდით. შორს ჩემგან ყველა ჩემი ცოლე-  
ბი! სიკვდილი იმათ! შემასვი შენის ღვთაებრივის ხე-  
ლით ღვინო, მე, შენს მოწას... შენა ხარ ჩემი მეუ-  
ფე! ჩემი მბრძანებელი... ჩვენ ყველანი მორჩილნი,  
მსახურნი შენნი.





- ივლითა.** (ააესებს ფიალს) თვით ღმერთმა ჩვენმა ეგოვამ გააძლია ჩემი თავი მსახურად და მხველად. ვასრულებ მეუფისა ჩემისა ბრძანებას. (ასმევს თავისი ხელით)
- ოლომფრე.** (პსვამს. თან ენთება სახე და თან ღვინო უფრო და უფრო ურევა) ვალი! სტუმარნი თავისუფალნი არიან... ღამე მშვიდობისათ! მე და ისრაელის ასულს გვაქვს საიდუმლო სალიპარაკო... უნდა დავამხოთ ისრაელი... ისრაელი დანხოზილია!
- გუკლანი.** ღამე მშვიდობისა, ნეტართა უნეტარესო ოლომფრე ძლიერო! (აიშლებიან და მიდიან ბარბაცით. ზოგნი ვეღარ მიაგნებენ კარებს).
- გაღმა.** (უჩვენებს კარებსა და გაჰყავს სტუმარნი. ისევ შემობრუნდება.) ღამე მშვიდობისათ. ღამე მშვიდობისა, დიდებულო და უნეტარესო ოლომფრე! თვით ღმერთნი შეიშურებენ დღეს შენს ნეტარებას. ინებოს ბეგლლა-მაროდოხემ კარგად გეზრუნოთ თქვენი საქმისათვის. (თავისთვის) ჭრატომ! რატომ მომეცით ჩემი სამშობლო, ქვეყნის ღმერთნო, ჩემთა მტერთა ამა სახიჩრებისათვის?! რა გკოდეთ! რა გკოდეთ აგრეთი?! ჩემს ჯანზედ, ჩემს გულზედ, შენ, ოლომფრე, მაგა დედა-კაცის შეგინებისათვის გავაძლობდი შენი სისხლის ცქერით მაგის ღვთიურსა და მასთან უცნაური ცუცხლის მფრქვეველს თვალებს... მაგრამ მაგ ქალის სახე ესაუბრება ჩემს გულს, რომ არ გახდები ვისთვისმე სანატრელი მაგასთან შეხვედრით. (გადის)
- ივლითა.** ოლომფრე, დიდებულო! შენ გაკვირებს ღვინო გოგ-მაგოგთა მთის ძირებისა, და არ ისურვე არც ერთხელ გენახა ღვინო ჩვენი კარმელის მთის ხეობების ეაზისა. თუ მიბრძანებ, ჩემი საკუთარის ხელით მოვართმევ ამ ღვინოსა, და, თუ ყველა ღვინოებზე ეგ მეტად მოგეწონა, მაშინ ნება მიბოძეთ, შემოგწიროს მთელი მარანი მაგ ღვინოებისა და მრავალი ვენახი მაგის ეაზისა.



ბიბ

**ოლომფრე.** დიად! თუ არ საკუთარის შენის ხელით, დღემდე იქით მე ღვინოს არა ვსვამ... შენის საკუთარის ხელით უნდა დავიდგა გვირგვინი... შენა ხარ ჩემი ღმერთი... ხატი ჩემი გულისა... შენა ხარ...

**ივდათა.** (მოიტანს ერთს პაწაწა ღვინის ჭურჭელს, რომელიც ჰქონდა აბრის და არ აჩენდა) გვირგვინო ქვეყნისა, ოლომფრე! ჩემის საკუთარის ხელით, საკუთარის ფიადლით, ჩემს საკუთარს სასმელს ღვინოს, ჩემის ხელით დაყენებულს მოგართმევე, უკეთუ ღირსი გავხდები, არ იუკადრისო სამსახური და ძღვენი შენი უკანასკნელის მხველისა, შენის მონისა. (მოუტანს პირთან საესე ფიასს)

**ოლომფრე.** (ხვამს წუნარ-წუნარად) ეს არის სასმელი ღმერთთა!... უგემრიელეს ნექტარისა... ამაში სდგას თვითონ შენი სული... შენი სიცხოველე...

**ივდათა.** მაშ, იმეღია, კიდევ ინებებ, რომლითაც დღეად აამალღებ ჩემს თავის მოყვარებას, რადგან ეგ ღვინო არის ჩემის ხელით შეზავებული, და არც არვინ ჩემს მეტმა არ იცის შავისი დაყენება.

**ოლომფრე.** დიად! სწორედ!.. მე... სწორედ შენ... შენს ხელში უნდა მოვკვდე... დავიმარხო... ერთს სამარეში... შეიწირე ჩემი სული... წავიდეს შენი მხვეალი...

**ივდათა.** (აბრის) გადი. (წაშურსოულუბს) წადი და მომიკადე ბანაკს გარედ, წყლის პირას იმ გზაზე, რომლითაც მოვედით ბეთილიდან.

**აბრა.** გიცდი იქ. და, თუ რიერაეზე არ მოხვალ ჩემთან, აღარ ვიხილავ ცოცხალი ბეთილს... იყავ მხნედ და არ მისცე უბიწოება და უმანკოება შენი შესაგინებლიდ ბილწთა ბაალის მალიარებელთა. (გადის.)

**ივდათა.** (დაპიშავს კარვის კართა). მხვეალი ჩემი წავიდა თავის კარავს.

**ოლომფრე.** (ძლივას დგება ტაბლიდან). დღეს მე... ღვთაება... ჩემთან... ნექტარება... ივდით... ჩემო ღმერთო!.. (მიღის საწოლისაკენ). მე... მზადა ვარ... გელი შენცა.





აფდით. მე შევესწირე დიდებასა შენსა მორცხოება და უბრძანებ-  
 ბა ჩემი და შენ კი, მონყალეო და მღრთაებო ჩე-  
 მო, არ ინებე ჩემი სადღეგრძელოს დაღეფა იმ ღვი-  
 ნით, რომელიც თვით ჩემი საკუთარი ხელით არის  
 შეზავებული. (აწოდებს საცხე ფილს).

ოლაძეურე. (ძივა საწოლთან). დიალ!.. დაეღეფე!.. დიალაცა, რომ...  
 დაეღეფე... რატომოა!!.. შენ უნდა იცოცხლო... მე  
 უნდა მოე...კვდე... მე შენი ყმა... მსახური... მლო-  
 ცველი... შენი ოლომ...ფრე!.. ქვეყნის დედოფალო...  
 გვირგვინო... ცეცხლი... სისხლი... ჩქარა!.. (მხედას  
 ამ ფილსაც და დაეშვება ქვეშაგებზე უგონოდ).

აფდით. (გადაუხვამს შუბლზე ხელს. ჩააცქერდება სახეში). დიდებული  
 სახე! გამომმეტყველი დიდებულითა საქმეთა! (აშტერ-  
 დება უფრო ძლიერ.) სადლაც, როდისლაც ჩემს ქალ-  
 წულობაში შემხვედრია ასეთი დიდებული ქაბუკი...  
 თუ არ ვიცი იგი მხოლოდ ესახებოდა ნორჩი ასა-  
 კოვნებით გატაცებულს გულსა ჩემსა, ოცნებასა ჩემ-  
 სა, სიზმართა ჩემთა... და აი იგი ნეტარნი ოცნება-  
 ნი ამიხდნენ ცხადლივ... ვხდები მეუფე გმირისა, რო-  
 მელსა მსახედა გატაცებული გონება ჩემი, მისრულ-  
 დება უწმინდესი გულის თქმა უწმინდესის ხანისა  
 კაცთა ცხოვრებაში... და იგი ნეტარნი ოცნებანი,  
 ტკბილნი გულისთქმანი უნდა შეიმუსრნენ ჩემისავე  
 ხელით... უნდა შეიმუსროს კაცი, რომელიც შეა-  
 დგენდა ჩემს უმაღლესს და უწმინდესს გულის წა-  
 დილს და რომელმანც მალიარა ხატად და სალოცა-  
 ვად თვისად... ვნდო სიტყვათა ჩემთა, რომელნიც  
 არიან სავსენი მზაკვარებითა, ცბიერებითა, ცდუნე-  
 ბითა და ღალატით. (ჩაფიქრდება). უნდა შეიმუსროს!  
 უნდა შეიმუსროს, თუ არა შეიმუსრება სჯული მო-  
 სესი, შეიმუსრება ერი, რომელიც თვისი სჯულით,  
 მცნებით უნდა ვახდეს მოძღვარი ყოველთა ერთა,  
 ყოველთა ნათესავთა... უნდა შეიმუსროს, თუ არა



და უნდა დაიღვაროს ზღვა უმანკოთა სისხლისა, რათა უფრო ცათამდის აღიმართოს ბაბილონი, აგებული ქვეყნის სისხლითა, ოფლითა, ქონებათა და ცოდვითა, და უნდა დაიჭიროს ბაბლონისა და ასტირტის მალიარებელთა ბილწმა და არა კაცურმა მოძღვრებამ ადგილი მოსეს ღვთიური სჯულისა... უნდა კაცი იქცეს მხეცად, ქვეყნიერება მოიკას მეძავობამ, გარყვნილობამ, პირუტყვობამ, მონობამ!... (დაფიქრდება.) უნდა შეიმუსროს... მაგრამ... ვისით?! დაჰხედე იმის გმირულს სანახავობას, მდევთა ნაკეთს... და მე, მე, უძლურმა ქალმა შევმუსრო ეგ?! (დაფიქრდება). უნდა, უნდა შეიმუსროს!.. მთელი ერი ელის ჩემვან ხსნას. მთელი ბეთილი სდგას ციხის კარს და გამოსცქერის ჩემს გზას (შეჰხედავს კარვისბოძზე ჩამოკიდებულს მახვილს). აგერ მაგისი მახვილიც (ჩანოილებს და სინჯავს). ამა მახვილმა დაიპყრა ქვეყანა, შეიმუსრა მიდი, ასური, გმირი ხალხი ელამიტთა, ეგვიპტე, ფარსი, უმალღეს მათთა მცხოვრებნი გაუტეხარნი გოგამავოგნი, დასცა ქვეყანას შიშის ზარი და აღვიდა უმალღეს ნაბუქადონოსორისა, და დღეს ამავე ძღვევის მახვილით უნდა შეიმუსროს უძღვევლი და უძლიერესი პატრონი მისი უძლური ქალის ხელით. (დაფიქრდება) ჩემი ხელით! (დაფიქრდება), განა მე უძლური ვარ? განა ამას ჩამძახოდა რალა ცა უცნაური ხმა სიზმრივ თუ ცხადლივ?! (ამოილებს მახვილს, შეჰპართავს მაღლა, ატრიალებს და რამდენჯერმე დაიქნევს.) ასრე უნდა! სწორედ ასრე! არა... ძლიერია მაჯა ჩემი! (სახე ენთება თან და თან.) ოჰ, მაჯაო ჩემო! მაჯაო უძლური ქალისა! მოიკრიფე ყოველი ძალი, რაიცა კი მოიპოვება სულსა და გვაშა ჩემსა! ოჰ, გულო, უძლურო. არ მიმტყუნო ამ საშინელსა განჩინების დღეს! (მიდის მახვილ შეპართული ოლომფრესთან, დახედავს და უცებ შეტერდება. უცქერის და შტერებით.) სახე ოცნებისა, სახე ღმრთა-



ებრივი, რომლისა მსგავსი ჯერ არ გაუცლია დასა-  
ნათელს. რა გულანდობით, რა დამშვიდებული სიძი-  
ნაგს. (დაფიქრდება.) იქნება მართლა მოხიბლვა და შე-  
იპყრა ჩემმა სახემ მაგისი გული და ვახდეს ეგ მონა  
ჩემთა წადილთა? მაშინ? მაშინ ჩემს ხელთ იქნება ღსნა  
ისრაელისა უსისხლოდ. იქნება მაგისიეფ ხელით და  
ბრძანებით მოეფინოს ქვეყანას უდიდებულესი სჯუ-  
ლი მოსესაჲ!. (დაფიქრდება, თითქო რაღასაც ყურს უგდებსო)  
ირა! აგერ მესმის ხმა, ხმა გლოვნისა, მოთქმისა, ტი-  
რილისა. აგერ ზღვა სისხლისა! ტალღანი ცათამდის  
ასული ცეცხლებისა! (თითქო გასტკერის რაღასაც.) აგერ  
სისხლში შთანთქმულნი, ცეცხლის ალებიდან გამო-  
მცქერალნი ისრაელის ძენი მიყურებენ მე... ოჰ, სა-  
ზარელებაე! აგერ მესმის ხმა მათი. მეძახიან: „ივლით,  
ივლით! სისხლი ჩენი შვილთა და ყოველთა ნათე-  
საეთა ჩვენთა შენზედა! შენ ნოგვეცი ცეცხლი და  
მახვილი! შენ მიეც თავი შენი ოლომფრეს. შენ ულა-  
ლატე მშობელს ერს! შენ შემუსრე სჯული მოსესი,  
გაეცი კიდობანი სჯულისა! (ატაცებული) ვინ? მე? გა-  
გეცი თქვენ? მე გაგწირეთ თქვენ? ივლითმა გაგ-  
წირათ? ივლით, თქვენმა მსახურმა? ივლითმა მისცა  
თავი შემმუსრველსა და რისხვასა თქვენსა? თქვენი  
ვარ თქვენი? შორს ჩემგან, ყოველნო გულის თქმა-  
ნო! შორს თვით ერთო წვეთოც სიბრალულისაე!|  
(მივარდება ოლომფრეს, შემართავს მახვილს საშინელის სიბ-  
სუბუქით) გაძლიერდა მკლავი ჩემი უმეტეს სამსონის  
მკლავისა, გამხნედა გული ჩემი უძლიერეს დავითისა,  
ოდეს მოდიოდა იგი გოლიათზე. ცხონდი ისრაელ  
უკუნისამდე! განძლიერდით სჯულნო მოსესნო! გაძ-  
ქერი ჩემს სისხლში, ცეცხლო სიყმაწვილისა! მშვი-  
დობით, სიყრმის ზმანებანო!. გაუმარჯოს გზასა მარ-  
თაღთა!. (დაუშვებს მახვილს საშინელი ძალით).



## მოკმედეზა მხუთი

### სცენა ჰარველა

(ციხე ზეთილისა, გადმომდგარი კლდის ფრიალოზე, გადმოსცქერის მდინარეს და ოლომფრეს ბანაკს. დღე და ღამის გაყრის ბინდია. ელიაკიმ დიდი მღვდელი და ლევიტნი არიან შემოსილნი თავის საზღვდელო სამოსელში. ელიაკიმს უჭირავს მალლა ცისაკენ შემართული სისხლიანი დანა, რომლითაც დაუკლავს კრავი შესაწირავი. დაკლული კრავი, სისხლ ში ამოვლებული უდევს ფერხთა წინა. ცოტა მოშორებით, ციხის კედლებზე სდგას ხალხი ბეთილისა და მხედრობა. მახლობლად აღგზენია სამღრთა ცეცხლი, რომელზედაც უნდა დაიწიას კრავი შესაწირავი. ელიაკიმ, ლევიტნი, ოზია, ხაბრი, ხარში და სხვა მხედართმთავარნი და ახიორ სდგანან დაჩოქვილნი და განუპყრიათ ცისკენ ხელები. დილის რიყრავი თანდათან სძლევეს ღამის ბნელს.)

**ელიაკიმ (ლოცულობს).** „შეები ჰე, უფალო მებრძოლთა ჩემთა და სძლიე მღევნელი ჩემი, აღმართე ჭური და ფარი და აღსდეგ ჩემდა მფარველად. შეჰმართე მახვილი შენი თავსა მღევნელთა ჩემთა, და უთხარი სულსა ჩემსა: მე ვარ მხსნელი შენი. და ჰქმენ შერცხვენილ და გაწბილებულ მეძიებელნი სულისა ჩემისა, და განდეენე უბატიურებითა, რომელნი იზრახვენ ჩემთვის ბოროტსა. და იქმენ იგინი, ვითარცა მტყერი, აღვილი გრივალისაგან, და სდეენიდეს მას ანგელოსი ღმრთისა... და მოევილინოს მას დანთქმა მოულოდნელი, და გაებას თვით ქსელსა, რომელსა ფარულად ამზადებდა ჩემდა გასაბმელად, და შთაინთქას იგი საფრხესავე თავისა. (აღგებიან).

(თენდება, მოჩანს მხის ალიონი. მზე ჰყოფს მთებიდან წვერს.)



**ხმა ურადან.** აი გათენდა კიდევ, მზემაც თავი ამოჰყო, და მტერაც თქვენი სასწაული არა სჩანს... აგერ როგორ მობიბინებს წყალი!.. აგერ რა რიგად ეთამაშება მის ტალღებს მზის სხივები... იქ მზე თვისი ოქროს სხივებით ცეცხლივით აღაპლაპებს წყლის სისპეტაკეს, და აქ მისი ცქერით ჩენს გულსა და გეჰში ჩნდება წყურვილისაგან ცეცხლი სახმილისა... რა გინდათ? რად გვატყუებთ?! აქამდის ან გამუსვრილები ვიქნებოდით, ან ჩაჰქრებოდა ჩემს გულში ცეცხლი ჯოჯოხეთისა... არ არის არავის ხელთ ძლევა ბაბილონისა... ამას ბრძანებს ღმერთი ჩვენი ეგოვა... გვეყო! მიჰხედეთ ქვეყნის საცოდავობას; გაუღეთ კარი ასურთა.

**სხვა ხმები.** გვეყო! არ არის არსად თქვენი სასწაული. სასწაულს აელენს მხოლოდ ღმერთი, და ღმერთნი არიან ნაბუქადონოსორ, ბაალ, ასურ, მოლოხ, ასტარტა, და ესენი არ იზავენ ჩვენთვის სასწაულს, რადგან ჩვენ უწევთ მათ წინააღმდეგს. კარი! კარი გზა ქალდეველთა!..

**მრავალი ხმა.** კარი! კარი გაუღეთ კარი!.. ასურია ჩვენი ბატონი, ნაბუქადონოსორია ჩვენი ღმერთი!..

**ხმები მხედრობიდან.** აღარ არის სასწაული. ჩვენ აღარა გვაქვს ძალა ბრძოლისა, გაუღეთ კარი!..

**კადვე ხმები.** გაამზადეთ წინელები, შეიბით ყელზე, დაიყარეთ ნაცარი და ისრე მიეგებეთ ბაბილოვნელთ, რომ ამითი მოვიპოვოთ შებრალება ოლომფრე მრისხანისა.

**ურა დაბგრაბებს.** ან წყალი, ან სიკვდილი ჩვენი! მოვიდეს ასურ, ან ყველანი გადავცვივდეთ ამ კლდეებზე და მოუღოთ ბოლო ჩენს წამებულს სიცოცხლეს.

**რამდენამე ურას ძაბაგენა.** (იძრობენ მახვილებს) მოგვეყვით აქ! დავამტვრიოთ კარები, დაუძახოთ ასურთ, მოვიდნენ და დაგვიპყრან.



**ერა და მხედრობა** (დავირიალებს). წავიდეთ!! წავიდეთ!! (შილა-  
 ცინის კარებმისაკენ). დავამტვრიოთ კარები! დაპკარით  
 კარებს!!.

**ახიარ.** (რომელიც აქამდის გასცქეროდა ოლომფურეს ბანაკის გზას) სას-  
 წაული! სასწაული!! ერო ღმრთისაო! წაწყდა ასუ-  
 რი! ცხონდა ისრაელი!!.

**უღაბკიმ.** (გასცქერის იქითვე). ო! ძლიერ ხარ, საბაოთ ღმერთო!  
 სასწაული! აღსდგა ძალათა ღმერთი, უსმინა ცრემლ-  
 სა ჩვენსა და შეჰმართა მახვილი თვისი თავსა თვისი  
 შემგინებლისას...

**აზაბ.** ერო ბეთილისა! დავმხე პირქვე! მოგვევლინა დიდებუ-  
 ლი და უცნაური სასწაული..

(გამოჩნდება შორიდან ივლით ცალს ხელში უპირავს თავი თმე-  
 ბითა, ცალს ხელში შემართული მახვილი, ხალხი შესდგება და გასც-  
 ქერის ივლითის მხარეს).

**ხმება.** სად არის სასწაული? რომელია სასწაული?!

**უღაბკიმ, აზაბ, ხაბრა, ხაზრა, ახიარ და სხვა მხედრობითა-**  
**გარნი და ძღვედენი** (მრისხანედ ვრს). დავმხეთ პირ-  
 ქვე, ურწმუნოანო!! სასწაული! მოვიდა ჩვენი ხსნა...  
 აღსდგა საბაოთ ძლიერი ღმერთი!..

**ივლით.** (შემოვა სწრაფი ნაბიჯით სენაზე). ცხონდით უკუნისამდე  
 ისრაელ! დაიჩოქეთ! შეჰლაღადეთ უფალს... წაწყდა  
 ასური! (ახიარს) აჰა, შენ იცნობ ამ თავს. (მისცემს მახ-  
 ვილს) აჰა, მახვილიც, შენ იცნობ ამ მახვილსაც.

**ახიარ.** (გამოართმევს თავსა და მახვილს და ათვალისებრს) ოლომფ-  
 რე! თავი ოლომფურესი, რომელიც დასცემდა ცის ქვე-  
 შეთს შიშის ზარს და რომელიც იძლია უძლიერი  
 დედაკისაგან... მახვილი ოლომფურესი, რომელმან შე-  
 მუსრნა ერნი, მეფენი, მთავარნი და ღმერთნი, რო-  
 მელსაც მხოლოდ ძლიერი მკლავი ოლომფურესი ერეო-  
 და საბრძოლველად. (აიშვერს მალსა თავს) ერო მხო-  
 ლოდის ღმერთისა! ეს არის თავი ოლომფურესი, რო-  
 მელიც გემუქროდათ თქვენ შემუსვრას! (აიშვერს მახ-





ვილს) ეს არის მახვილი ოლომფრესი, რომელმაც  
 შემუსრა ცის ქვეშეთი, და ბოლოს თვით შემქედვე-  
 ლი, და პატრონი თვისი ზარი და რისხვა ქვეყნისა,  
 ოლომფრე! წაწყდა ასური! წაწყდა ქალღუქ ცხონ-  
 და ისრაელი! ისრაელს და მასთან ქვეყნის ხსნას გა-  
 უმარჯოს!!.

**ელაჰამ, ეგელა მხედართმოაგარნი და ლევიტნი. გაუმარჯოს!..**  
 მოვიდა ჩენი ხსნა! გვევლინა სასწაული... ერსა  
 ღმრთისასა, ისრაელს გაუმარჯოს!!.

**ერა და მხედრობა.** (ერთხმად დაიგრიანებს) გაუმარჯოს! ძალათა  
 ღმერთს, ღმერთსა სასწაულისას გაუმარჯოს! მუსრი  
 ასურს!! მუსრი ქალღვევლთ!! მუსრი მათს ცრუ ღმერ-  
 თებს!! ივდითს, სიწმინდესა, დიდებასა და მხსნელ-  
 სა ისრაელისას გაუმარჯოს!!.

**ახიარ.** (მისცემს ივდითს ოლომფრეს თავსა და მახვილს) ივდითს, მხს-  
 ნელსა ისრაელისას და ქვეყნისას გაუმარჯოს! გაგ-  
 ვიძელ წინ... შენია ძლევა! შენვე მოუღე ბოლო  
 ოლომფრეს მხედრობასა... ივდითს, დიდებასა ქვეყ-  
 ნისას, ცით ქვეყნის ხსნად მოვლენილს გაუმარ-  
 ჯოს!!.

**ავდით.** (აღტაკებული სახით) სჯულსა მოსესას და ქვეყნის მოძ-  
 ღვარს ერს გაუმარჯოს! მომყევით აქ (შეჰპართევს  
 მალა თავს და მახვილს) მუსრი ასურს!.. მუსრი ერსა  
 შეამდინარისასა! (გავარდება სკენიდან).

**შთქლა ერა და მხედრობა.** მუსრი ასურს! მუსრი ქალღვევლთ.  
 მუსრი ცრუ ღმერთს ნაბუქადონოსორს. ივდითს, ჩვენ-  
 სა დიდებას, ჩვენსა გვირგვინს გაუმარჯოს! (შთელი  
 ერი და მხედრობა გაჰყვება ივდითს).



## სცენა მეორე

(ბანაკი ქალდეველთა. შორი-ახლოს სდვას კარავი ოლომფრესი, რომელსაც ყველა კალთები დაშვებული აქვს. მდინარე ბეთილისა. მზის სხივები ეთამაშებიან მდინარეს. წყლის პირას ალაგ-ალაგ თაგ-მოყრილია მხედრობა და აქვთ შითქმა-მოთქმა და ბანასი. ერთს ალაგას არიან შეყრილნი რამდენიმე ათასისა, ასისა და ეგრასის თავნი, წამოწოლილნი წყლის პირას.)

**ერთა ბათსას თაგთაგანა.** მოვიდა აღსასრული ბეთილისაც, ბეთილთან მთელი ისრაილისა და მათი მოკაეშირე ერებისაც. ჩვენს დიდებულს და ყოველთა მეფეთა უძლიერესს, ღმერთთა დარს, ოლომფრეს მოსვლითა გბრაელთა ღმერთის ეგოვასაგან მოციქული, უმშვენიერესი დედაკაცი, რომლის პირითაც შემოუთვლია, შენ უნდა იყვე პირველი კაციო ქვეყნად, შენ უნდა მოგცეო ისრაელი, რაკი ეს ერი მე აღარ მიდგმსო თავს. ბეთილისა და ისრაელის დაპყრობით ჩენი დიდებული და მრავალმოწყალე, ოლომფრე, შეიქნება პირველი კაცი ქვეყნად, გახდება მთელი ცის ქვეშეთის მპყრობელი. მთელს ნადავლს და სამხედრო ნაშოვარს ჰპირდება მხედრობას და მხედართმთავართა. მაშინ ყველანი გაეკეთდებით. ისრე კი აღარ იქნება, რომ ჩენ სისხლსა ეღვრით და ნაშოვარი მიდის ბაბილონს ნაბუქადონოსოართან. რაკი ეს ასრე იქნება, მაშინ ოლომფრეს მძლეველი აღარავინ იქნება, რადგან ყველანი მაგისათვის თავს გასწირავენ.

**მეორე ბათსას თაგო.** ამბობენ, რაც გბრაელთ ბაბილონს თუ სხვა ქვეყნებში სიმდიდრე შეიძინეს, დიდი წილი მიდისო იერუსალიმს ეგოვას ტაძრის გასამშვენებლად და გასამდიდრებლად. აუარებელი თვალი, მარჯალიტი, ოქრო და ვერცხლი დევსო სიონს.





**მესამე ბათას თავა.** დიდი ნაშოვარი მოგველის ისრაელის დაპყრობათ. ებლა რომ ნაბუქადონოსორის მაგიერ ოლომფრე იყვეს მეფე, ეს ნაშოვარი სულ ჩვენი იქნებოდა.

**ერთი ეგრასის თავა.** დილას ჯერ ისევ ბინდ-ბუნდი იყო, რომ ბეთილის ვალაფანზე აღანთეს ებრაელთა სამსხვერპლო ცეცხლი და ისმოდა დიდი დაღადისი. როგორც გტყობა, დმერთსა სთხოვდნენ წვიმისა, რომ წვიმის წყლით მაინც გაისველოს ერმა პირი. ისმოდა საშინელი ტრიაშული ერისა და განწირული ტირილი წვრილოფენობისა.

(შემოდის ერთი უმთავრესი მხედართმთავართაგანი, ყველანი წარმოუდგებიან ფეხზე).

**მხედართმთავარა.** გავციტ ბრძანება, რომ ყველა თქვენი მხედრობანი გაემზადნენ წყლის სათავისაკენ. ბეთილიდან მოსულმა ასტარტას უმწვენიერესმა ისრაელის ასულმა, რომელთან ებლაც ნეტარ განცხრომაშია ჩვენი დიდებული ოლომფრე, მოიტანა ამბავი, რომ მოდისო ახალი მხედრობა ისრაელისა და მათთა მოკავშირეთა, რომ დაიჭირონ წყლის სათავე და მოუშვეან ისევ ბეთილს. ბეთილის აღება შეიძლება მხოლოდ უწყულობით. უბრძანეთ, დაჰკრან საყვირსა და დაფდაფს მხედრობათა ასშლოელიდ და შესაკრებლიდ.

**ყველა მხედართმთავარნი** ძაბრუნდებიან სხვა-და-სხვა მხარეს და გასძახებენ. დაჰკარით დაფდაფს და მიეციტ საყვირისა და ბუკების ხმა, რომ აიშალოს ჯარი და შეიკრიბოს ერთს ალაგას.

(შეიქნება ხმა ბუკ-საყვირისა, დაფდაფისა და ნაღარისა. აშლილი მხედრობა შემოდის სკენაზე და იკრიბება ერთს ალაგას. ყველა მხედართმთავარნი ჩადგებიან მხედართა შორის თავის ალაგას.

**მხედართმთავარა.** მართალია, მოგბეზრდათ ბაბილონის დიდებული მეფის მხედრობათა აქ ასრე დიდხანს დგომა,



მაგრამ სასყიდელიც დიდი მოგელით თქვენნი მოთმებნი სათვის. აი დღეს ან ხვალ ბეთილიცა და მასთან მთელი ისრაელიც იქნებიან ჩვეენს ხელთ. არ გვეგონოთ ებრაელნი სხვა ხალხივით მწირი და გლახაკი: სადაც უნდა მივიდნენ ეგენი, თვით უფუდაბურებს და უმწირებს ალაგებს, შეჰქმნიან და არარაიდან დაჰბადებენ სიმდიდრეს. დატყვევდნენ იგინი ბაბილოენელთაგან, გაცვიდნენ ეგვიპტეს, დაიყიდნენ მიდს, სპარსეთს, ინდოეთს და სხვა ქვეყნებში და მთელი ამ ქვეყნების სიმდიდრე გადავიდა ამათ ხელთ: მეფენი, მთავარნი, დიდებულნი, ერნი და სამღვდლოანი გაჰხადეს თავის მოხარკეთ, ყურმოჭრილ ყმად. უკეთუ ტყვეობასა და უცხოობაში იჩინეს ამგვარი ძალა, ცხადია უფრო დიდი ქონება უნდა იყუეს მაგათს ქვეყნებში, სადაც არც მღვენელი და არც შემცილებელი არა ჰყავთ. მთელი ოფერის ოქრო და ძვირფასი თვალის შესულა ისრაელს. და ყველა ეს გიწყალობათ თქვენ დიდებით შეუდარებელმა ოლომფრემ. მთელი ისრაელის სიმდიდრე, უმშვენებრესნი ასულნი და ყრმანი დაგრჩებიან თქვენ და რაც იქნება თქვენთვის უმაქნისი, ყველა მიეცემა ცეცხლსა და მახვილს. მუსრი ისრაელს!! მუსრი ამ თილისმის ხალხს, რომელიც, სადაც მივა, ყველგან უნდა გახდეს ქვეყნის სარჩოს პატრონი!! გაუმარჯოს ჩენი მხედრობის მოწყალე მამისა და მეუფეს, დიდებულს, ცის ქვეშეთის ბატონს ოლომფრეს!! (ამოიღებს მახვილსა და იქნევს).

(მთელი მხედრობა ამოიღებენ მახვილებს იქნევენ ჰერში მუქარით და ჰყვირაინ): გაუმარჯოს უძლიველს ოლომფრეს!!! გაუიარჯოს ქალდეველთა მხედრობას!! მუსრი ისრაელს!! მუსრი ბეთილს!! (შემოვარდება ერთი მხედარი).

**მხეჯარა.** (გულის ქასქასით) ბეთილის კლდეებიდან დაეშვა დიდი მხედრობა ისრაელთა და საშინელი ყიყინითა და





სისწრაფით მოდის ჩვენს ბანაკზე. წინ მოუძღვით მსი-  
 ლაცა დედაკაცი, რომელსაც ხელში უჭირავს ვილა-  
 სიცი მოჭრილი თავი და მეორე ხელში ოლომფრეს  
 მახვილზედ უდიდესი მახვილი. მხედრობას მოუძღვის  
 სამღვდელთა წინ ფსალმუნთა გალობით და რალაცა  
 ძღვევამოსილი ხმით. გამძვინებული მხედრობა ჰყვირის:  
 მუსრი ასურს! მუსრი შუამდინარის ერთოა!!

(შემოვარდება გატაცებული სახით მეორე მხედარი.)

**მეორე მხედარი,** ისრაელნი დაეცნენ მოწინავე მხედრობას და  
 სრულიად შეჰმუსრეს. იმათ უძღვის ასტარტაზე უმშ-  
 ვენიერესი ქალწული, ასტარტაზე უფრო მრისხანე  
 სახათ. ხელში უჭირავს მთლად სისხლში მოსვრილი  
 თავი და მეორე ხელში ისრეთ დიდი მახვილი, რომ-  
 ლისაც ხმარება და მორგევა შეუძლიან მხოლოდ უძ-  
 ლიერეს ოლომფრეს. თითქო მთელი განრისხებული  
 ცისა და ქვეყნის და ღმერთთა ძალა ამათ მოსცემო-  
 დეთო, ისრაელთა მხედრობა, საითაც გაიწეეს და  
 უჩვენებს ის სანციფრო დედაკაცი, მისდევნ მას და  
 ვერა ძალა ვერ უდგრობთ მათ. ზარდაცემული ჩვენი  
 მხედრობა იძახის, ის თავი ოლომფრესი არისო, და  
 გარბის, როგორცა ციდან მოვლენილი რისხვისა-  
 გან, და იმუსრება უწყალოდ ისრაელთაგან.

**მხედართმთავარი.** სიცრუეა! ეგ არის ებრაელთა მანქანება. ეგ  
 იქნება ცვილისაგან გაკეთებული. მაგათგან გასაკ-  
 ვირველი არა არის-რა. არიან მაგათში ისრეთნიც,  
 რომელნიც სახმილის ცეცხლს აქცევენ ყინულად და  
 შიგ ისრე დადიან, თითქო თავიანთს იორდანის წყალში  
 ჰბანაობენო. ოლომფრე ეხლა ისეთს განცხრომაშია  
 თავის ოქროს სარცელზე, როგორსაც აღარ ეღირსება  
 არასოდეს მზის ქვეშეთის სულდგმული. უმშვენიერე-  
 სი ებრაელთა ასული, რომლისაც მსგავსი ჯერ არ  
 შეუქმნიათ ნაყოფიერებათა ღმერთთ ასტარტას და  
 ბაალს, არის მის გულს ჩაქრული. ის დედაკაცი აძ-



ღვეს გზას ისრაელთა დისაპრობლიად. წუხელის სერობაზე მეც იმათთან ვიყავ, და სერობის უკან ისინი დავტოვეთ მარტოკანი ჩაკეტილს კარავში... ვაი ებრაელთ, თუ გაიღვიძა ოლომფრემ და გაუძღვა მხედრობას!.. დეე ის განცხრეს... ისრაელთ მეც ვეყოფი... მომყევით აქ!..

(ამ დროს შემოკვივიან სცენაზე ხარდაცემულნი ქალდეველთა მხედრობანი, ყოინით): უშველეთ თავს!.. საშინელი რისხვა ზეცისა!.. ოლომფრეს თავი!.. ოლომფრეს მახვილი!:

(სცენას გარეთ ისმის ყოინა): მუსრი ასურს! მუსრი შუამდინარის ერთა, მუსრი ქალდეველთ!..

**მსკდართმაგარა.** სიცრუევია!.. აგერ მოდის ოლომფრე!.. დაუძახეთ ოლომფრეს!.. მომყევით აქ!.. დაუძახეთ ყველა მეფეთა და მთავართა... დაუძახეთ ვალაის! .

(შემოვარდება ვალაი).

**გაღაი.** რა არის?! რა ამბავია?! რა არეულობაა, ზარი და ხეთქება მხედრობისა?!

**მსკდართმაგარა.** ისრაელი დაგვესხა თავს.. ჩქარა გააღვიძე ოლომფრე, მოგვხედოს...

(ამ დროს გამოჩნდება სცენიდან ივლით. ცალ ზელში უჭირავს თავი ოლომფრესი და ცალში მახვილი. თან მოაღვეს ყოინითა და ბრძოლით მხედრობა ისრაელთა).

**ივლით.** მუსრი ასურს! წაწყმენდა ქალდუ! მუსრი ქვეყნის წამწყმენდს ბაბილონს!

**გაღაი.** ივლით!.. თავი და მახვილი ოლომფრესი!.. ღმერთნო შუამდინარისანო! თქვენ იძლიენით ეგოვასაგან... ცხადია ეს თუ სიზნარი?... ო, ჩემო წინადგრობანო!.. (გაექანება ოლომფრეს კარავისაკენ).

**მსკდართმაგარა.** სიცრუევია! თავი ცვილისაგან არის გაკეთებული... მომყევით აქ! მუსრი ისრაელს! მუსრი მათს ცრუწინასწარმეტყველს დედაკაცს! (გაექანება ივლითისაკენ).

**ივლით.** მუსრი ასურს! (დაანახვებს მახვილს). თავი თუ ცვილისაა, ვისია ეს მახვილი?! მიცნობ თუ არა? ვინ იყო წუ-





ხელის თქვენთან?! ეის სადღეგრძელოსა ჰსვამდი ბუტაცებით შენ პირველი? ვინ გაუშვით მარტოკა ოლომფრესთან!! წადით, ჰნახეთ, თქვენი ოლომფრე. მხედართმთავარა. (დაუქნევს ივლითს მახვილს) გაჰქვერ ცრუ ზმანებავ! ცრუ სიზმარო!

ახარ. (აუკრავს მახვილით მახვილს.) გაუმარჯოს ივლითს, დიდებასა ისრაელისას!! წაწყდა ოლომფრე!! წაწყდა ბაბილონი! მუსრი ნაბუქადონოსორის მხედრობას! მიცნობ თუ არა. (მივარდება მახვილით.)

მხედართმთავარა. გიცნობ! შენა ხარ მოლალატე... და მზადაც არის შენთვის თოკი და ძაღლური სიკვდილი!

(შემოდის ახალი მხედრობა ბაბილონელთა; შემოდის მეფენი, მთავარნი და მხედართმთავარნი. სცენის გარეთ ყიყინა:) მუსრი ასურს! მუსრი ქალდეველთ! (სცენის მეორე მხრიდან შემოვრბის გამოქცეული ქალდეველთა მხედრობა. ახალი ჯარი ქალდეველთა ესევა ებრავლთ. ამ დროს შემოვარდება ვაღი).

გაღა. (განწირული ხმით). წაწყდა ბაბილონის ოლომფრე გლია უთავოდ, სისხლში აწოვლებული. არც თავი და არც მახვილი იმისი იქ აღარ არიან.

(ცხარდება ბრძოლა).

მხედართმთავარა. ტუყილია! შენა ხარ მოლალატე! დაუძახეთ ოლომფრეს.

(ვალაი და რამდენიმე მხედარი შესცვივიან ოლომფრეს კარავში და გამოაქვთ უთავო გვამი ოლომფრესი, სისხლში მოსვრედი).

გაღა. აი გვამი ქვეყნის დამპყრობი და ზარი ცის ქვეშეთისა! ვაი ასურს! ვაი ბაბილონს! ვაი ქვეყანას?..

(ბაბილონთა მხედრობაში გავარდება ზარი და შეიქმნება ძახილი); წაწყდა ერი შუამდინარისა! განრისხდნენ ჩვენზე ცამეტნივე ღმერთნი ჩვენნი. (გარბიან და თან გზაგზა ჰყრიან სატურველს. მრავალნი მხედართავეარნიც გარბიან და ჰყრიან სატურველს, და თან გაიძახიან): უშველეთ თავს! უშველეთ თქვენს სამეფოებს! საშინელი დედაკაცი! ცის რისხვით მოვლენილი! მოლისს მოდის ჩვენს შესამუსრავად!

რამდენამე მეფე და მთავარნი ოლომფრეს მხედრობიდან. მუსრი ბაბილონელთ! გაუმარჯოს ისრაელს! გაუმარჯოს



ჯოს ქვეყნის მხსნელს ისრაელის ასულს, ცით მოვ-  
 ლენილს ივდიოს! მხედრობანო ჩვენო, მოგვყევით  
 აქ! მუსრი ბაბილონს, ქვეყნის წარმატყვეფნს და წა-  
 შწყყმენდს. (დადგებიან ებრაელთა მხარეს და მიესვენან ბა-  
 ბილოვნელთა).

**მხედართმთავარი.** გაასწარით გვაში ოლომფრესი... დაიღუბა  
 ბაბილონი, დიდებული სამეფო! კაცი ნაბუქადონო-  
 სორთან! გაამაგროს ქალოქი, მოჰკრიფოს მხედრობა...  
 გადაგვიდგენ ყველანი... გვიღალატეს შეფეთა. (გარ-  
 ბის ხარდაცემული).

(ხოვ ბაბილოვნელთა მხედარნი ცდილობენ გაიტაცონ ოლომფ-  
 რეს გვაში.)

**ივდიოთა.** წიართვით გვაში ოლომფრესი! (მივარდება ოლომფრეს  
 გვამს.) შორს აქედან!

(მისცვივინ ისრაელთა მხედარნი და გააგდებინებენ გვამს. ქალ-  
 დეველნი გარბიან ძახილით): ოჰ, რისხვა ცისა! საშინელი  
 დედაკაცი!!

**გხლახა.** (ამ გვამის ცილაობის დროს შეჰყურებს ოლომფრეს თავს.) ოჰ,  
 დიდებულო თავო! შენ განაგებდი მთელი ქვეყნის  
 ბედს, და სცემდი ცის ქვეშეთს შიშის ხარს, აპირებ-  
 დი გაღმერთებას, ეცილებოდი ნაბუქადონოსორს  
 პირველობას. ვერ გაგიძლეს ვერა მგფეთა და სამე-  
 ფოთა, ვერა ღმერთთა ცის ქვეშეთს მყოფთ, და იძ-  
 ლიე უძლური ქალის ხელით. სიბილწისა შენისა-  
 თვის!

**ივდიოთა.** (მივა ოლომფრეს გვამთან და მიადებს თავს.) ოჰ, გვამო,  
 ჩემი სინორჩისა ოცნებაო! სული ჩემი, ნორჩობა ჩე-  
 მი გეძებდა შენ სიკოცხლისა შესავსებლად და  
 ხელმავე ჩემმან მოგილო შენ სიკოცხლე. შენ-  
 თან იმარხება ჩემი სიყმაწვილეც. (მხედრობას) წაიღეთ  
 ბეთილს ჩემს სამლოცველოში და შეჰმურეთ იგი. მე  
 მოვკალ ეგე და ჩემი უნდა იყვეს ეგე, ეიდრე ვარ  
 ცოცხალი (დაინახავს ვალის.) ვალაი! მიცნობ თუ არა  
 წუხანდელს თქვენს სტუმარს?!





**გაღბა.** (დაუჩოქებს და წაუშვერს თავს.) ოჰ, სოფლის ხოცობავე და სანცვიფრებავ, დედაკაცო, რომლისა ცალი არ გაუჩენიათ ჯერ გამჩენთა! დამეც ეჲ, აქამდის უძლეველი მახვილი და მომიღე ბოლო! შენი ნახვის უკან ჩემი სიკოცხლე არის და იქნება წამება... შენი ხელით სიკვდილი მიჩვენებინათათს სიკოცხლეს.

**ივდიო.** წამო ჩემთან, დაფიტოროთ ერთად დიდებულნი გვამი იგი! გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს განთავისუფლებულთა ერთა! სიკვდილი მტარვალთა, და ქვეყნის მდევნელთა!

(გაისმის გრილი და მახვილთა ქნევა) გაუმარჯოს ივდიოს! გაუმარჯოს გვირგვინსა ქვეყნიერებისას! დიდებან ისრაელისას!

(მეფენი და დიდებულნი, ახიორ და ისრაელთა მხედართმთავარი აიტაცებენ, ჩასმენ ივდიოს ტახტრეფანში და გაიტაცებენ სცენიდან ყიჟინით): გაუმარჯოს ქვეყნის მხსნელს! გაუმარჯოს ივდიოს! სიკვდილი მტარვალთა, ქვეყნის მმუსრველთა და მტყვევენელთა! გაუმარჯოს თავისუფლებას!!

**ანტონ ფურცელაძე**

1896 წ. ტფილისი.

(დასასრული)



0,3067

3000000  
0000000





